

ანა ფირცხალაშვილი

**კაზუსის ამოხსნის 4 მოდელი
ძირითად უფლებებში**

თბილისი, 2016
გამომცემლობა „იურისტების საფარო“



რედაქტორი: **ბესიკ ლოლაძე**

ყველა უფლება დაცულია. ამ წიგნის არც ერთი ნაწილი (ეს იქნება ტექსტი, ფოტო-ილუსტრაცია თუ სხვა) არანაერი ფორმით და საშვალეებით (იქნება ეს ელექტრონული თუ მექანიკური), არ შეიძლება გამოყენებული იქნეს საავტორო უფლების მქონე სუბიექტის წერილობითი ნებართვის გარეშე.

საავტორო უფლებების დარღვევა ისჯება საქართველოს კანონმდებლობით.

© ანა ფირცხალაშვილი, 2016



გამომცემლობა „იურისტების სამყარო“

თბილისი, მ. კოსტავას №75; ტელ.: 238 35 99; 557 51 51 34

ელ-ფოსტა: Lawyers.world@yahoo.com;

ვებ-გვერდი: www.law.ge

<https://www.facebook.com/PublishingHouseLawyersWorld>

ISBN 978-9941-9476-5-0

სარჩევი

რამოდენიმე მეთოდოლოგიური რჩევა ავტორისაგან.	5
1. ტერმინთა განმარტება	8
1. ძირითადი უფლებით დაცული სფერო	8
ა) პერსონალურად დაცული სფერო (ძირითადი უფლების სუბიექტი)	8
ბ) საგნობრივად დაცული სფერო	9
2. პროცესუალური სამართალსუბიექტობა	11
3. საერთო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება	16
4. ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში ჩარევა	17
5. ჩარევის ფორმალური შესაბამისობა კონსტიტუციასთან	17
6. კონსტიტუციურ-სამართლებრივი ზღვარი.	19
ა) კანონის კონკრეტული დათქმა	20
ბ) სასამართლო გადაწყვეტილების დათქმა	20
გ) უშუალო კონსტიტუციური ზღვარი	20
დ) შიდა კონსტიტუციური ზღვარი	21
7. ზღვრის ზღვარი	22
8. ჩარევის კონსტიტუციურ სამართლებრივი გამართლება: თანაზომიერების პრინციპი (იგივე პროპორციულობის ტესტი)	22
9. ნორმის განსაზღვრულობა	26
10. ძირითადი უფლების არსი	28
11. არათანაბარი მოპყრობა/დისკრიმინაცია	29
12. რაციონალური და მკაცრი შეფასების ტესტი	32
13. დიფერენცირება	36
14. დიფერენციაციის ინტენსივობის ხარისხი	37
15. იერარქია ეროვნულ სამართალში	39
16. ძირითადი უფლების დაცვის ვალდებულება	41
17. მფარველობითი ძირითადი უფლებები	42
18. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების იურიდიული ძალა	43
19. ნორმის „ნორმატიული შინაარსის“ არაკონსტიტუციურობა	45

II. კაზუსის ამოხსნის მოდელების კლასიფიკაცია.....	49
1. კაზუსის ამოხსნის პირველი მოდელი	50
2. კაზუსის ამოხსნის მეორე მოდელი	63
3. კაზუსის ამოხსნის მესამე მოდელი	75
4. კაზუსის ამოხსნის მეოთხე მოდელი	90
III. სტრუქტურული სქემა და გეგმები	101
ბიბლიოგრაფია	109
საქართველოს კონსტიტუცია	117

რამდენიმე მეთოდოლოგიური რჩევა ავტორისაგან

კონსტიტუციაში გარანტირებული ძირითადი უფლებები გადმოცემის ზოგადი, აბსტრაქტული მანერით გამოირჩევა. ზოგჯერ კი კონსტიტუციით გარანტირებული ეს ღირებულებები პათეტიკურიც კი გვეჩვენება. მაშინ, როცა ადამიანის ძირითადი უფლებები პრაქტიკაში რეალიზდება, სახელმწიფო ხელისუფლების მიერ იმპლემენტირდება, ან სასამართლოს მიერ განიმარტება აშკარა ხდება, რომ აუცილებელია ძირითადი უფლებების დარღვევის შემთხვევების დეტალური შემოწმება. თანამედროვე სამართლის მეცნიერებაში უფლების სავარაუდო დარღვევის შემოწმების (კაზუსის ამოხსნის) რამდენიმე მეთოდი არის დამკვიდრებული. ძირითად უფლებებში კაზუსის ამოხსნა ეფუძნება ლოგიკურ მსჯელობას, არგუმენტაციის სიმყარესა და დასაბუთებულ დასკვნებს.

გასათვალისწინებელია, რომ თანამედროვე სამართლის მეცნიერებათა შესწავლა არ ეყრდნობა მხოლოდ წმინდად თეორიული სწავლების მეთოდს. მისთვის თანაბრად მნიშვნელოვანია სამართლებრივი საკითხების პრაქტიკული გადაჭრის უნარის განვითარება. სამართლებრივი თეორიების და კონკრეტული რეგულაციების სრულყოფილი ცოდნის მისაღებად აუცილებელია სტუდენტმა იგი კონკრეტული მაგალითების, შემთხვევების დამუშავებისა და გადანყვეტის პარალელურად შეისწავლოს. სწორედ ამისათვის არსებობს კაზუსის ამოხსნისათვის დადგენილი მეთოდიკა. მისი ცოდნა ხელს უწყობს სტუდენტს ყურადღების მიღმა არ დარჩეს მნიშვნელოვანი და საგულისხმო საკითხები. შემუშავებული მეთოდი მართალია ვერ შეავსებს თეორიული ცოდნის დეფიციტს, მაგრამ იგი დაეხმარება სტუდენტს, რომ მისი ცოდნა გამოყენებული იქნეს სწორად და მივიდეს დასაბუთებულ დასკვნამდე.

კაზუსის ამოხსნისას უპირველეს ყოვლისა საჭიროა კაზუსის ფაბულის (მოცემულობის/პირობის) სწორი და ნეიტრალური გააზრება. ამ ეტაპზე ხდება სამართლებრივი პრობლემის იდენტიფიცირება და არა ამ პრობლემატიკის ინტერპრეტაცია, ანალიზი ან შეფასება მკითხველის მიერ. მისი სათანადო გაგების გარეშე ვერ მოხდება მსჯელობა სწორი მიმართულებით და ვერც საკვანძო კითხვაზე იქნება პასუხი ადექვატური. შესაბამისად, ძალიან მნიშვნელოვანია საფუძვლიანად იყოს გაგებული თვით კაზუსის ფაბულა, რათა ბოლომდე სწორად წარმართოს მსჯელობა. ფაბულის სწორად გაგება შესაძლოა ვარაუდის სახითაც დაზუსტდეს. მაგალითად შემდეგი ფორმულირებით: დასადგენია, საქართველოს მთავრობის დადგენილება „ტყით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის წესისა და პირობების შესახებ“ შეესაბამება, თუ არა საქართველოს კონსტიტუციას.

მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტი კონცენტრირებული იყოს კაზუსში დასმულ საკვანძო კითხვაზე პასუხის განსაზღვრაზე და არა თემის ირგვლივ ზოგად მსჯელობაზე. თუ ამოცანა არასწორად იქნა გაგებული, ბუნებრივია დასკვნა ვერ იქნება მართებული. შესაძლოა კაზუსის ამოხსნა (დასმული კითხვიდან გამომდინარე) სარჩელის მხოლოდ დასაშვებობით შემოიფარგლებოდეს, ან კითხვა სადავო ნორმის მხოლოდ ფორმალური კონსტიტუციურობის დადგენას ითხოვდეს. იმ შემთხვევაში, თუ კითხვა ზოგადია, (მაგალითად დაადგინეთ სადავო ნორმის კონსტიტუციურობა) კაზუსში, მაშინ პირველ ეტაპზე დგინდება სარჩელის საკონსტიტუციო სასამართლოში დასაშვებობა, შემდეგ ეტაპზე განხილული უნდა იქნეს იყო, თუ არა ჩარევა ძირითადი უფლებით დაცული სფეროში, ბოლოს კი გაანალიზებული იქნეს სადავო ნორმის ფორმალური და მატერიალური შესაბამისობა კონსტიტუციასთან თანაზომიერების პრინციპის მიხედვით.

კაზუსის ამოხსნა ძირითად უფლებებში გამოირჩევა იმით, რომ იგი სამართლის სხვა დარგებთან შედარებით ნაკლებადაა ფაქტობრივ გარემოებებზე ორიენტირებული. კაზუსის ამოხსნისას დგინდება ნორმატიული აქტის ფორმალური, ან მატერიალური შესაბამისობა კონსტიტუციასთან. ფორმალური შესაბამისობისას განხილულია სადავო (შემზღვედავი აქტის) ფორმალური მხარე. მაგალითად, თუ კონსტიტუციის 21-ე მუხლის მე-3 პუნქტი ითვალისწინებს, რომ საკუთრების ჩამორთმევა ორგანული კანონით დადგენილი წესით უნდა მოხდეს, მონმდება, თუ რამდენად არის ნორმატიული აქტი ორგანული კანონი. გარდა ამისა, კანონმდებლობა ითვალისწინებს, სასამართლოს მიერ კონსტიტუციით დადგენილი მიღების/გამოცემის ფორმალური წესის და პროცედურების შემოწმებას. მატერიალური შემოწმებისას კი გამოიყენება ე.წ. თანაზომიერების პრინციპი.

კაზუსის ამოხსნის მიზანია სწორედ საბოლოო დასკვნის შედგენა, რომელიც ცალსახად ასკვნის სადავო ნორმის (ან ნორმების) საკონსტიტუციო სასამართლოში განსახილველად დასაშვებობას და კონკრეტულ, ლოგიკურ არგუმენტებზე დაყრდნობით ადგენს მის კონსტიტუციასთან შესაბამისობას. მნიშვნელოვანია, რომ საბოლოო დასკვნაში პასუხი იქნეს გაცემული ყველა საკვანძო კითხვაზე.

იმისათვის, რომ სტუდენტისათვის ტექნიკური თვალსაზრისით მოსახერხებელი და მარტივი იყოს კაზუსზე მუშაობა, აღნიშნულ მეთოდიკას, თან ერთვის საქართველოს კონსტიტუცია, 2016 წლის 1. დეკემბრის მდგომარეობით.

I. ტერმინთა განმარტება

კაზუსის ამოხსნის კონკრეტულ მეთოდუკასთან ერთად, მიზანშეწონილია რამდენიმე ტერმინის განმარტება, რადგან ყველა ძირითადი უფლების დარღვევის შემომნ-მება ქვემოთ მოცემული ტერმინების ცოდნას საჭი-როებს. ტერმინთა შემდეგი განმარტებანი ყველა ტი-პის კაზუსის ამოხსნისას გამოსადეგია. კონკრეტული კაზუსის ამოხსნისას სქოლიოში მითითებული იქნება განმარტებანი ნუმერაციის მიხედვით.

1. **ძირითადი უფლებით დაცული სფერო** პირობითად ორად იყოფა: ა) პერსონალურად და ბ) საგნობრივად დაცული სფერო. თავდაპირველად დგინდება, რამ-დენად არის კონკრეტული პირი, პერსონალურად დაცული კონსტიტუციით. ანუ არის თუ არა იგი, კონკრეტული ძირითადი უფლების სუბიექტი. **ა) სუ-ბიექტი** - არის ფიზიკური ან (კერძო და გამონაკლის შემთხვევებში საჯარო სამართლის) იურიდიული პი-რი, რომელიც უფლებამოსილია ისარგებლოს მისი უფლების კონსტიტუციური დაცვით. „თითოეული კონსტიტუციური უფლება თავად განსაზღვრავს ამ უფლების სუბიექტებს“.¹

ყველა პირი ვერ იქნება ყველა უფლების სუბიექ-ტი. მაგალითად, ყველა ადამიანისთვის განსაზღ-ვრული ძირითადი უფლებები მიუთითებს ძირი-თადი უფლების სუბიექტებს ტერმინებით: „ყვე-ლა ადამიანი“ (მე-14 მუხლი); „ადამიანი“ (მე-15 მუხლის პირველი პუნქტი); „ყოველი ადამიანი“ (მე-20 მუხლის პირველი პუნქტი). კონსტიტუცია ზოგიერთ შემთხვევაში საქართველოს მოქალა-

¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივ-ნისის გადაწყვეტილება №1/466 საქმეზე *საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, სამოტივაციო ნაწილი, მე-7 პუნქტი.

ქეების უფლებებზე შესაბამის სუბიექტებს ადგენს, როგორცაა მაგალითად 26-ე მუხლის მე-2 პუნქტი ან 28-ე მუხლის პირველი პუნქტი. კონსტიტუციის 47-ე მუხლით უზრუნველყოფილი პოლიტიკური თავშესაფრის ძირითადი უფლებების სუბიექტები კი, მხოლოდ უცხო ქვეყნის მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები არიან. საქართველოს კონსტიტუციის 45-ე მუხლის თანახმად ძირითადი უფლების სუბიექტები ზოგიერთ შემთხვევაში იურიდიული პირებიც არიან.

კაზუსის ამოხსნისას აუცილებელია დადგინდეს პირის სამართალსუბიექტობა, რადგან პირველი_ განისაზღვროს პერსონალურად ვინ იზღუდება სახელმწიფოს მხრიდან კონკრეტულ უფლებაში ჩარევის შემთხვევაში და მეორე _ იმის დასადგენად არის, თუ არა კონკრეტული სუბიექტი უფლებამოსილი წარადგინოს კონსტიტუციური სარჩელი. კითხვას, თუ როდიდან (დაბადებიდან, თუ ჩასახვიდან) როდემდე (გარდაცვალებამდე თუ გარდაცვალების შემდეგ) გრძელდება ადამიანის სამართალსუბიექტობა განიხილება ცალკეული ძირითადი უფლების შესწავლისას.

ბ. ძირითადი უფლებით საგნობრივად დაცული სფერო - წარმოადგენს იმ სამართლებრივ სიკეთეს, რომელიც კანონმდებლის მიერ კონსტიტუციურ რანგში იქნა აყვანილი. სხვა სიტყვებით, რომ გადმოვცეთ, ადამიანის ის უფლება, რომელიც კონსტიტუციით არის დაცული. თუ რომელი ძირითადი უფლებით არის დაცული, კონკრეტული უფლება, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს, არც ისე მარტივი დასადგენია. კონსტიტუციის ენა, მისი გადმოცემის აბსტრაქტული მანერა რამდენიმე განმარტების საშუალებას იძლევა. ამიტომ დაცული სფეროს დადგენას განსაკუთრებული დაკვირვება სჭირდება. ზოგიერთ შემთხვევაში ადამიანის ძირითადი უფლებით დაცული კონკრეტული სიკეთე

კონსტიტუციის ორი, ან რამდენიმე მუხლით შეიძლება იყოს დაცული. ასეთ შემთხვევაში ვრცელდება სამართლის ზოგადი პრინციპი: *Lex specialis derogat legi generali*. ასეთ შემთხვევაში გამოიყენება სპეციალური და არა ზოგადი ნორმა.

მაგალითად, რამდენადაც კონსტიტუციის მე-16 მუხლი იცავს არა რომელიმე კონკრეტულ თავისუფლებას, არამედ პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებას, ამდენად ის ე.წ. ზოგადი, გენერალური უფლებაა სხვა ძირითად უფლებებთან მიმართებაში. შესაბამისად, მე-16 მუხლით მაშინ იქნება დაცული მაგალითად პირადი ცხოვრება, თუ იგი არ არის დაცული კონსტიტუციის სხვა, უფრო კონკრეტული მუხლით. მაგალითად ერთ-ერთ საქმეში² დავის საგანს წარმოადგენდა ოჯახის წევრთან შესახვედრად პატიმრისათვის დანესებული შეზღუდვა. ამ საქმეში მოსარჩელე სასჯელს იხდიდა მკაცრი რეჟიმის სასჯელალსრულების დანესებულებაში. მას შესაძლებლობა ჰქონდა შეხვედროდა მეუღლესა და მცირეწლოვან შვილებს ორ თვეში ერთხელ, ერთი საათით, მხოლოდ შუშის გამყოფი ბარიერის მიღმა. ხოლო მეორე მოსარჩელე მსჯავრდებული იყო განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის პირველად ჩადენისათვის და სასჯელს იხდიდა მკაცრი რეჟიმის სასჯელალსრულების დანესებულებაში, დედასთან და არასრულწლოვან შვილთან შეხვედრის შესაძლებლობა მას ეძლეოდა თვეში ერთხელ. საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით ამ შემთხვევაში პატიმრების ოჯახის წევრებთან დანესებულ შეხვედრების უფლება

² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ივნისის #1/2/458 განჩინება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები - ალექსანდრე მაჭარაშვილი და დავით სართანია საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წინააღმდეგ.

დაცული იყოს საქართველოს კონსტიტუციით, მაგრამ იგი თავსდებოდეს არა კონსტიტუციის მე-16 ან მე-20 მუხლით დაცულ სიკეთეებში, არამედ კონსტიტუციის 36-ე მუხლით იყოს დაცული. კონსტიტუციის მე-16 მუხლით დაცული სფერო ფართოა, მაგრამ „როდესაც ადამიანის სოციალური კავშირი ქორწინებითა და ოჯახით შემოიფარგლება, წარმოდგენილია არა კონსტიტუციის მე-16 მუხლით დაცული სფერო, არამედ კონსტიტუციის 36-ე მუხლით გათვალისწინებული უფლება“.³

2. **პროცესუალური სამართალსუბიექტობა** - იმისთვის, რომ პირმა იდავოს საკონსტიტუციო სასამართლოში, კონკრეტული უფლების სუბიექტობის გარდა, პროცესუალური სამართალსუბიექტობა უნდა ახასიათებდეს. რაც უპირველეს ყოვლისა ნიშნავს იმას, რომ **უშუალოდ მისი** უფლება უნდა იყოს უკვე (სავარაუდოდ) დარღვეული, ან იგი უნდა ასაბუთებდეს, რომ პერსპექტიულად არსებობს კონსტიტუციით გარანტირებული მისი უფლების დარღვევის რეალური საფრთხე. საკონსტიტუციო სამართალწარმოების მარეგლამენტირებელი კანონმდებლობის მოთხოვნები გამორიცხავს პირების მიერ სხვისი უფლებების დაცვის მიზნით კონსტიტუციური სარჩელის წარდგენის შესაძლებლობას.⁴ საქართველოს კონსტიტუციითა და კანონმდებლობით, საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში მხო-

3 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ივნისის #1/2/458 განჩინება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები - ალექსანდრე მაჭარაშვილი და დავით სართანია საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წინააღმდეგ.

4 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება №2/3/514 საქმეზე საქართველოს მოქალაქე მაია ასაკაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

ლოდ სახალხო დამცველს აქვს „*actio popularis*“-ის⁵ როგორც სამართლებრივი მექანიზმის გამოყენების უფლება.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიდგომა ქმედუუნარო პირის პროცესუალურ სამართალსუბიექტობასთან დაკავშირებით არ ემთხვევა ქმედუუნარო პირის პროცესუალურ უფლებაუნარიანობას სამოქალაქო სამართლის პროცესში. საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით: „საკონსტიტუციო სამართალწარმოების მარეგლამენტირებელი კანონმდებლობა სასამართლოსათვის მიმართვის უფლებამოსილების თვალსაზრისით ერთმანეთისაგან არ მიჯნავს პირებს მათი გონებრივი თუ სხვაგვარი შესაძლებლობების მიხედვით. უფრო მეტიც, სამოქალაქო კანონმდებლობისაგან განსხვავებით, კონსტიტუციური სამართალწარმოება საერთოდ არ იცნობს ქმედუუნარობის ინსტიტუტს. შესაბამისად, „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ სასამართლოსთვის მიმართვის სუბიექტებში იგულისხმება ნებისმიერი პირი, მათ შორის ისეთებიც, რომლებიც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, ქმედუუნაროდ ითვლებიან.“⁶ ე. ი. თუ პირი არის ძირითადი უფლებების სუბიექტი, მას აქვს არამხოლოდ კონსტიტუციური სარჩელის წარდგენის უფლებამოსილება, არამედ პროცესზე დამოუკიდებელ მოსარჩელედ გამოსვლის უფლებაც. აღნიშნული განსაკუთრებით ეხება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს⁷.

⁵ სხვისი უფლებების დასაცავად სასამართლო დავის წარმოების უფლებამოსილება.

⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება №2/3/514 საქმეზე საქართველოს მოქალაქე მაია ასაკაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, პ.4,

⁷ აღნიშნული პრაქტიკა თეორიულად აძლევს ნებისმიერ მცირე

აღნიშნული მიდგომა ქმედუუნარო პირის პროცესუალურ სამართალსუბიექტობასთან დაკავშირებით შემდეგ სასამართლო პრაქტიკას ეფუძნება: საქმეში „საქართველოს მოქალაქე მათა ასაკაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ მოსარჩელე სადავოდ ხდიდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მთელ რიგ ნორმებს, რომლებიც არეგულირებს სასამართლოს მიერ პირის ქმედუუნაროდ აღიარებასთან დაკავშირებულ პროცედურებს, მეურვისა და მზრუნველის, როგორც პირის კანონიერი წარმომადგენლის უფლება-მოვალეობებსა და საკუთრივ ქმედუუნაროდ აღიარებულ პირთან დაკავშირებულ საკითხებს. საკონსტიტუციო სასამართლომ არ მიიღო აღნიშნული სარჩელი არსებითად განსახილველად, ვინაიდან იგი შეტანილი იყო არაუფლებამოსილი სუბიექტის მიერ. სასამართლომ მიუთითა, რომ კონსტიტუციურ სარჩელზე მოსარჩელედ მითითებული იყო და სარჩელზე ხელს აწერდა ქმედუუნაროდ ცნობილი პირის მეურვე. სასამართლოს განცხადებით, გასაჩივრებული ნორმები ეხებოდა ქმედუუნაროდ ცნობილ პირს და შესაბამისად, კონსტიტუციის მე-16 მუხლით აღიარებული უფლების დარღვევასთან დაკავშირებით სასამართლოსთვის უნდა მიემართა არა მეურვეს საკუთარი სახელით, არამედ თავად ქმედუუნაროდ ცნობილ პირს. „პირს აქვს შესაძლებლობა, იდავოს მხოლოდ უშუალოდ საკუთარი უფლებების დარღვევაზე და არ არის უფლებამოსილი სასამართლოს მიმართოს სხვისი უფლებების დასაცავად“.⁸

რენლოვანს (მაგალითად 4-5 წლის ბავშვებს) შესაძლებლობას, გამოვიდეს კონსტიტუციური სამართალწარმოების პროცესში დამოუკიდებელ მოსარჩელედ და წარმართოს პროცესი. ან იგივე შეიძლება ითქვას ფსიქიკურად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე.

8 მართალია აღნიშნული სასამართლო პრაქტიკა ერთი მხრივ, მი-

თუმცა საკონსტიტუციო სამართალწარმოების პრაქტიკა არასრულწლოვან მოსარჩელებთან მიმართებით სხვაგვარიც არის. არასრულწლოვანმა სკოლის მოსწავლეებმა, რომლებმაც მშობლებისა და წარმომადგენლის მეშვეობით სასამართლოს თავისი სახელით მიმართეს, მათ ძირითად უფლებებს საკონსტიტუციო სამართალწარმოებისას კანონიერი წარმომადგენელი იცავდა.

მაგალითად საქმეში: რუსეთის მოქალაქეები - ოგანეს დარბინიანი, რუდოლფ დარბინიანი, სუსანნა ჟამკოციანი და სომხეთის მოქალაქეები - მილენა ბარსელიანი და ლენა ბარსელიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ⁹ საქმე ეხებოდა საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ განათლების უფლებასა (35-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტი) და თანასწორობას (მე-14 მუხლი). მოსარჩელები იყვნენ მოსწავლეები, რომლებიც მოითხოვდნენ, რომ სახელმწიფო სრულად უნდა აფინანსებდეს როგორც საქართველოს მოქალაქის, ისე უცხოელისა და აპატრიდის ზოგად განათლებას. ისინი საქმის წარმოების მომენტში არასრულწლოვნე-

სასაღმებელია, რადგან იგი იცავს ქმედუწუნარო პირის უფლებებს მიუხედავად იმისა მეურვე ან მზრუნველი არის თუ არა თანახმა, მაგრამ მეორე მხრივ, მან შეიძლება ქმედუწუნარო პირის საწინააღმდეგოდაც კი იმოქმედოს. იმ შემთხვევაში თუ ქმედუწუნარო პირი ვერ აცნობიერებს მის ძირითად უფლებებს, შესაბამისად, მას არ შეუძლია მიმართოს სასამართლოს. არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე, სასამართლო არ მიიღებს გონებრივი ჩამორჩენილობის საფუძველზე ქმედუწუნაროდ ცნობილი პირის მეურვის სარჩელს ან მცირეწლოვანი პირის სარჩელს მიუხედავად იმისა, რომ თვით ეს პირი საფრთხის ქვეშ არის, მაგრამ თვითონ ვერ აცნობიერებს მას.

9 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 12 სექტემბრის გადაწყვეტილება N 2/3/540 საქმეზე რუსეთის მოქალაქეები - ოგანეს დარბინიანი, რუდოლფ დარბინიანი, სუსანნა ჟამკოციანი და სომხეთის მოქალაქეები - მილენა ბარსელიანი და ლენა ბარსელიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

ბი იყვნენ. მოსარჩელები წარმოადგენდნენ ძირითადი უფლებების სუბიექტებს, შესაბამისად მათ შეეძლოთ თავიანთი არასრულწლოვანების მიუხედავად სასამართლო პროცესზე თვითონ დაეცვათ თავიანთი ინტერესები¹⁰, თუმცა მათ სასამართლო პროცესზე წარმომადგენლები წარმოადგენდნენ.

გარდა ამისა სამართალსუბიექტობის განსაზღვრის ეტაპზე აუცილებელია დადგინდეს თუ რამდენად არის უფლებების დარღვევა **უშუალო, რეალური და პირდაპირი**¹¹. ამ ეტაპზე უნდა შემოწმდეს იზღუდება, თუ არა *უშუალოდ* მოსარჩელის უფლებები, არის თუ, არა შედეგი უკვე *რეალურად* დამდგარი, ან არსებობს რეალური საფრთხე იმისა, რომ პირს მიადგეს ზიანი¹². სადავო, გასაჩივრებული რეგულაცია *პირდაპირ* კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებასთან უნდა იყოს კონფლი-

10 საქმეზე „საქართველოს მოქალაქე შალვა ნათელაშვილი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისა და საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ სასამართლომ დაადგინა, რომ სრულწლოვანი მოსარჩელე დაობდა არასრულწლოვანისათვის ფარმაცევტული პროდუქტების მიყიდვის აკრძალვასთან დაკავშირებით. ცხადია, რომ ეს აკრძალვა ვერ დაარღვევდა სრულწლოვანი მოსარჩელის უფლებებს შესაბამისად, სასამართლომ არ მიიღო საქმე არსებითად განსახილველად და განმარტა: „საკონსტიტუციო სამართალწარმოების მარეგლამენტირებელი კანონმდებლობა ერთმანეთისგან არ განასხვავებს სრულწლოვან და არასრულწლოვან პირებს სასამართლოსთვის მიმართვის თვალსაზრისით. არასრულწლოვანი პირი, უფლების დარღვევის შემთხვევაში, უფლებამოსილია, თავად იდავოს საკუთარ დარღვეულ უფლებაზე“ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე შალვა ნათელაშვილი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისა და საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ 14 მაისი 2015 N606

11 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 24 აპრილის #1/5/449 განჩინება საქმეზე საქართველოს მოქალაქე გიორგი სიორდია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

12 *ტულუში, თ./მენაბდე, ვ./ბურჯანაძე, გ./გოცირიძე, გ./მშვენიერაძე, გ.*: ადამიანის უფლებების და საკონსტიტუციო სამართალწარმოების პრაქტიკა, თბილისი, 2013, გვ. 608-610.

ქტში, და არა სხვა რომელიმე სამართლებრივ აქტთან შეუსაბამობის გამო იყოს კონსტიტუციური სამართალწარმოების წესით გასაჩივრებული.

3. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო იხილავს **საერთო სასამართლოს კონსტიტუციურ წარდგინებას**. თუ საერთო სასამართლოში (იგულისხმება სამივე ინსტანციის სასამართლო) კონკრეტული საქმის განხილვისას სასამართლო დაასკვნის, რომ არსებობს საკმარისი საფუძველი, რათა კანონი, ან სხვა ნორმატიული აქტი, რომელიც უნდა გამოიყენოს სასამართლომ ამ საქმის გადწყვეტისას, მთლიანად, ან ნაწილობრივ მიჩნეულ უნდა იქნეს კონსტიტუციის შეუსაბამოდ, იგი შეაჩერებს საქმის განხილვას და მიმართავს საკონსტიტუციო სასამართლოს. საქმის განხილვა განახლდება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ამ საკითხის გადაწყვეტის შემდეგ („საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტი).

2014 წლის 17 სექტემბერს საქართველოს უზენაესმა სასამართლომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა ორი კონსტიტუციური წარდგინებით¹³. წარდგინების მიხედვით, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2014 წლის 15 სექტემბერს შეაჩერა ორი საქმის წარმოება. პირველი მსჯავრდებულის საკასაციო საჩივართან დაკავშირებით და მეორე საქმის წარმოება პროკურორის საკასაციო საჩივრის

13 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2015 წლის 29 სექტემბერის გადაწყვეტილება №3/1/608,609 საქმეზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 297-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე.

განხილვასთან დაკავშირებით მსჯავრდების საქმეზე და წარდგნებით მიმართა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს. სასამართლომ ორივე წარდგინება დააკმაყოფილა.

4. **ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში ჩარევად** ითვლება მხოლოდ სახელმწიფოს, მისი სახელით მოქმედი ორგანოების ისეთი მოქმედება (ან ზოგიერთ შემთხვევაში უმოქმედობა), რომელიც აფერხებს, ართულებს, ან საერთოდ შეუძლებელს ხდის პირის მიერ ძირითადი უფლებით სარგებლობას. ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში ჩარევა შეიძლება მოხდეს სახელმწიფო ორგანოების *რეალური ქმედებით, ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით*, (მაგ. სასამართლოს გადაწყვეტილება) ან *ნორმატიული აქტით* (მაგ. კანონი).¹⁴

დაცულ სფეროში ჩარევის დადგენა, მაშინვე არ უნდა იქნეს გაგებული ძირითადი უფლების დარღვევად. სახელმწიფოს მიერ ადამიანის ძირითადი უფლების შეზღუდვა შესაძლოა გამართლებული იყოს. შესაბამისად 1. უფლების სუბიექტის, 2. დაცული სფეროსა და 3. ჩარევის დადგენა მხოლოდ შუალედური დასკვნის გაკეთების საშუალებას გვაძლევს¹⁵.

5. **სახელმწიფოს ჩარევის ფორმალური შესაბამისობა კონსტიტუციასთან** უნდა დადგინდეს ყველა ძირითადი უფლების სავარაუდო დარღვევის შემომჩივლისას. ფორმალური შესაბამისობა უპირველესად

14 აქვე გასათვალისწინებელია, რომ პირს საკუთარი უფლებების დასაცავად საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში დავა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია, თუ მის უფლებაში სახელმწიფო ნორმატიული აქტის საშუალებით ჩაერია.

15 აქ გამონაკლისია მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები, როგორც აბსოლუტური უფლება. რომელიც ქვემოთ N4 და N5 კაზუსის ამოხსნის განიხილება.

გულისხმობს კანონის მიღების უფლებამოსილებას, პროცედურას და ფორმას. ფორმალური შესაბამისობის შემონმებისას უნდა გაირკვეს კონსტიტუციის გარანტირებული ძირითადი უფლებების შემზღუდავი კანონი არის, თუ არა ამისათვის დადგენილი პროცედურის დაცვით, კომპეტენტური ორგანოს მიერ მიღებული.¹⁶

ამ მხრივ საინტერესოა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 25 მაისის გადაწყვეტილება¹⁷. საქმეში დავის საგანს წარმოადგენდა „საგანგებო მდგომარეობის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2003 წლის 22 დეკემბრის ორგანული კანონის და მის საფუძველზე გამოცემული „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურის 2004 წლის 7 იანვრის განკარგულების კონსტიტუციურობა. საქართველოს კონსტიტუციის მე-3 მუხლი განსაზღვრავს იმ უფლებამოსილებათა ჩამონათვალს, რომელსაც მხოლოდ უმაღლესი სახელმწიფო ორგანოები ახორციელებენ. საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ ამ მუხლში ჩამოთვლილი არცერთი უფლებამოსილება არ შეიძლება მოქცეულიყო ავტონომიური

16 *ფირცხალაშვილი, ა.*: საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, ავტორთა კოლექტივი (რედ. ტურავა, პ.), თბილისი, 2013, გვ. 217.

17 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 25 მაისის #15/290,266 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (სულ 67 დეპუტატი) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პარლამენტის წინააღმდეგ და საქართველოს მოქალაქე თამაზ დიასამიძე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პარლამენტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურის წინააღმდეგ.

რესპუბლიკის გამგებლობაში.¹⁸ შესაბამისად აღნიშნული სამართლებრივი აქტები არ იყო უფლებამოსილი ორგანოს/პირის მიერ გამოცემული. რადგან საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების უფლება, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, ან მის რომელიმე ნაწილში გააჩნდა მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტს. ამასთან, ამ გადაწყვეტილების საქართველოს პარლამენტში დასამტკიცებლად შეტანის ვალდებულებით. საკონსტიტუციო სასამართლომ ამ ნორმატიული აქტების, საქართველოს კონსტიტუციასთან ცალსახა ფორმალური შეუსაბამობა დაადგინა: „სადავო კანონი არა მხოლოდ კომპეტენციის დარღვევით არის მიღებული და აჭარის არ ხელისუფლების ორგანოებს ანიჭებს საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიკუთვნებული საკითხების გადაწყვეტის შესაძლებლობას, არამედ იმავდროულად არღვევს საქართველოს მოქალაქეთა კონსტიტუციურ უფლებებსა და თავისუფლებებს“.¹⁹

6. ძირითად უფლებას გააჩნია **კონსტიტუციურ-სამართლებრივი ზღვარი**. ზღვარი ადგენს სახელმწიფოს მიერ ძირითადი უფლების შეზღუდვის ფარგლებს. კაზუსის ამოხსნისას უნდა გაირკვეს არსებობს, თუ არა ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში ჩარევის საფუძვლები. ჩარევის საფუძველი საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით ოთხგვარი შეიძლება იყოს. შესაძლოა, ერთი და იგივე ძირითად უფლებას ერთი, ან რამდენიმე კონსტიტუციურ სამართლებრივი საფუძველი ჰქონდეს. ა) კანონის კონკრეტული დათქმა; ბ) სასამართლოს გადაწყვეტილების დათქმა; გ) უშუალო კონსტიტუციური ზღ-

18 იქვე, პ. I.

19 იქვე, პ. III.

ვარი; დ) შიდაკონსტიტუციური შეზღუდვა.

ა) კანონის კონკრეტული დათქმით დაწესებული ზღვარი საქართველოს კონსტიტუციაში საკმაოდ ხშირად გვხვდება. მაგალითად კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველი პუნქტი მიუთითებს, რომ შეზღუდვა კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში არის შესაძლებელი, ხოლო ამავე მუხლის მესამე პუნქტი საკუთრების უფლებაში ჩარევას მხოლოდ ორგანული კანონით უშვებს. ორივე შემთხვევაში კანონმდებელი უნდა გამოდიოდეს „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებიდან“. კანონის კონკრეტულ დათქმებს, მითითებებს, ვხვდებით ასევე კონსტიტუციის სხვა მუხლებშიც. მაგალითად მე-20, 22-ე, 24-ე მუხლები და სხვა.

ბ) ზოგიერთ შემთხვევაში ძირითად უფლების ზღვარს სასამართლო გადაწყვეტილების დათქმა წარმოადგენს. რაც იმას ნიშნავს, რომ კონკრეტული დაცული სფეროს შეზღუდვა სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე არის დაშვებული. მაგალითად, საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „თავისუფლების აღკვეთა ან პირადი თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვა დაუშვებელია სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე“, ან მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, „არავის არა აქვს უფლება შევიდეს საცხოვრებელ ბინაში და სხვა მფლობელობაში მფლობელ პირთა ნების საწინააღმდეგოდ, აგრეთვე ჩაატაროს ჩხრეკა, თუ არ არის სასამართლოს გადაწყვეტილება ან კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობა“. აქ გვხვდება მაგალითად, ორი, ალტარნატიული ზღვარი, რაც გრამატიკულად გამოიხატება კავშირით – „ან“.

გ) უშუალო კონსტიტუციური ზღვარი სახეზეა იმ შემთხვევაში, როდესაც კონსტიტუცია კანონზე მითითების გარეშე თავად განსაზღვრავს ძირითად უფლებაში

ჩარევის კონკრეტულ წინაპირობებს. მაგალითად, 26-ე მუხლის მე-3 პუნქტი მიუთითებს იმ კონკრეტულ შემთხვევებზე, როცა დაუშვებელია პოლიტიკური გაერთიანებების შექმნა - „დაუშვებელია ისეთი საზოგადოებრივი და პოლიტიკური გაერთიანების შექმნა და საქმიანობა, რომლის მიზანია საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობა ან ძალადობით შეცვლა, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფა, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, ან რომელიც ეწვევა ომის ან ძალადობის პროპაგანდას, აღვივებს ეროვნულ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს“.

დ) საქართველოს კონსტიტუცია იცნობს **შიდა კონსტიტუციურ ზღვარს**. ამ შემთხვევაში, კონსტიტუცია ძირითად უფლებაში ჩარევისთვის არ იცნობს კონკრეტულ დათქმას, მაგრამ მიუხედავად ამისა, აღნიშნულ უფლებაში ჩარევა შიდაკონსტიტუციური შეზღუდვის საფუძვლებით შეიძლება განხორციელდეს. ასეთის საფუძველს წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტი, ე.წ. კლასიკური ზღვარი - „ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელებამ არ უნდა დაარღვიოს სხვათა უფლებები და თავისუფლებები“. ამგვარი დანაწესი ნიშნავს იმას, რომ ერთი ადამიანის უფლებები მთავრდება იქ, სადაც იწყება მეორეს უფლებები.

მაგალითად მიუხედავად იმისა რომ, კონსტიტუციის მე-16 მუხლი, არ ითვალისწინებს არც კანონის და არც უშუალო კონსტიტუციურ დათქმას. მას მაინც აქვს ზღვარი. მასზე ვრცელდება შიდა კონსტიტუციური (იგივე კლასიკური) ზღვარი: „სხვათა უფლებების“ სახით. თუკი კონკრეტული ადამიანის პიროვნული განვითარებისათვის, აუცილებელია ძალიან მაღალი ხმის ტონალობით სიმღერა დღე-ღამეში მაგალითად 16 საათი,

ეს შესაძლოა ხელს უშლიდეს სხვას, მაგალითად მეზობელს, თავის პიროვნულ განვითარებაში, რადგან მას იმისათვის, რომ მეორე დღეს იყოს პროდუქტიული, ღამის საათებში დასვენება, მშვიდი ძილი სჭირდება.

7. **ზღვრის ზღვარი** გულისხმობს იმის შემონახვას, თუ რამდენად დაიცვა სახელმწიფომ ადამიანის ძირითად უფლებაში ჩარევისას კონსტიტუციურ-სამართლებრივი ზღვარი, ჰქონდა თუ არა მას ამისათვის გონივრული (მატერიალურ-სამართლებრივი) საფუძველი. ზოგჯერ კონსტიტუცია პირდაპირ მიუთითებს სახელმწიფოს მიერ ძირითადი უფლების შეზღუდვის ფარგლების (ზღვრის) შემონახვის სტანდარტს, იგივე ზღვრის ზღვარს.

მაგალითად, საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველი პუნქტი ადგენს საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლებაში სახელმწიფოს ჩარევის ზღვარს შემდეგნაირად: „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის დასაშვებია [...] კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით“, თუმცა, იქვე უდგენს სახელმწიფოს კრიტერიუმს, რომლითაც მან არ უნდა გადააჭარბოს ჩარევის ფარგლებს, იგივე ზღვრის ზღვარს, რომლის მიხედვითაც, სახელმწიფოს ჩარევის ფარგლები უნდა იყოს იმგვარი, რომ „არ უნდა დაირღვეს საკუთრების უფლების არსი“. შესაბამისად, თუ „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროება“ არის ჩარევის ზღვარი, „საკუთრების უფლების არსის“ შენარჩუნება არის ზღვრის ზღვარი.

8. **ჩარევის კონსტიტუციურ სამართლებრივი გამართლება: თანაზომიერების პრინციპი (იგივე პროპორციულობის ტესტი)** კაზუსის ამოხსნის

ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია. იგი ლოგიკურ მსჯელობასა და დასაბუთებულ არგუმენტებს უნდა ეყრდნობოდეს. ყველა ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის შემოწმება აღნიშნულ პრინციპს უნდა ემყარებოდეს. ტერმინოლოგიურად თანაზომიერების პრინციპს სხვადასხვა სინონიმით აღნიშნავენ, მათ შორის, ზომაზე მეტის აკრძალვა, შესაბამისი, გონივრული, პროპორციული.²⁰ „უფლების შეზღუდვის შეფასების საზომი, თანაზომიერების პრინციპია. აღნიშნული პრინციპი წარმოადგენს ადამიანის უფლების შეზღუდვისას კანონმდებლის შებოჭვის მექანიზმს და, შესაბამისად, კონსტიტუციური კონტროლის ელემენტს. თანაზომიერების პრინციპის მოთხოვნაა, რომ უფლების მზლუდავი საკანონმდებლო რეგულირება უნდა წარმოადგენდეს ღირებული საჯარო (ლეგიტიმური) მიზნის მიღწევის გამოსადეგ და აუცილებელ საშუალებას. ამავე დროს, უფლების შეზღუდვის ინტენსივობა მისაღწევი საჯარო მიზნის პროპორციული, მისი თანაზომიერი უნდა იყოს. დაუშვებელია ლეგიტიმური მიზნის მიღწევა განხორციელდეს ადამიანის უფლების მომეტებული შეზღუდვის ხარჯზე.“²¹ თანაზომიერების პრინციპი უზრუნველყოფს ერთი მხრივ, პირის თავისუფლების, და მეორე მხრივ, თავისუფლების შეზღუდვის განონასწორებულ, თანაზომიერ დამოკიდებულებას და კრძალავს ძირითადი უფლებებში ზომაზე მეტად ჩარევას²². უპირველესად უნდა და-

20 იზორია, ლ.: ადამიანის უფლებების შეზღუდვა და თანაზომიერების პრინციპი, ადამიანის უფლებათა დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში, სტატიათა კრებული (რედ. კორკელია, კ.) თბილისი, 2002, გვ. 43.

21 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის N3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე დანიის მოქალაქე ჰეიკე ქრონკვისტი საქართველოს პარლამეტის წინააღმდეგ, II. 61.

22 Iahnel, D, in: Marten/Papier (Hg), Handbuch der Grundrechte in Deutschland und Europa, B. VII/1, Aufl. 2., 2014 S. 863 ff.

დგინდეს თუ რა სავარაუდო **ლეგიტიმური მიზანი** ამოძრავებს სახელმწიფოს, როცა იგი ადამიანის ძირითად უფლებებში ერევა. უფლების თვითნებური/თვითმიზნური შეზღუდვა დაუშვებელია და იგი უნდა ემსახურებოდეს, კონკრეტული ლეგიტიმური მიზნის მიღწევას²³. შემდეგ კი უნდა დადგინდეს სამი ელემენტის არსებობა: **ა)** არის თუ არა სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ჩარევა დასახელებული ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად რეალურად **გამოსადეგი**; **ბ)** არის თუ არა სახელმწიფოს ამგვარი ჩარევა, ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად ნამდვილად **აუცილებელი** და ხომ არ იყო შესაძლებელი ამ მიზნის მისაღწევად რაიმე უფრო მსუბუქი საშუალებების გამოყენება; **გ)** რამდენად არის სახელმწიფოს ჩარევა ადამიანის ძირითად უფლებებში აღნიშნული ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად **შესაბამისი** (ვიწრო გაგებით **პროპორციული**). ამ შემთხვევაში ხდება კონკურირებადი ინტერესების ანონ-დანონვა და მოწმდება კონკრეტულ შემთხვევაში, თუ რომელი ინტერესი არის უფრო მნიშვნელოვანი - ის, რომელიც კონკრეტული უფლებით დაცულ სფეროში ხვდება, თუ ის (სხვათა უფლებები, საჯარო ინტერესი), რომლის დასაცავადაც კონკრეტულ უფლებებში ხდება სახელმწიფოს ჩარევა.

მაგალითად, საქართველოს კანონმდებლობით, განსაზღვრული იყო შეკრების (მანიფესტაციის) ჩატარებაზე შეზღუდვა განსაზღვრული ადმინისტრაციული ორგანოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების შესასვლელებიდან 20 მეტრის რადიუსში მდებარე ტერიტორიაზე. აღნიშნული ნორმა გახდა საქართველოს საკონს-

23 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის N3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე დანიის მოქალაქე ჰეიკე ქრონჟესტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 61.

ტიტუციო სასამართლოს მსჯელობის საგანი. საკონსტიტუციო სასამართლომ ლეგიტიმური მიზანი შემდეგნაირად შეაფასა: [სადავო ნორმა] „ჩამოთვლის დანესებულებებს, რომლებიც მნიშვნელოვან სახელმწიფო, თუ საზოგადოებრივ ფუნქციებს ასრულებენ, მათი ეფექტური საქმიანობის უზრუნველყოფა სახელმწიფოსა და საზოგადოებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია და ამდენად, უფლების შეზღუდვის კონსტიტუციით გათვალისწინებულ ლეგიტიმურ მიზნებს წარმოადგენს.“²⁴ თუმცა ჩათვალა, რომ კანონმდებლის მიერ დანესებული ბლანკეტური აკრძალვა ვერ იქნებოდა მიზნის მისაღწევად **გამოსადეგი**, რადგან „დანესებულებები ერთმანეთთან ისე მჭიდროდ შეიძლება იყოს განლაგებული, რომ მათი შესასვლელებიდან ოცი მეტრის რადიუსები ერთმანეთს კვეთდეს“.²⁵ გარდა ამისა, სასამართლოს აზრით ნორმის არაკონსტიტუციურობა აკრძალვის ბლანკეტურობაში გამოიხატებოდა, რადგან ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად სრული, (ბლანკეტური) აკრძალვა არ იყო **აუცილებელი**, (რადგან, შესაძლებელი იყო ადმინისტრაციული ორგანოს ადგილმდებარეობის გათვალისწინებით დანესებულები შეზღუდვა. ასეთი პრაქტიკა არის გერმანიის ქალაქებში, მაგალითად ბერლინში. საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით: „სადავო ნორმებით დადგენი-

24 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილება #2/482,483,487,502 საქმეზე მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის“ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია“, საქართველოს მოქალაქეები – ზვიად ძიძიგური და კახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები დაჩი ცაგურია და ჯაბა ჯიშკარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, პ. 55. 25 იქვე, პ. 58.

ლი შეზღუდვის პირობებში, ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების ლანდშაფტის, ადმინისტრაციული ორგანოებისა და დანესებულებების ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების რეალიზება, ზოგიერთ შემთხვევაში, პრაქტიკულად შეუძლებელი იქნება.“ რადგან სადავო ნორმა „**იმაზე მეტად ზღუდავს ადამიანის უფლებას, ვიდრე ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად არის საჭირო**“²⁶ სასამართლომ სადავო ნორმა არაკონსტიტუციურად გამოაცხადა.

მხოლოდ ჩამოთვლილი, სამივე ელემენტის (გამოსადეგი, აუცილებელი და შესაბამისი) დადებითად შეფასების შემთხვევაში აქვს ძირითად უფლებაში სახელმწიფოს ჩარევას კონსტიტუციურ-სამართლებრივი გამართლება. თუ თანაზომიერების ტესტის რომელიმე ელემენტი ვერ დააკმაყოფილა ნორმამ, ის უკვე არაკონსტიტუციურია და ტესტის დანარჩენი ელემენტების ბოლომდე განხილვა აღარ გრძელდება.

9. გარდა ამისა, ნორმატიული აქტი უნდა აკმაყოფილებდეს **ნორმის განსაზღვრულობის** იმ კრიტერიუმებს, რომლებიც სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან გამომდინარეობს. „**ზოგადად, კონკრეტული კონსტიტუციური უფლების შინაარსის კონსტიტუციით დასაშვებ ფარგლებში განსაზღვრისთვის კანონმდებელი ვალდებულია, მიიღოს ზუსტი, მკაფიო, არაორაზროვანი, განჭვრეტადი კანონმდებლობა (ნორმები), რომელიც პასუხობს კანონის განსაზღვრულობის მოთხოვნას. ეს გარემოება ერთ-ერთი გადამწყვეტი კრიტერიუმია ნორმის კონსტიტუციურობის შე-**

ფასებისას“.²⁷ ნორმის განსაზღვრულობა არის პირის სამართლებრივი უსაფრთხოების გარანტი.

ამ თვალსაზრისით საინტერესო მაგალითია, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განხილულ საქმეში ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ,²⁸ კერძოდ, კი საქმე ეხებოდა ოპერატიულ/სამძებრო ღონისძიების დროს სატელეფონო, ან სხვა საშუალებების ფარული კონტროლის ჩატარებას. მოსარჩელები დაობდნენ კანონის განჭვრეტადობასთან დაკავშირებით, კერძოდ კი იმაზე, რომ ნორმა ისე იყო ფორმულირებული, რომ იძლეოდა მისი სხვადასხვაგვარი წაკითხვის საშუალებას. სასამართლომ საჭიროდ მიიჩნია ყურადღება გაემახვილებინა ნორმის განჭვრეტადობის მოთხოვნაზე. საკონსტიტუციო სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელეთა მოთხოვნა და განაცხადა, რომ „კანონში დეტალურად, მკაფიოდ, საკმარისი დამაჯერებლობითა და სიცხადით უნდა იყოს მოცემული უფლებაში ჩარევის კონკრეტული მიზანი, ამოცანები, საფუძვლები. არაორაზროვანი, ნათელი და განჭვრეტადი უნდა იყოს უფლებაში ჩარევის წესი, ანუ პირებს კანონი უნდა უქმნიდეს ძალიან მკაფიო და თვალნათელ წარმოდგენას, როდის და როგორ შეიძლება აღმოჩნდეს მათი უფლება შეზღუდვის რისკის ქვეშ“²⁹ სასამართლომ კიდევ უფრო დააკონკრეტა „უფლების შეზღუდვაზე

27 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბერის გადაწყვეტილება № 1/3/407 საქმეზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

28 იქვე, II, პ. 27.

29 იქვე, II, პ. 28.

უფლებამოსილი პირების დასაშვები მოქმედების ფარგლები [რომელიც უნდა] იყოს *კონკრეტული, გასაგები, მკაფიო*³⁰ სწორედ ამიტომ ნორმა ვერ აკმაყოფილებდა გამჭვირვალობისა და ხელმისაწვდომობის მოთხოვნებს, იურიდიული მეთოდოლოგიით გონივრული განმარტების შედეგად, მისი წაკითხვის ერთი ვერსია ეწინააღმდეგებოდა კონსტიტუციას. შესაბამისად იგი არაკონსტიტუციურად გამოცხადდა.

10. **ძირითადი უფლების არსის** შენარჩუნება დაცულ სფეროში ჩარევისას, არის ერთ-ერთი ის კრიტერიუმი, რომელიც სახელმწიფომ ძირითად უფლებაში ჩარევისას აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს.³¹ ამის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითს კონსტიტუციის 21-ე მუხლის ფორმულირება წარმოადგენს. 21-ე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად: „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის დასაშვებია ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულ უფლებათა შეზღუდვა კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით, იმგვარად, რომ არ დაირღვეს საკუთრების უფლების არსი“. აღნიშნული ელემენტი არის იმდენად მყოფადი, მდგრადი და უალტერნატივო, შეზღუდვა საზოგადოებრივი აუცილებლობითაც რომ იყოს გამოწვეული და იმავდროულად მას კანონიც ითვალისწინებდეს, თუ ირღვევა უფლების არსი, ჩარევის განხორციელება კვალიფიცირდება ყოველთვის როგორც არაკონსტიტუციური³². თავიდან უნდა იქნეს აცილებული

30 იქვე, II, პ. 29.

31 იხ. დეტალურად *ზოიძე*, ბ.: ძირითადი უფლების არსის შენარჩუნების პრინციპი, საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა V, 2012, გვ. 138-149.

32 *ფირცხალაშვილი*, ა.: საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, ავტორთა კოლექტივი (რედ. ტურა-

თავად უფლებით დაცული სფეროს ძირითადი არსის გამოფიტვა³³. ძირითადი უფლების არსის შელახვა უტოლდება ადამიანის ღირსების ხელყოფას.

მაგალითისათვის საინტერესოა საქმე „დანიის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“³⁴. საქმე ეხებოდა უცხო ქვეყნის მოქალაქის სასოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრების უფლებას. ამ საქმეში კანონი უკრძალავდა უცხო ქვეყნის მოქალაქეს სასოფლო სამეურნეო მიწის შეძენას, მისი მემკვიდრეობით მიღებისას კი მოქალაქეს იგი 6 თვის განმავლობაში უნდა გაესხვისებინა. საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით ეს რეგულირება არ შეესაბამებოდა კონსტიტუციას, რადგან იგი ადამიანის საკუთრების უფლების არსს არღვევდა. სახელმწიფოს ასეთი ქმედება კი ადამიანის ღირსების პატივისცემასთან იყო დაკავშირებული³⁵. ისეთ შემთხვევაში თუ უცხოელისათვის სასოფლო-სამეურნეო მიწის შეძენა გონივრული კრიტერიუმით მხოლოდ შეზღუდული რომ ყოფილიყო იგი არ გამოიწვევდა საკუთრების უფლების არსის დარღვევას.

11. **არათანაბარი მოპყრობა/დისკრიმინაცია.** ქართულ სამართლებრივ ტერმინოლოგიაში დამკვიდრებული სიტყვები „არათანაბარი მოპყრობა“ არ განიხილება ტერმინ „დისკრიმინაციის“ სინონიმად.³⁶ თუ სახეზეა მოცემულობა, რომ ადამიანთა

ვა, პ.), თბილისი, 2013, გვ. 216

33 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილება № 3/1/512 საქმეზე დანიის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, პ. 57.

34 იქვე.

35 იქვე პ. 38.

36 *Pieroth, B./Schlink, B., Grundrechte, Staatsrecht II, 28. Aufl. Rn. 470*

ორ, ან რამდენიმე ჯგუფს სახელმწიფო არათანაბრად ეპყრობა, ეს იმთავითვე დისკრიმინაციას არ ნიშნავს. თუკი კაზუსის ამოხსნის შედეგად დადგინდება, რომ სახელმწიფოს მხრიდან აღნიშნული დაყოფა (დიფერენციაცია) შესაძარებელ ჯგუფებს შორის თვითნებური და გაუმართლებელია, მაშინ შეგვიძლია ვისაუბროთ არამხოლოდ არათანაბარ მოპყრობაზე, არამედ ასევე დისკრიმინაციაზე. ე.ი. ადამიანთა არასწორი ნიშნით დიფერენციაცია და მათი არათანაბარი მოპყრობა არის დისკრიმინაცია. დისკრიმინაცია შეიძლება არამხოლოდ არათანაბარი მოპყრობიდან, არამედ პირიქითაც დადგეს. დისკრიმინაცია სახეზეა ასევე, როცა სახელმწიფო გაუმართლებელი საფუძვლით არსებითად არათანასწორს თანასწორად, და პირიქით არსებითად თანასწორებს არათანასწორად ეპყრობა. საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი „ადგენს კანონის წინაშე თანასწორობის ფუნდამენტურ კონსტიტუციურ პრინციპს. მისი მიზანია, არ დაუშვას არსებითად თანასწორის უთანასწოროდ მოპყრობა, ან პირიქით“.³⁷

მაგალითისათვის ამგვარად შეიძლება დადგინდეს არსებითად თანასწორის უთანასწოროდ მოპყრობის (ან პირიქით) შემთხვევა. თუ *სსიპ*

ob, Ipsen, J., Staatsrecht II, Grundrechte, 15. Aufl. Rn 793 ob, Sunjid, D.: Der Gleichheitsgrundsatz in Bezug auf das allgemeine Gleichbehandlungsgesetz im deutschen und mongolischen Recht. Herbert Utz Verlag, München, S. 101.

37 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 მარტის #2/1/473 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე ბიჭიკო ჭონქაძე და სხვები საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის წინააღმდეგ, II. პ. 1; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება #1/1/493 საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები: „ახალი მემარჯვენეები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, პ. 1.

„საქართველოს შსს მომსახურების სააგენტო“, საქართველოს ყველა მოქალაქეს სთავაზობს მომსახურებას, რათა მათ მიიღონ მართვის მოწმობა, თუმცა სააგენტოს შენობაში შესასვლელად იგი ყველას სთავაზობს კიბეს. ეტლით მოძრავი შშმ პირებისათვის შეუძლებელია სააგენტოში შესვლა. ასეთ შემთხვევაში ცალსახაა, რომ კიბეებზე მოძრაობის თვალსაზრისით მართვის მოწმობის მიღების მსურველები არ არიან თანაბარნი. რადგან ერთ ჯგუფს თავისუფლად შეუძლია გადაადგილდეს კიბეებზე, მეორეს კი არა. შესაბამისად, შესაძლოა რომ სწორედ თანაბარი მოპყრობა იწვევდეს დისკრიმინაციას. მეორე შემთხვევაში დისკრიმინაციას იწვევს, როცა სახელმწიფო არსებითად თანასწორებს არათანაბრად ეპყრობა. თუ, მაგალითად მართვის მოწმობის მიღების მსურველ ქალბატონებს 18 წლის ასაკიდან შეეძლებათ განცხადებით მიმართონ შესაბამის ორგანოს, ხოლო მამაკაცებს მხოლოდ 20 წლის ასაკიდან. ასეთ შემთხვევაში მართვის მოწმობის მიღების მსურველი ქალბატონები და მამაკაცები ერთი და იგივე ასაკში თანაბრად მზად არიან მართვის მოწმობის მისაღებად. შესაბამისად, აღნიშნული კრიტერიუმით – მართვის მოწმობის ფლობა – დასახლებული ჯგუფები არიან ერთმანეთის თანაბარნი, ხელისუფლება კი არათანაბრად ეპყრობა მათ. რამაც შესაძლოა გამოიწვიოს დისკრიმინაცია.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა რა იგულისხმება **არსებითად თანასწორში (არსებითად მსგავსში)**. სოციალური ჯგუფის არსებობის დადგენის კრიტერიუმთან დაკავშირებით სასამართლომ განაცხადა³⁸: იმისთვის, რომ კანონი ახდენდეს

38 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18

პირთა სოციალური კუთვნილების ნიშნით დიფერენცირებას, საჭიროა მისი მიღების, ან მოქმედების პერიოდში არსებობდეს კონკრეტული სოციალური ჯგუფი, რომლის წევრობასაც უკავშირდება დიფერენცირება. შეიძლება, თუ არა პირთა ამა თუ იმ წრის განხილვა სოციალურ ჯგუფად, უნდა შეფასდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. სოციალური ჯგუფის არსებობის დადგენის კრიტერიუმები არ არის ცალსახა და ამომწურავი, თუმცა ზოგადი სურათის შესაქმნელად, პირობითად შესაძლებელია რამდენიმე მათგანის მითითება: 1. ჯგუფის წევრებს უნდა ახასიათებდეთ საერთო, მუდმივი ბუნება, რომელიც შეიძლება ჩამოყალიბდეს პირის არჩევანის, ან მისგან დამოუკიდებელი გარემოებების (ფაქტორების) გამო. მისი შეცვლა არ არის დამოკიდებული ჯგუფის წევრებზე, ან იმდენად ფუნდამენტურია მათი პიროვნებისათვის, რომ მისი შეცვლის მოთხოვნა გაუმართლებელია. 2. სოციალურ ჯგუფად შეიძლება მოვიაზროთ პირთა წრე, რომლის წევრებიც მჭიდროდ არიან დაკავშირებული მსგავსი იმიჯის, ქცევების ან/და ინტერესების საფუძველზე. ამავე დროს, ორივე შემთხვევაში ჯგუფის წევრებს უნდა ჰქონდეთ ისეთი ბუნება (თვისებები), რომელიც საშუალებას მისცემდა გარეშე პირებს, მოეხდინათ მათი, როგორც კონკრეტული სოციალური ჯგუფის წევრების იდენტიფიცირება. თუმცა, საკონსტიტუციო სასამართლო არ გამორიცხავს ისეთ პირთა წრის არსებობას, რომელიც ამ კრიტერიუმების დაკმაყოფილების გარეშეც შეიძლება ჩაითვალოს სოციალურ ჯგუფად.³⁹

12. არათანაბარი მოპყრობის რაციონალური და მკაცრი შეფასების ტესტი ნიშნავს იმას, რომ დიფე-

მარტის #2/1/473 გადაწყვეტილება, საქმეზე საქართველოს მოქალაქე ბიჭიკო ჭონქაძე და სხვები საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის წინააღმდეგ. II.3.8

39 იქვე II.3.10;

რენციების კონსტიტუციურობის შეფასება არ შეიძლება იყოს ერთგვაროვანი ნებისმიერი ტიპის დიფერენციაციის მიმართ. საკონსტიტუციო სასამართლოს განცხადებით, „კანონის წინაშე თანასწორობის უფლების ბუნებიდან გამომდინარე, მასში ჩარევისას, სახელმწიფოს მიხედულების ფარგლები განსხვავებულია, განსაკუთრებით იმის მიხედვით, რა ნიშნით, ან საზოგადოებრივი ცხოვრების რომელ სფეროში ახდენს ის პირთა დიფერენციაციას. შესაბამისად, განსხვავებული მოპყრობის გონივრულობის შეფასების მასშტაბიც განსხვავებულია: ცალკეულ შემთხვევაში ის შეიძლება გულისხმობდეს ლეგიტიმური საჯარო მიზნების არსებობის დასაბუთების აუცილებლობას (როგორებიცაა, სახელმწიფო უშიშროება, საზოგადოებრივი წესრიგი, კონსტიტუციური უფლებების შეზღუდვის კონსტიტუციით დასახელებული კონკრეტული საჯარო ინტერესები); სხვა შემთხვევებში ხელშესახები უნდა იყოს შეზღუდვის საჭიროება, თუ აუცილებლობა; ზოგჯერ შესაძლოა საკმარისი იყოს დიფერენციაციის მაქსიმალური რეალისტურობა, მათ შორის, მაგალითად, კონკრეტული გარემოებების რეალურად თავიდან აცილების შეუძლებლობის მიზეზით გამონვეული დიფერენციაცია. ამ უკანასკნელ შემთხვევაში დისკრიმინაციაზე საუბარი არ შეიძლება, თუ არათანასწორი მიდგომა ექვემდებარება გონივრულ ახსნას, გამართლებას, რაციონალიზაციას.⁴⁰“ სწორედ ასეთ შემთხვევაში გამოიყენება რაციონალური შეფასების ტესტი. ასეთ შემთხვევაში საკმარისია არსებობდეს რაიმე არათანაბარი მოპყრობის გო-

40 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება #1/1/493 საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები: „ახალი მემარჯვენეები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, პ. 5.

ნივრული და რაციონალური ახსნა. რომელიც აღარ საჭიროებს ლეგიტიმური მიზნის დასაბუთებას, მისი პროპორციულობის ტესტით შემოწმებას. „განსხვავებულია სასამართლოს კრიტერიუმებიც დიფერენცირებული მოპყრობის დისკრიმინაციულობის შეფასებისთვის. კლასიკური, სპეციფიური ნიშნებით დიფერენციაციისას სასამართლო იყენებს მკაცრი შეფასების ტესტს და ნორმას აფასებს თანაზომიერების პრინციპის მიხედვით. ამასთან, „შკაცრი ტესტის“ ფარგლებში ლეგიტიმური მიზნის დასაბუთებისას საჭიროა იმის მტკიცება, რომ სახელმწიფოს მხრიდან ჩარევა არის აბსოლუტურად აუცილებელი, არსებობს „სახელმწიფოს დაუძლეველი ინტერესი“⁴¹. ასეთ შემთხვევაში სახელმწიფოს მიერ დასახელებული დიფერენციაციის ლეგიტიმური მიზანი მოწმდება თანაზომიერების ტესტით (გამოსადეგობა, აუცილებლობა, შესაბამისობა). ე.ი. თუ დიფერენციაციის ინტენსივობა მაღალია, სასამართლო გამოიყენებს მკაცრ ტესტს, ხოლო ინტენსივობის დაბალი მაჩვენებლის შემთხვევაში რაციონალური საფუძვლით შემოწმების ტესტს. ამ ტესტის მიხედვით: „ა) საკმარისია დიფერენცირებული მოპყრობის რაციონალურობის დასაბუთებულობა, მათ შორის, როდესაც აშკარაა დიფერენციაციის მაქსიმალური რეალისტურობა, გარდუვალობა ან საჭიროება; ბ) რეალური და რაციონალური კავშირის არსებობა დიფერენციაციის ობიექტურ მიზეზსა და მისი მოქმედების შედეგს შორის.“⁴²

შედარებისათვის, საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკიდან საინტერესოა ორი საქმე, სადაც სასამართლომ ერთ შემთხვევაში რაციონალური და მეორეში კი მკაცრი შეფასების ტეს-

41 იქვე, პ. II 6.

42 იქვე, პ. II 7.

ტი გამოიყენა. პირველ შემთხვევაში საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბიჭიკო ჭონქაძე და სხვები საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის წინააღმდეგ“ დავის საგანს წარმოადგენდა რეგულირება, რომლის თანახმად, 2008 წლის პირველ აგვისტომდე დარეგისტრირებული გაზის მომხმარებლებისათვის, მიმწოდებელი ვალდებული იყო ბუნებრივი აირი მიეწოდებინა არაუმეტეს მარეგულირებლის მიერ განსაზღვრულ ფასად, ხოლო სადავო ნორმიდან გამომდინარე, ამ თარიღის შემდეგ წარმოშობილ მომხმარებლებთან მიმართებით მიმწოდებელი ბუნებრივი აირის ფასის განსაზღვრისას თავისუფალი იყო, რაც განაპირობებდა იმას, რომ 2008 წლის პირველ აგვისტოს შემდეგ დარეგისტრირებული ბუნებრივი აირის მომხმარებლები, მანამდე დარეგისტრირებულ მომხმარებლებთან შედარებით განსხვავებულ, უარესს მდგომარეობაში იქვნივნ. ვინაიდან დიფერენცირება არ უკავშირდება კონსტიტუციის მე-14 მუხლში მითითებულ რომელიმე ნიშანს და ამავე დროს არ არის მაღალი ინტენსივობის, სასამართლომ სადავო ნორმის კონსტიტუციურობა შეაფასა „რაციონალური დიფერენცირების ტესტის“ საფუძველზე⁴³. მეორე შემთხვევაში კი პირიქით: საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“⁴⁴ დავის საგანს წარმოადგენდა „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის

43 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 მარტის #2/1/473 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე ბიჭიკო ჭონქაძე და სხვები საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის წინააღმდეგ, II, პ. 16.

44 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბრის #1/1/477 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

მე-2 პუნქტი. სადავო ნორმა ეხებოდა რეზერვში გასაწვევ ყველა პირს, თუმცა სარეზერვო სავალდებულო სამსახურის მიმართ ნაწილს ჰქონდა კეთილსინდისიერი წინააღმდეგობა, მეორე ნაწილს – არა. შესაბამისად, ეს პირები სასამართლომ მიიჩნია არსებითად უთანასწორობად მათი რწმენის მიხედვით. „ვინაიდან რეზერვისტები შეიძლება იყვნენ განსხვავებული რწმენის მქონე პირები, მათ შორის, იმ რწმენის მატარებლებიც, რომელიც უკრძალავს მათ ძალადობას, სიცოცხლის მოსპობას, ნეიტრალური შინაარსის კანონი მათთვის ერთნაირი ვალდებულების დადგენით, ფაქტობრივად მათ განსხვავებულ, უთანასწორო რეჟიმს უდგენს. შესაბამისად, სახეზეა არსებითად არათანასწორი პირების მიმართ თანასწორად მოპყრობა“⁴⁵. სასამართლოს აზრით, მოცემულ შემთხვევაში დიფერენცირების შეფასებისას გამოყენებული უნდა ყოფილიყო „მკაცრი შეფასების ტესტი“⁴⁶. სასამართლომ მკაცრი ტესტი გამოიყენა ორი მიზეზით, პირველი, რადგან კონსტიტუციის მე-14 მუხლი პირდაპირ კრძალავს დიფერენციაციის ნიშნად „რელიგიური და სხვა შეხედულებების“ გამოყენებას, და მეორე, სავალდებულო სამსახურის მიმართ „კეთილსინდისიერი წინააღმდეგობა“ დაცულია კონსტიტუციის მე-19 მუხლით სადავო რეგულირება კი რწმენის თავისუფლების დარღვევას წარმოადგენდა.

13. დიფერენცირება. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ⁴⁷ დიფერენცირებული მოპყრო-

⁴⁵ იქვე, II, 76

⁴⁶ იქვე, II, 3.76-77.

⁴⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება #1/1/493 საქმეზე „მოქალაქეთა პო-

ბის დისკრიმინაციულობის შეფასებას, დადგენას საფუძვლად დაუდო შემდეგი ძირითადი მიდგომა: დიფერენცირებული მოპყრობისას ერთმანეთისგან უნდა განვასხვაოთ დისკრიმინაციული დიფერენციაცია და ობიექტური გარემოებებით განპირობებული დიფერენციაცია. განსხვავებული მოპყრობა თვითმიზანი არ უნდა იყოს. დისკრიმინაციას ექნება ადგილი, თუ დიფერენციაციის მიზეზები აუხსნელია, მოკლებულია გონივრულ საფუძველს. მაშასადამე, დისკრიმინაცია არის მხოლოდ თვითმიზნური, გაუმართლებელი დიფერენციაცია, სამართლის დაუსაბუთებელი გამოყენება კონკრეტულ პირთა წრისადმი განსხვავებული მიდგომით. შესაბამისად, თანასწორობის უფლება კრძალავს არა დიფერენცირებულ მოპყრობას ზოგადად, არამედ მხოლოდ თვითმიზნურ და გაუმართლებელ განსხვავებას.

შესაბამისად უნდა განისაზღვროს, აქვთ თუ არა დასახელებულ ჯგუფებს მათ რაიმე საერთო პუნქტი, (*tertium comparationis*), და რამდენად არის შესაძლებელი მათი ერთი საერთო, „ზემდგომი ცნების“ (*genus proximum*) ქვეშ გაერთიანება⁴⁸.

14. დიფერენციაციის ინტენსივობის ხარისხი არის განმსაზღვრელი ფაქტორი იმისა, თუ რომელი - რაციონალური თუ მკაცრი - შეფასების ტესტი უნდა გამოიყენებოდეს არათანაბარი მოპყრობის კონს-

ლიტიკური გაერთიანებები: „ახალი მემარჯვენეები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პ. 3; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილება #1/1/539 საქმეზე საქართველოს მოქალაქე ბესიკ ადამია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, პ. 6.

48 *კობახიძე, ი.*, ძირითადი უფლებები, კაზუსის ამოხსნის სტანდარტული სქემები, კაზუსის ამოხსნის ნიმუშები. ძირითად უფლებათა დაცვის ინსტიტუციონალური გარანტიები საქართველოში., გვ. 20.

ტიტუციურობის შეფასებისას. დიფერენციაციის მაღალი ინტენსივობისას შეფასების მკაცრი ტესტი გამოიყენება. დიფერენციაცია მაღალი ინტენსივობის მქონედ ჩაითვლება, თუ **პირველი**, კაზუსში დიფერენცირების ნიშნად ისეთი კრიტერიუმია მოყვანილი, რომელიც კონსტიტუციის მე-14 მუხლში პირდაპირაა მითითებული. კონსტიტუციის მე-14 მუხლის მიხედვით: „ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და ნოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა“.

მეორე, დიფერენცირების ინტენსიურობა მაღალია იმ შემთხვევაში, თუ დიფერენციაციის ნიშანი მჭიდრო კავშირშია სხვა ძირითადი უფლებით დაცულ სფეროსთან⁴⁹. შესაბამისად ამ ორივე შემთხვევაში უნდა იქნეს შეფასების მკაცრი ტესტი გამოყენებული. თუმცა გასათვალისწინებელია ისიც, რომ სასამართლოს მიერ სხვა შემთხვევებშიც შეიძლება გამოყენებული იქნეს შეფასების მკაცრი ტესტი⁵⁰. თუ დიფერენციაციის ინტენსივობა დაბალია, მაშინ გამოიყენება რაციონალური შეფასების ტესტი. და

მესამე: რაც უფრო ნაკლებად შეუძლია პირს გავლენა მოახდინოს სახელმწიფოს მიერ გამოყენე-

49 იხ. მაგალითი ზემოთ (საქმეში კეთილსინდისიერი წინააღმდეგობა)
50 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის #1/1/493 გადაწყვეტილების მიხედვით: „დიფერენციაციის ინტენსივობის შეფასების კრიტერიუმები განსხვავებული იქნება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, დიფერენციაციის ბუნებიდან, რეგულირების სფეროდან გამომდინარე. თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, გადამწყვეტი იქნება, არსებითად თანასწორი პირები რამდენად მნიშვნელოვნად განსხვავებულ პირობებში მოექცევიან, ანუ დიფერენციაცია რამდენად მკვეთრად დააცილებს თანასწორ პირებს კონკრეტულ საზოგადოებრივ ურთიერთობაში მონაწილეობის თანაბარი შესაძლებლობებისაგან“.

ბულ დიფერენცირების კრიტერიუმზე, მით უფრო ინტენსიურია უთანასწორო მოპყრობა⁵¹ (მაგ.: პირთა დიფერენცირების კრიტერიუმს წარმოადგენს ეროვნული, ან ეთნიკური წარმომავლობა, რისი შეცვლაც ადამიანის მიერ შეუძლებელია). მაღალი ინტენსივობის უთანასწორო მოპყრობა სახეზეა მაშინ, როცა ის ორიენტირებულია **პიროვნებაზე და არა საგნობრივ გარემოებებზე**. პიროვნებაზე ორიენტირებულად უთანასწორო მოპყრობა ითვლება მაშინ, როდესაც დიფერენცირების კრიტერიუმად შერჩეულია პიროვნების თვისებები (ასაკი, ჯანმრთელობა, ოჯახური მდგომარეობა და ა.შ.). უთანასწორო მოპყრობა საგნობრივად არის ორიენტირებული, როდესაც **პიროვნული თვისებები არ თამაშობს რაიმე როლს**. თუმცა, საგნობრივად ორიენტირებული უთანასწორო მოპყრობაც შეიძლება იყოს მაღალი ინტენსივობის, როდესაც ამით **გართულებულია თავისუფლების ძირითადი უფლებებით სარგებლობა**.

საინტერესოა, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში არ ყოფილა ისეთი საქმე, როდესაც სასამართლომ გამოიყენა რაციონალური დიფერენცირების ტესტი და ნორმა არაკონსტიტუციურად სცნო⁵².

15. კაზუსის ამოხსნისას ყურადღება უნდა მიექცეს ნორმატიული აქტების **იერარქიას ეროვნულ სასამართალში**. „ადამიანის ძირითადი უფლებების“ სასწავლო კურსის ფარგლებში განიხილება საქარ-

51 *კობახიძე, ი.*: ძირითადი უფლებები, კაზუსის ამოხსნის სტანდარტული სქემები, კაზუსის ამოხსნის ნიმუშები. ძირითად უფლებათა დაცვის ინსტიტუციონალური გარანტიები საქართველოში. გვ. 22.

52 *ტულუში, თ./მენაბდე, ვ./ბურჯანაძე, გ./გოცირიძე, გ./მშვენიერაძე, გ.*: ადამიანის უფლებების და საკონსტიტუციო სამართალწარმოების პრაქტიკა, თბილისი, 2013, გვ. 57.

თველოს ნორმატიული აქტის, ან საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების და შეთანხმებების შესაბამისობა საქართველოს კონსტიტუციასთან. გასათვალისწინებელია, რომ სახელმწიფოს მიერ აღებული საერთაშორისო სტანდარტთან შესაბამისობის ვალდებულება არ გულისხმობს იმას, რომ კონსტიტუციისაგან დამოუკიდებლად უნდა შეფასდეს ეროვნული ნორმატიული აქტის შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტთან⁵³. კაზუსის ამოხსნისას გასათვალისწინებელია, რომ უნდა დადგინდეს ნორმატიული აქტის საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობა და არა კანონის ან სხვა ნორმატიული აქტის, მასზე უფრო მაღლა მდგომ ნორმატიულ აქტთან შესაბამისობა.

ამ მხრივ საინტერესოა საკონსტიტუციო სასამართლოს ერთ-ერთი განჩინება⁵⁴. მოსარჩელემ მიმართა საკონსტიტუციო სასამართლოს, რათა მას მიაჩნდა, რომ საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის ბრძანება არ იყო „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს შრომის კოდექსის დებულებების შესაბამისი. მოსარჩელე თვლიდა, რომ ნორმის კანონთან შეუსაბამობა იწვევდა ნორმის კონსტიტუციასთან შეუსაბამობას. საკონსტიტუციო სასამართლომ არ მიიღო სარჩელი განსახილველად, რადგან იგი თავისი კომპეტენციის ფარგლებში ამონმებს არა ნორმის შესაბამისობას მასზე იერარქიულად მაღლა მდგომ ნორმა-

53 საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლი; კონსტიტუციის „თვითბოჭვასთან“ დაკავშირებით იხ. *ფირცხალაშვილი, ა.*, ადამიანის უფლებათა უნივერსალურობის თეორია, მართლმსაჯულება და კანონი, თბილისი, 2014, გვ. 71-86;

54 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 13 მაისის განჩინება N1/2/506 საქმეზე საქართველოს მოქალაქე კობა გოგუა საქართველოს კონტროლის პალატის წინააღმდეგ.

ტიულ აქტთან, არამედ ამ ნორმატიული აქტის კონსტიტუციასთან შესაბამისობას. საკონსტიტუციო სასამართლო ადგენს არა ნორმის კანონიერებას, არამედ მის კონსტიტუციურობას. სასამართლომ მიუთითა, რომ კონსტიტუციურ სარჩელში აღნიშნული საკითხის გადანყვეტა არ შედის მის კომპეტენციაში.⁵⁵

16. ძირითადი უფლების დაცვის ვალდებულება. მართალია, კლასიკური გაგებით, ადამიანის უფლება-თავისუფლებათა პირველადი ფუნქციაა უზრუნველყოს მათ მიერ დაცულ სფეროში სახელმწიფოს ჩაურევლობა. თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა ძირითად უფლებათა განვითარებამ მოიტანა ის, რომ სახელმწიფო აღიქმება არა მარტო ამ უფლებების პოტენციურ დამრღვევად, არამედ ის ასევე ამ უფლებათა დამცველიც უნდა იყოს. ძირითადი უფლებები ავალდებულებენ ხელისუფლების შტოებს, შექმნან ისეთი სამართლებრივი გარემო, რომელიც ეყრდნობა კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებებს და ამგვარად დაიცვან პირები (ცალკეული უფლების სუბიექტები) არამხოლოდ სახელმწიფოს მხრიდან ჩარევისაგან, არამედ *სხვა მოსალოდნელი, ან უკვე განხორციელებული ჩარევისაგან*. ადამიანის ძირითადი უფლების ამ ფუნქციას სახელმწიფოს მიერ **ძირითად უფლებათა დაცვის ვალდებულებას**⁵⁶ უწოდებენ. ძირითად

⁵⁵ იქვე, II, პ. 2.

⁵⁶ ლიტერატურა ძირითადი უფლების დაცვის ვალდებულების შესახებ იხ: *Phirts Khalashvili, Anna*, Schutzpflichten und die horizontale Wirkung von Grundrechten in der Verfassung, Georgiens vom 24. August 1995, 2010, Potsdam; *Klein, Echardt*, Grundrechtliche Schutzpflicht des Staates, in: NJW 1989, 1633 ff.; *Stern, Klaus*, Die Schutzpflichtfunktion der Grundrechte: Eine juristische Entdeckung, in: DOEV 2010, S. 248; *ფირცხალაშვილი, ა.*: სახელმწიფოს დაცვის ვალდებულება და მისი ასახვა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში (მართლმსაჯულება და კანონი, თბილისი, 2012, გვ. 46-57; *იზო-*

უფლებათა ამ ფუნქციასთან საქმე გვაქვს მაშინ, თუ ადამიანის უფლების დარღვევა არ მოდის სახელმწიფოს მხრიდან, მაგრამ მიუხედავად ამისა, მასზე ზრუნავს სახელმწიფო, თავისი კონსტიტუციური ვალდებულებიდან გამომდინარე.

მაგალითად, საკუთრების უფლებაში ჩარევა არამხოლოდ სახელმწიფოს მხრიდან ხორციელდება, იგი შეიძლება სხვა ადამიანთა მხრიდანაც იგივე ინტენსივობით იყოს ხელყოფილი. სახელმწიფომ პირის საკუთრების უფლების დაცვის მიზნით, უნდა მიიღოს გადანყვეტილება და მისი უფლება შესაბამისი სამართლებრივი რეგულაციებით (პრევენციულად და რეპრესიულად) უნდა უზრუნველყოს. ამ დროს მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფომ დაიცვას ბალანსი ორ, ან რამდენიმე ურთიერთკონკურირებად უფლებას შორის.⁵⁷

17. **მფარველობითი ძირითადი უფლებები.** ზოგიერთი უფლების ეფექტურობა და მისი განხორციელება ცკი, მხოლოდ სახელმწიფოს პოზიტიური ჩარევით, მისი დადებითი ქმედებით შეიძლება განხორციელდეს. კონსტიტუციით გარანტირებულია ისეთი უფლებანი, რომელიც სახელმწიფოს პოზიტიურ ქმედებაზეა დამოკიდებული. ასეთი უფლებანი სახელმწიფოს დახმარებით, მისი მფარველობით არსებობენ. მათი განხორციელება მეტწილად სახელმწიფოზეა დამოკიდებული და შესაბამისად, მისგან დადებით,

რია, ლ.: საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, ავტორთა კოლექტივი (რედ. ტურავა, პ.) თბილისი, 2013, გვ. 30.

57 Phirtskhalashvili, A., Schutzpflichten und die horizontale Wirkung von Grundrechten in der Verfassung, Georgiens vom 24. August 1995, 2010, Potsdam., გვ. 232.

პოზიტიურ სტატუსს მოითხოვენ. ასეთი უფლებანი პოზიტიურად ავალდებულებენ სახელმწიფოს, ანუ მისი პოზიტიური ქმედების ვალდებულებას განაპირობებენ. შესაბამისად, უფლების დარღვევაზე ვსაუბრობთ მაშინ, თუ სახელმწიფო უმოქმედოა, ან მისი ქმედება არაა საკმარისი ძირითადი უფლების დასაცავად.

ამგვარი ძირითადი უფლებების ჩამონათვალში მოაზრება მაგალითად, სახელმწიფოს მიერ შრომითი უფლებების დაცვა (30-ე მუხლი), განათლების, (35-ე მუხლი) ჯანმრთელობის დაცვის ხელმისაწვდომობა (37-ე მუხლი) სამართლიანი სასამართლოს უფლება (41-ე მუხლი) და სხვა.

18. მოსარჩელეს შეუძლია მოითხოვოს, არა მხოლოდ მთელი ნორმის, ან რამდენიმე სიტყვის გაუქმება, არამედ სადავო **ნორმის „ნორმატიული შინაარსის“ არაკონსტიტუციურობად ცნობა**. თუ მას მიაჩნია, რომ რომელიმე კონკრეტული რეგულაცია სხვაგვარი „ნორმატიული შინაარსის“ მატარებელი უნდა იყოს, იგი სასარჩელო მოთხოვნად ნორმის ნორმატიული შინაარსის არაკონსტიტუციურად ცნობას მოითხოვს. ნორმატიული შინაარსი მრავალგვარი შეიძლება იყოს. საკონსტიტუციო სასამართლოს ახალ პრაქტიკაში საკმაოდ ხშირია გადაწყვეტილებები, როდესაც გაუქმდა არა სადავო ნორმა, ან მისი სიტყვები, არამედ მასში ნაგულისხმევი შინაარსი. ამ შემთხვევაში ნორმა რჩება კანონში, მაგრამ იგი ზოგიერთ შემთხვევაში არ მოქმედებს. სასამართლოს მიერ ბოლო დროს დამკვიდრებულ ამგვარი პრაქტიკის⁵⁸ საშუალებით, საკონსტიტუციო სასამართლო უფრო მოქნილია და შეუძლია ეფექტიანად დაიცვას ადამიანის ძირითადი უფლე-

58 პრაქტიკა დამკვიდრდა 2009 წლის 10 ნოემბრიდან.

ბები, მიუხედავად იმისა, რომ მას არა აქვს ინდივიდუალურ-სამართლებრივ აქტებზე კონკრეტულ საქმეებზე გადანვეტილების მიღების - რეალური კონტროლი უფლება. იმის გათვალისწინებით, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადანვეტილება საბოლოოა და მისი გასაჩივრების უფლება პირს არ აქვს, სასამართლო ეფექტურად იყენებს „ბოლო“ შიდასახელმწიფოებრივი დაცვის ინსტრუმენტს.⁵⁹

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2015 წლის 25 ნოემბერს არსებითად განსახილველად მიიღო საქართველოს მოქალაქე ლევან გვათუას კონსტიტუციური სარჩელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. სადავო ნორმის, „ადამიანის ორგანოთა გადანერგვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ცოცხალი დონაცია დაიშვება მხოლოდ გენეტიკურ ნათესავეებს შორის, მეუღლის, ან მეუღლის ნათესავეებისგან. კანონი კრძალავს ნებისმიერი სხვა პირისგან ორგანოს გადანერგვას იმ შემთხვევაშიც, თუ სამედიცინო ან სხვა მიზეზით კანონით გათვალისწინებული პირთა წრიდან დონორი არ მოიძიება. საქართველოს პარლამენტის განმარტებით, ამგვარი შეზღუდვის ძირითად მიზანს წარმოადგენს

59 თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს რომ, „ნორმატიული შინაარსის“ დამკვიდრებული პრაქტიკა სადავოა თეორიულად, და პრაქტიკოს იურისტთა შორის. რადგან მას აქვს უარყოფითი მხარეებიც. კერძოდ, სადავო ნორმა, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლომ კონკრეტული მოცემულობის შემთხვევაში არაკონსტიტუციურად შეაფასა, კანონში რჩება პირვანდელი სახით და ძალას არ კარგავს. შესაბამისად, იურიდიული განათლების არ მქონე პირისათვის არ არის და არც შეიძლება იყოს ცნობილი, რომ რომელიმე კონკრეტულ შემთხვევაში ეს ნორმა არაკონსტიტუციური შეიძლება იყოს. შესაბამისად, სამართლებრივი უსაფრთხოების ინსტიტუტს ექმნება პრობლემა. გარდა ამისა საერთო სასამართლოების მოსამართლეებისათვის რთულია იმის დადგენა „ზუსტად“ რომელი „ნორმატიული შინაარსი“ („სცნო საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად.

ადამიანის ორგანოებით ვაჭრობის საფრთხის თავიდან აცილება. კონსტიტუციური სარჩელის ავტორს ესაჭიროებოდა ღვიძლის გადანერგვა, რაც მისი სიცოცხლის შენარჩუნების ერთადერთი საშუალება იყო, თუმცა კანონით განსაზღვრული პირთა წრიდან დონორი არ მოიძებნა. მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ კანონი, რომელიც უკრძალავს მასთან დაკავშირებულ სხვა პირს (მეგობარს, ახლობელს, იმ ნათესავს, რომელიც არ ხვდება სადავო ნორმით განსაზღვრულ პირთა წრეში, მასთან ემოციურად დაკავშირებული პირს) გახდეს დონორი, ართმევდა მას ღვიძლის გადანერგვის შესაძლებლობას და ამდენად ზღუდავს მისი სიცოცხლის უფლებას. მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ სადავო ნორმა არ შეესაბამებოდა კონსტიტუციის მე-15 მუხლის პირველ პუნქტს (სიცოცხლის უფლება) და ითხოვდა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საქმის საბოლოო გადანყვეტამდე შეჩერებულიყო სადავო ნორმით გათვალისწინებული აკრძალვის მოქმედება. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა მოსარჩელის შუამდგომლობა და საქმის საბოლოო გადანყვეტამდე შეაჩერა „ადამიანის ორგანოთა გადანერგვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის იმ ნორმატიული შინაარსის მოქმედება, რომელიც ცოცხალ დონორთა წრიდან, რომელთაგან დაშვებულია ღვიძლის აღება, გამორიცხავს რეციპიენტთან ემოციურ კავშირში მყოფ პირს.

19. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილება, განჩინება, საოქმო ჩანაწერი და დასკვნა საბოლოოა და გასაჩივრებას ან გადასინჯვას არ ექვემდებარება⁶⁰. კონსტიტუციური სარ-
 60 საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის მე-2 პუნქტი; „სა-

ჩელის დაკმაყოფილება, ნორმატიული აქტის, ან მისი ნაწილის არაკონსტიტუციურობის დადასტურება, იწვევს არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტის, ან მისი ნაწილის ძალადაკარგულად ცნობას საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან⁶¹. საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკით კი⁶², თუკი სასამართლოს გადაწყვეტილებით ისეთი რეგულაცია იქნა არაკონსტიტუციურად მიჩნეული, რომლის გამოქვეყნებისთანავე, მყისიერი გაუქმება საფრთხეს შეუქმნის საჯარო ინტერესს, სასამართლოს გადაწვეტილება ძალაში შედის გარკვეულ ვადაში. ასეთი გონივრული ვადის დანესება გათვალისწინებულია კანონმდებლისათვის, რათა მან შეძლოს ახალი კონსტიტუციური რეგულირების შექმნა. არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტი, ან მისი ნაწილი კარგავს იურიდიულ ძალას და სასამართლო დარბაზში გამოცხადებიდან 15 დღეში ქვეყნდება „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სამართლებრივი აქტის, ან მისი ნაწილის არაკონსტიტუციურად ცნობის შემდეგ არ შეიძლება ისეთი სამართლებრივი აქტის მიღება/გამოცემა, რომელიც შეიცავს იმავე შინაარსის ნორმებს, რომლებიც არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი“⁶³

ქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-8 პუნქტი

61 „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტი.

62 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილი #1/1/625, 640 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. გადაწვეტილების სარეზოლუციო ნაწილი.

63 „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

საქართველო საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა თავის გადაწყვეტილებაში⁶⁴ კონსტიტუციასთან შეუსაბამოდ ცნო „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის მიხედვითაც, შეკრების, ან მანიფესტაციის ორგანიზებასა და ჩატარებაზე პასუხისმგებელი პირები არ შეიძლება ყოფილიყვნენ საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირები. აღნიშნული რეგულაცია, მოგვიანებით კიდევ ერთხელ გახდა სადავო, რადგან სასამართლოს გადაწყვეტილების (2011 წლის 18 აპრილის) შემდეგ, საქართველოს პარლამენტმა 2011 წლის 1 ივლისს მიიღო საქართველოს კანონი „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, რომლის თანახმად, „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით და მას დაემატა ახალი ნორმა, რითაც საქართველოს პარლამენტმა აღადგინა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ძალადაკარგულად ცნო „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი იმ საფუძველზე, რომ სადავო ნორმა წარმოადგენდა საქართველოს

64 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილება № 2/482,483,487,502 საქმეზე მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მოდრაობა ერთიანი საქართველოსთვის“ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია“, საქართველოს მოქალაქეები – ზვიად ძიძიგური და კახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები დაჩი ცაგურია და ჯაბა ჯიშკარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, პ. 126-128.

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის შინაარსის მქონე ნორმას⁶⁵.

65 იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 14 დეკემბრის განჩინება საქმეზე მოლდოვის მოქალაქე მარიანა კიკუ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

II. კაზუსის ამოხსნის მოდელის კლასიფიკაცია

ადამიანის ძირითად უფლებაში ჩარევის შემთხვევების (კაზუსის) კლასიფიცირება შესაძლოა სხვადასხვა ნიშნის მიხედვით. შემოთავაზებული მეთოდიკით ჩარევის შემთხვევები პირობითად დაყოფილია ოთხად. შესაბამისად აღნიშნულ მეთოდიკა შედგება კაზუსის ამოხსნის ოთხი სხვადასხვა მოდელისაგან. შემთხვევები და შესაბამისად მათი ამოხსნის მოდელებიც დაჯგუფებულია შემდეგი პრინციპით:

- პირველი, როცა სავარაუდოა, რომ სახელმწიფოს **მოქმედებით (აქტიურობით)** ირღვევა ადამიანის თავისუფლების უფლება, ან მისი პროცესუალური უფლება; კაზუსის ამოხსნის პირველ მოდელში გაერთიანებულია ის შემთხვევები, როცა ძირითადი უფლების შესაძლო დარღვევა გამოწვეულია სახელმწიფოს მიერ მისი ნეგატიური ვალდებულებების შეუსრულებლობით.
- მეორე, სავარაუდოა, რომ სახელმწიფოს **უმოქმედობით (პასიურობით)** ირღვევა ადამიანის პროცესუალური, სოციალური,⁶⁶ ან ზოგჯერ თავისუფლების უფლება; პირველი მოდელისაგან განსხვავებით ამ შემთხვევაში, სახელმწიფო მისი უმოქმედობით, ან არასაკმარისი მოქმედებით სავარაუდოდ არღვევს მის პოზიტიურ ვალდებულებას.
- მესამე, როდესაც სახელმწიფოს მოქმედებით, ან

66 მხოლოდ მაშინ თუ აღნიშნული სოციალური უფლება პირის სუბიექტურ უფლებად შეიძლება განვმარტოთ. მაგალითად 35-ე მუხლის მესამე პუნქტით გარანტირებული განათლების უფლების უზრუნველყოფა. მსგავსად აღნიშნული უფლებისა, სუბიექტურ უფლებად ვერ ჩავთვლით მაგალითად კონსტიტუციის 32-ე მუხლით გარანტირებულ მხარდაჭერას უმუშევრად დარჩენილ საქართველოს მოქალაქეების მიმართ.

უმოქმედობით იზღუდება ადამიანის **თანასწორობის უფლება** ადამიანთა სხვა ჯგუფთან შედარებით; აქ დაჯგუფებულ კაზუსებში თანასწორობის ძირითადი უფლება ირღვევა, იმის მიუხედავად სახელმწიფოს ჰქონდა კონკრეტულ შემთხვევებში ნეგატიური, თუ პოზიტიური ვალდებულება.

- მეოთხე, როცა ივარაუდება, რომ სახელმწიფოს ქმედებით მიერ ადამიანის **უნივერსალურ უფლებაში** (კონსტიტუციის 17 მუხლი) ხორციელდება ჩარევა.

პრაქტიკული რელევანტურობიდან გამომდინარე ჩამოთვლილთაგან ყველაზე უფრო ხშირად ძირითად უფლებაში ჩარევის პირველი შემთხვევა გვხვდება. შესაბამისად, იგი სახელმძღვანელოში კაზუსის ამოხსნის პირველ მოდელად განიხილება.

მოცემული სახელმძღვანელოს ფარგლებში არ განიხილება ინდივიდუალური კონსტიტუციური სარჩელების წმინდა პროცესუალური სამართალწარმოება. შედგენილი სქემის საფუძველზე მკითხველს შეექმნება მხოლოდ ზოგადი წარმოდგენა, თუ როგორი პროცედურით განიხილავს საკონსტიტუციო სასამართლო ინდივიდუალურ სარჩელებს. (იხ. სქემა N5.)

1. კაზუსის ამოხსნის პირველი მოდელი

კაზუსის ამოხსნის პირველ მოდელს ვირჩევთ მაშინ, როცა კაზუსის პირობის გაანალიზების შემდეგ ვვარაუდობთ, რომ სახელმწიფო **აქტიური მოქმედებით** ერევა ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში.

კაზუსი 1: ზაფხულის ერთ საღამოს გ. თავისი საცხოვრებელი სახლის წინ, რამდენიმე მრავალსართულიანი სახლით შემოფარგლულ ეზოში, ბავშვებისათვის სათამაშოდ მონყობილ ადგილზე, მეზობლებთან ერთად ლუდს მიირთმევდა. იქვე, სხვა ბავშვებთან ერთად გ.-ს ორი არასრულწლოვანი შვილი საქანელაზე ქანაობდა. ამ დროს საპატრულო სამსახურის ავტომობილიდან, რომელიც ქუჩაში მორიგეობას ახორციელებდა, პატრულის თანამშრომელმა შენიშნა გ. და თავისი მეგობრები. რადგან იმ მომენტისათვის მხოლოდ გ.-ს ეჭირა ხელში ალკოჰოლური სასმელი და მიირთმევდა, პატრულმა იგი დააჯარიმა. იმავდროულად განუმარტა, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისი ნორმის თანახმად, „ალკოჰოლური სასმელების სმა სტადიონზე, სკვერში, პარკში, ყველა სახის საზოგადოებრივ ტრანსპორტში, ბავშვებისათვის სათამაშოდ სპეციალურად მონყობილ ადგილებზე და სხვა საზოგადოებრივ ადგილებში, გარდა სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების სანარმოებისა და იმ ადგილებისა, სადაც ალკოჰოლური სასმელები ჩამოსხმით იყიდება, გამოიწვევს დაჯარიმებას 50 ლარის ოდენობით“. საპატრულო პოლიციის თანამშრომლის აზრით, რადგან აღნიშნული ეზოში, ქალაქის მერიის მიერ სპეციალურად ბავშვებისათვის სათამაშოდ მონყობილ ადგილზე, გ. ალკოჰოლს მიირთმევდა, იგი ამით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას სჩადიოდა. მისი აზრით, კანონით გ. იმყოფებოდა სწორედ „ბავშვებისათვის სათამაშოდ სპეციალურად მონყობილ“ ადგილზე. გ.-ს აზრით, აღნიშნული რეგულაცია ზღუდავდა კონსტიტუციით გარანტირებულ მის უფლებას. იგი ფი-

ქრობდა, რომ მას უფლება ჰქონდა ნებისმიერ ადგილზე, ბავშვების გარეშე, ან მათი თანხლებით თანხლებით, მას მიეღო ისეთი ალკოჰოლური სასმელი, როგორცაა ლუდი. გ.-მ აღნიშნული რეგულაციის არაკონსტიტუციურად ცნობის თხოვნით მიმართა საკონსტიტუციო სასამართლოს.

განიხილეთ, მიიღებს, თუ არა საკონსტიტუციო სასამართლო გ.-ს სარჩელს განსახილველად (სარჩელის დასაშვებობა) და შეესაბამება, თუ არა სადავო რეგულაცია საქართველოს კონსტიტუციას?

მხოლოდ კაზუსის ფაბულის ზუსტად გააზრების შემდეგ, იწყება მისი ამოხსნა. **პირველ ეტაპზე** პასუხი უნდა გაეცეს ორ შეკითხვას: არის თუ არა საგნობრივად - გ-ს მოქმედება და ხოლო პერსონალურად - გ., კონსტიტუციით დაცული? **ა)** საქართველოს კონსტიტუციის რომელი კონკრეტული დებულებით არის ადამიანის კონკრეტული უფლება დაცული (**საგნობრივად დაცული**); საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით დაცული ადამიანის უფლებები პრაქტიკულად ადამიანის თითქმის ყველა უფლებას ფარავს. მაგრამ აუცილებელია დაზუსტდეს კონკრეტული ძირითადი უფლებით დაცული სფერო⁶⁷, რომელიც მოცემულ შემთხვევაში არის შეზღუდული. **ბ)** კაზუსის ამოხსნის ამ ეტაპზე დასადგენია თუ რამდენად არის პირი, რომლის ძირითადი უფლებაც სავარაუდოთ შეიზღუდა, ამ უფლების სამართალსუბიექტი⁶⁸ და მიადგა (ან შეიძლება მიადგეს⁶⁹)

67 დაცული სფეროს შესახებ იხ. განმარტება. 4.

68 განმარტება ძირითადი უფლების სუბიექტის შესახებ განმარტება, 1. და 2.

69 იხ. დეტალურად ტულუში, თ./მენაბდე, ვ./ბურჯანაძე, გ./გოცი-რიძე, გ./მშვენიერაძე, გ.: ადამიანის უფლებების და საკონსტიტუციო სამართალწარმოების პრაქტიკა, თბილისი, 2013, გვ. 609-612.

თუ არა მას სადავო ნორმით/რეგულაციით **უშუალო, რეალური და პირდაპირი ზიანი**. ე.ი. იცავს თუ არა კონსტიტუცია მას აღნიშნულ შემთხვევაში **პერსონალურად**.

კაზუსის მოცემულობიდან, ირკვევა, რომ გ.-ს ძირითადი უფლება შესაძლოა დარღვეული იყოს. კონსტიტუციის მე-16 მუხლი იცავს პიროვნების თავისუფალ განვითარებას, ეს ნიშნავს საქმიანობის საყოველთაო თავისუფლებას, რომელიც თავის მხრივ მოიცავს ყველაფერს, რაც კი ადამიანის ქცევად, ქმედებად თუ საქმიანობად შეიძლება იწოდებოდეს. გ.-ს ქმედება მიიღოს (ან არ მიიღოს) ალკოჰოლური სასმელი დაცულია კონსტიტუციის მე-16 მუხლით. აღნიშნული მუხლი ამ ძირითადი უფლების სუბიექტად „ყველას“ ასახელებს. შესაბამისად, გ.-ს, რომელიც სადავო ნორმატიული აქტის საფუძველზე თვითონ დაჯარიმდა, უკვე მიადგა უშუალო რეალური და პირდაპირი ზიანი.

კაზუსის ამოხსნის **მეორე ეტაპზე** უნდა გაირკვეს, **ა)** მოხდა, თუ არა კონსტიტუციით დაცულ სფეროში საჯარო ხელისუფლების მიერ განხორციელებული მოქმედებით **ჩარევა**. საჯარო ხელისუფლებად ჩაითვლება ყველა ის ორგანო, რომელიც სახელმწიფოს სახელით მოქმედებს და უფლებამოსილია განახორციელოს საჯარო უფლებამოსილება **ბ)** რა საშუალებით (რომელი სამართლებრივი აქტით) მოხდა პირის ძირითად უფლებაში ჩარევა. საქართველოს კონსტიტუციის (89-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის) მიხედვით, საკონსტიტუციო სასამართლო პირის სარჩელის საფუძველზე განიხილავს ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებულ ადამიანის ძირითად უფლებებთან

და თავისუფლებებთან მიმართებით. შესაბამისად უნდა დადგინდეს, არის თუ არა აქტი, რომლითაც პირს ზიანი მიადგა ნორმატიული⁷⁰.

მოცემულ შემთხვევაში, აქტი „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“, საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული ნორმატიული აქტი- კანონია და საქართველოს პარლამენტი კი არის საჯარო ხელისუფლების ორგანო. სადავო რეგულაცია არის ნორმატიული აქტი. შესაბამისად ირკვევა, რომ გ.-ს ძირითად უფლებაში, რომელიც მე-16 მუხლით არის გათვალისწინებული, საჯარო ხელისუფლების მიერ გამოცემული ნორმატიული აქტის საშუალებით მოხდა ჩარევა. შუალედური დასკვნის გასაკეთებლად გამოიკვეთა, რომ:

- გ.-ს ქმედება დაცულია კონსტიტუციის მე-16 მუხლით;
- გ. არის კონსტიტუციის მე-16 მუხლის სუბიექტი;
- გ.-ს ძირითადი უფლება შეიზღუდა საჯარო ხელისუფლების მიერ;
- გ.-ს ძირითადი უფლება შეიზღუდა ნორმატიული აქტით უშუალოდ, რეალურად და პირდაპირ.

70 სამართლებრივი აქტის ნორმატიულობას საკონსტიტუციო სასამართლო აფასებს არა სამართლებრივ ქრილში, არამედ იმ კუთხით თუ რამდენად არის იგი ნორმატიული საკონსტიტუციო სამართალწარმოების მიზნებისთვის. იხ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 19 თებერვლის N1/1/569 საოქმო ჩანაწერი საქმეზე საქართველოს მოქალაქეები - დავით კანდელაკი, ნატალია დვალი, ზურაბ დავითაშვილი, ემზარ გოგუაძე, გიორგი მელაძე და მამუკა ფაჩუაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 4.

ამიტომ გ.-ს, როგორც მოსარჩელეს, შეუძლია საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართოს და მოითხოვოს იმ რეგულაციის არაკონსტიტუციურად ცნობა, რომელიც მას ზიანს აყენებს.

კაზუსის ამოხსნისას ყველაზე მნიშვნელოვანია **მესამე ეტაპი** - ჩარევის კონსტიტუციურ სამართლებრივი გამართლება. თავდაპირველად უნდა დადგინდეს, რამდენად კონსტიტუციურია საჯარო ხელისუფლების მიერ ადამიანის ძირითად უფლებაში ჩარევა. უპირველესად ყურადღება უნდა გამახვილდეს სადავო ნორმის კონსტიტუციასთან ფორმალურ შესაბამისობაზე. პასუხი უნდა გაეცეს სამ კითხვას: ა) ჰქონდა, თუ არა სადავო ნორმის მიმღებ ორგანოს შესაბამისი ნორმატიული აქტის მიღების კომპეტენცია? **ბ**) დაცული იყო, თუ არა ნორმატიული აქტის მიღების პროცედურა? **გ**) დაცულია, თუ არა ნორმატიული აქტის სამართლებრივი ფორმა? თუკი კაზუსის მოცემულობაში არ იკვეთება, რომ სადავო ნორმა ფორმალური თვალსაზრისით დარღვევით არის მიღებული, მაშინ უნდა ვიგულისხმოთ, რომ იგი ფორმალურად კონსტიტუციის შესაბამისია. ხოლო ისეთ შემთხვევაში, როცა კონსტიტუციის მუხლი მიუთითებს, რომ ძირითადი უფლების შეზღუდვა მხოლოდ ორგანული კანონით შეიძლება, ხოლო საჯარო ხელისუფლების (პარლამენტის) მიერ ასეთი ჩარევა კანონით მოხდა, მაშინ ვადგენთ სადავო ნორმის ფორმალურ შეუსაბამობას კონსტიტუციასთან.

გ.-ს მიერ გასაჩივრებული ნორმა წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ნორმას. კაზუსის მოცემულობიდან არ იკვეთება, სადავო ნორმის მიღების პროცედურის დარღვევა. კონსტიტუციის მე-16 მუხლი არ მიუთითებს, თუ რა ფორმის სამართლებრივი აქტით არის შესაძლებელი ძირითად უფლებაში

ჩარევა. შესაბამისად, ამ ეტაპზე უნდა ვივარაუდოთ, რომ სადავო ნორმა ფორმალურად კონსტიტუციასთან შესაბამისია.

კაზუსის ამოხსნის ამ ეტაპზე ასევე უნდა შეფასდეს სადავო რეგულაციის მატერიალური შესაბამისობა კონსტიტუციასთან. ეს ნაწილი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია კაზუსის სწორი ამოხსნისათვის. მსჯელობა ამ ეტაპზე ლოგიკურ და მყარ არგუმენტაციას ეყრდნობა. კონსტიტუციის შესაბამისი მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, უნდა დადგინდეს, თუ სად გადის დაცულ სფეროში ჩარევის ზღვარი.⁷¹ ადამიანის ძირითადი უფლებების დამცავი კონსტიტუციური ზღვარი მიუთითებს დაცულ სფეროში ჩარევის ერთ, ან რამდენიმე შესაძლებლობაზე. თუ კონსტიტუციის მუხლი არცერთ ჩამოთვლილ ზღვარს არ მიუთითებს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ძირითად უფლებაში ჩარევა საჯარო ხელისუფლებას საერთოდ არ შეუძლია. კონსტიტუციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტი აწესებს „შიდა კონსტიტუციურ ზღვარს“, რომლის თანახმად: „ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელებამ არ უნდა დაარღვიოს სხვათა უფლებები და თავისუფლებები“.

საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლი პირდაპირ არ უწესებს საჯარო ხელისუფლებას დაცულ სიკეთეში ჩარევის მატერიალურ სამართლებრივ ზღვარს. შესაბამისად კონსტიტუციის მე-16 მუხლზე ვრცელდება შიდა კონსტიტუციური, კლასიკური ზღვარი. შესაბამისად გ.-ს ქმედების თავისუფლება შეიძლება შინაარსობრივად მაშინ შეიზღუდოს, როცა მისმა ქმედებამ კონსტიტუციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული „სხვათა უფლებები“ შეიძლება დაარღვიოს.

71 კონსტიტუციურ სამართლებრივი ზღვარის შესახებ იხ. განმარტება 7.

ამ ეტაპზე უკვე ნათელია, რომ კონსტიტუცია განსაზღვრული პირობების (ზღვრის) არსებობისას უშვებს ძირითადი უფლების შეზღუდვის შესაძლებლობას. თუმცა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, კაზუსში შესამოწმებელია ის, თუ რამდენად მართებულად მოქმედებს კანონმდებელი, თვით კონსტიტუციური ზღვრის ფარგლებში. ჩარევის ყველა ზღვარს, თავის მხრივ აქვს ზღვარი იგივე **ზღვრის ზღვარი**⁷² უნოდებენ. ამ ეტაპზე გამოყენებული უნდა იქნას თანაზომიერების პრინციპი⁷³, რომლის თანახმადაც უნდა დასახელდეს გონივრული **ლეგიტიმური მიზანი**. რომლის მისაღწევად შერჩეული საშუალება **გამოსადეგი** იყოს. ძირითად უფლებაში ჩარევა **აუცილებელი** უნდა იყოს დასახული მიზნის მისაღწევად. (რაც გულისხმობს იმას, რომ სხვადასხვა ალტერნატიული საშუალებიდან ხელისუფლების მიერ დანესებული საშუალება ყველაზე ნაკლებად მზლუდავია სუბიექტისთვის). სადავო ნორმა **შესაბამისობის** კრიტერიუმსაც უნდა აკმაყოფილებდეს. შესაბამისობის დადგენისას უნდა მოხდეს ინტერესთა ანონ-დანონვა - ე.წ. „პრაქტიკული კონკორდანსი“.⁷⁴

მოცემულ შემთხვევაში უნდა დადგინდეს, თუ რა არის საჯარო ხელისუფლების მიერ გ.-ს კონსტიტუციის მე-16 მუხლით გარანტირებული, მოქმედების თავისუფლების შეზღუდვის ლეგი-

72 ზღვრის ზღვარის განმარტება იხ. განმარტება 8.

73 თანაზომიერების პრინციპის განმარტება იხ. განმარტება 9.

74 ე.წ. „პრაქტიკული კონკორდანსი“ სამართლებრივ კატეგორიად გერმანელმა სამართლის მეცნიერმა და გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლემ კონრადად ჰასსემ დაამკვიდრა. მისი აზრით, „კონსტიტუციურად დაცული სამართლებრივი სიკეთეები, პრობლემის გადაჭრისას ერთმანეთის გვერდიგვერდ იხე უნდა დალაგდნენ, რომ თითოეულმა მათგანმა თავისი განხორციელება მოიპოვოს. ორივე სიკეთეს უნდა დაუწესდეს ზღვარი, იმისთვის, რომ ორთავემ ოპტიმალურად შეძლონ რეალიზება“. იხ.: *Hesse, K., Grundzüge des Verfassungsrechts der Bundesrepublik Deutschland*. 20. Aufl., Müller, Heidelberg, 1999, Rn 72.

ტიმური მიზანი. ადმინისტრაციულ სამართალ-დარღვევათა კოდექსის სადავო რეგულაციის **ლეგიტიმური მიზანი** არის *არასრულწლოვანთა უფლებების პრევენციული დაცვის* ეფექტური გარანტიების შექმნა, ბავშვთა მიმართ სამართალდარღვევათა თავიდან აცილება და მათთვის უსაფრთხო გარემოს შექმნა. ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად შერჩეული ღონისძიება სამ ელემენტს უნდა აკმაყოფილებდეს. 1) **გამოსადეგობა** - აღნიშნული ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად პირებს და მათ შორის გ-ს, პრევენციულად ეკრძალებათ ბავშვებისათვის სათამაშოდ მოწყობილ საჯარო სივრცეში ალკოჰოლური სასმელების მიღება. ასეთ აკრძალვას თეორიულად შუძლია მიაღწიოს მიზანს_ შექმნას უსაფრთხო გარემო ბავშვებისათვის. შესაბამისად, იგი მიზნის მისაღწევად გამოსადეგი საშუალებაა. 2) **აუცილებლობა** - აქ განიხილება, აღნიშნული ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად აუცილებელია, თუ არა ალკოჰოლის მიღების აკრძალვა „სტადიონზე, სკვერში, პარკში, ყველა სახის საზოგადოებრივ ტრანსპორტსა და ბავშვებისათვის სპეციალურად სათამაშოდ მოწყობილ ადგილებზე,“ თუ შესაძლებელია უფრო მსუბუქი ღონისძიების საშუალებითაც მიღწეული იქნეს მიზანს. ალკოჰოლური სასმელის მიღების აკრძალვა, როგორც ბავშვთა უფლებების პრევენციული ღონისძიება აუცილებელია იმისათვის რომ, ბავშვებისათვის სათამაშოდ მოწყობილ ადგილებზე, ალკოჰოლის ზეგავლენის ქვეშ მყოფი პირები არ უქმნიდნენ საფრთხეს არასრულწლოვანებს. ის რომ, გ., ამ შემთხვევაში იღებდა ალკოჰოლს, და თან თავის შვილებს ზედამხედველობდა თამაშის დროს, ვერ იქნება გამამართლებელი. რადგან ბავშვე-

ბისათვის სათამაშოდ მონყობილი სპეციალური ადგილები განსაზღვრულია საჯარო მოხმარებისათვის, სადაც გ.-ს შვილების გარდა, სხვა ბავშვებიც იმყოფებიან. ამგვარი ადგილები საჯარო სივრცეშია და იგი პირებისათვის კერძო სფეროს (ან კერძო საკუთრებას) არ წარმოადგენს. შესაბამისად, სათამაშო ადგილებზე ბავშვთა უსაფრთხოების მისაღწევად, შეუძლებელია შემოღებულ აკრძალვაზე უფრო მსუბუქი საშუალების გამოყენება. ამიტომ, ალკოჰოლური სასმელის მიღების აკრძალვა წარმოადგენს აუცილებელ საშუალებას ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად. თანაზომიერების ტესტის ბოლო ელემენტის **შესაბამისობის** დადგენისას, ვადარებთ ერთმანეთს პირის მოქმედების თავისუფლებას, მიიღოს ალკოჰოლი სასურველ ადგილზე, მათ შორის ბავშვებისათვის სათამაშოდ მონყობილ სივრცეში და არასრულწლოვანთა უფლებებს, რომელიც ამ შემთხვევაში ბავშვების მშვიდ და უსაფრთხო ცხოვრებაში (თამაშში) გამოიხატება. ამ შემთხვევაშიც სადავო ნორმა აკმაყოფილებს შესაბამისობის ელემენტს. რადგან ბავშვების, უსაფრთხოების გარანტიები უპირატესია ვიდრე ადამიანის სურვილი მიიღოს ალკოჰოლი ბავშვებისათვის სათამაშოდ განკუთვნილ ადგილზე. შესაბამისად, გ.-ს მიერ გასაჩივრებული რეგულაციის ნაწილი („ბავშვებისათვის სათამაშოდ მონყობილი სპეციალური ადგილები“) აკმაყოფილებს შესაბამისობის კრიტერიუმს.

სადავო ნორმის კონსტიტუციურობის დასადგენად მნიშვნელოვანი მოთხოვნაა ნორმატიული აქტის **განსაზღვრულობა**.

კაზუსში მოცემული სადავო რეგულაცია არის განსაზღვრული. იგი იკითხება არაორაზროვნად და სრულიად განჭვრეტადია. შესაბამისად, სადავო ნორმა განსაზღვრულობის მხრივ კონსტიტუციურია.

საბოლოოდ კი უნდა გაირკვეს სადავო რეგულაციით ხომ არ დაირღვა ძირითადი უფლებით დაცული სფეროს არსი. ყველა ძირითად უფლებას აქვს თავისი არსი, რომლის გამოფიტვაც იწვევს სადავო ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობას. თუკი რეგულაცია მთლიანდ შეუძლებელს ხდის პირის მიერ კონსტიტუციით გარანტირებული უფლებით სარგებლობას, ე.ი. დაირღვა ძირითადი უფლების არსი, რაც იმის წინაპირობაა, რომ სადავო ნორმა არაკონსტიტუციურად იქნეს ცნობილი.

კაზუსში მოცემულ შემთხვევაში, სადავო რეგულაცია მართალია გ.-ს უზღუდავს ალკოჰოლური სასმელის მიღების ადგილს, მაგრამ მას მთლიანად არ ართმევს მე-16 მუხლით გარანტირებულ თავისუფალ ქმედებას და საქმიანობას, ამ კონკრეტულ შემთხვევაში - ალკოჰოლის სმის უფლებას. შესაბამისად, სადავო რეგულაცია არ არღვევს თავისუფალი განვითარების უფლების არსს.

კაზუსის ამოხსნას აუცილებლად უნდა ასრულებდეს შესაბამისი დასკვნა, რომელიც ან უნდა ადასტურებდეს ან არ ადასტურებდეს დასაწყისში გამოთქმულ ვარაუდს.

გ.-ს კონსტიტუციური სარჩელი აკმაყოფილებს საკონსტიტუციო სასამართლოში დასაშვებობის კრიტერიუმს. დადგინდა, გ.-ს ძირითად უფლებაში მოხდა ჩარევა საჯარო ხელისუფლების მიერ. ჩარევის ფორმალური და მატერიალური ზღვა-

რი კანონმდებლის მიერ დაცული იქნა. კანონით დადგენილი შეზღუდვა ასევე აკმაყოფილებს თანაზომიერების პრინციპს. სიტყვები „ბავშვებისათვის სათამაშოდ მოწყობილი სპეციალური ადგილები“ თანაზომიერებისა და განსაზღვრულობის ტესტს. შესაბამისად, გ.-ს საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლით დაცული უფლება არ დარღვეულა. სადავო რეგულაციის შესაბამისი სიტყვები „ბავშვებისათვის სათამაშოდ მოწყობილი სპეციალური ადგილები“ არის საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლის შესაბამისი.

მეტი აღქმადობისათვის გამოყენებული უნდა იქნეს კაზუსის ამოხსნის პირველი მოდელის თანმიმდევრულად სტრუქტურირებული გეგმა. იგი გულისხმობს სათაურების, ქვესათაურებისა და აბზაცების გამოყენებას და უზრუნველყოფს აზრის ჩამოყალიბების თვალსაჩინოებას⁷⁵.

75 სქემატურად სტრუქტურირებული გეგმა სქემის სახით იხ. სქემა N. 1.

კაზუსის პირველი მოდელის ამოხსნის სტრუქტურული გეგმა:

I. ძირითადი უფლებით დაცული სფერო

1. საგნობრივი დაცული სფერო;
2. პერსონალური დაცული სფერო:
 - ა. უშუალო ზიანი;
 - ბ. რეალური ზიანი;
 - გ. პირდაპირი ზიანი.

II. ჩარევა

1. მოხდა თუ არა ძირითად უფლებაში ჩარევა სა-
ჯარო ხელისუფლების მიერ;
2. მოხდა თუ არა ძირითად უფლებაში ჩარევა ნორ-
მატიული აქტით.

III. კონსტიტუციურ-სამართლებრივი გამართლება

1. **ნორმის ფორმალური შესაბამისობა კონსტი-
ტუციასთან:**
 - ა. ნორმატიული აქტის მიღების კომპეტენცია;
 - ბ. ნორმატიული აქტის მიღების პროცედურა;
 - გ. ნორმატიული აქტის სამართლებრივი ფორმა;
2. **ნორმის მატერიალური შესაბამისობა კონს-
ტიტუციასთან**
 - ა. ზღვარი:
 - ა.ა) კანონის კონკრეტული დათქმა;

ა.ბ) სასამართლო გადაწყვეტილების დათქმა;

ა.გ) უშუალო კონსტიტუციური ზღვარი;

ა.დ) შიდა კონსტიტუციური ზღვარი.

ბ. ზღვრის ზღვარი:

ბ.ა) თანაზომიერების პრინციპი;

- ლეგიტიმური მიზანი;
- გამოსადეგობა;
- აუცილებლობა;
- შესაბამისობა.

ბ.ბ) ნორმის განსაზღვრულობა;

ბ.გ) ძირითადი უფლების არსი.

დასკვნა.

2. კაზუსის ამოხსნის მეორე მოდელი

კაზუსის ამოხსნის მეორე მოდელს ვიყენებთ მაშინ, როცა კაზუსის მოცემულობიდან სავარაუდოა, რომ სახელმწიფოს აქვს მოქმედების (პოზიტიური) ვალდებულება და იგი ამ ვალდებულებას არ ასრულებს. ამ შემთხვევაში ძირითადი უფლება ირღვევა მაშინ, როცა მისი უზრუნველყოფისათვის სახელმწიფო არ მოქმედებს პოზიტიურად, ან მისი მოქმედება არ არის საკმარისი. ამ დროს სახელმწიფოს ორმხრივი ვალდებულება იკვეთება. **პირველი**, საჯარო ხელისუფლება ვალდებულია დაიცვას პირი არამხოლოდ სახელმწიფოსგან, არამედ მესამე პირებისაგან მომდინარე საფრთხეებისაგან, ასეთ შემთხვევაში მან უნდა მიიღოს კონკრეტული

ზომები, განახორციელოს კონკრეტული მოქმედებები, რათა დაიცვას პირის ძირითადი უფლებები სხვათა ჩარევისაგან.⁷⁶ **მეორეს მხრივ**, სახელმწიფო ვალდებულია პოზიტიურად იმოქმედოს პირის სასარგებლოდ. აღნიშნული პოზიტიური ვალდებულება სახელმწიფოს ე.წ. მფარველობითი და სოციალური⁷⁷ უფლებების სამართლებრივი უზრუნველყოფისას ეკისრება. კონსტიტუციაში გარანტირებული სოციალური უფლებანი ხშირ შემთხვევაში არ წარმოადგენენ პირის სუბიექტურ უფლებებს, ისინი უფრო მეტად კონსტიტუციის მიერ აღიარებული, სახელმწიფოს ობიექტური ღირებულებებია^{78 79}. ამიტომაც კონსტიტუციური სარჩელი ძირითად ისეთ შემთხვევებში განიხილება სასამართლოს მიერ, როცა სოციალური უფლებები თანასწორ მოპყრობასთან (კონსტიტუციის მე-14 მუხლი) მოდიან შეუსაბამობაში⁸⁰. აღნიშნული სახის ძირითადი უფლებების სამართლებრივი კონტროლის უზრუნველყოფა ორ ეტაპად ხორციელდება: *I*. სახელმწიფოს კონკრეტული ვალდებულების განსაზღვრა და *II*. სახელმწი-

76 დაცვის ვალდებულების შესახებ იხ. განმარტება 16

77 მფარველობითი, სოციალური ძირითადი უფლებების შესახებ იხ. განმარტება 17

78 *Schmidt, R., Grundrechte, sowie Grundzüge der Verfassungsbeschwerde*, 17., Aufl. 2015. Rn 14.

79 ასეთი ძირითადი უფლება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკიდან გამომდინარე არის კონსტიტუციის 31-ე მუხლი. იხ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 31 მარტის #2/1-392 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე შოთა ბერიძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, *II*, პ. 19.

80 თუ სახელმწიფო უკვე უზრუნველყოფს ადამიანთა ერთი ჯგუფისადმი სოციალურ, მფარველობით უფლებებს, მაშინ თანასწორობის პრინციპი მოითხოვს მათი არსებითად თანასწორობის თანასწორად მოპყრობას. შესაბამისად, ამგვარ უფლებებზე დავის შემთხვევაში, მოსარჩელისათვის ხელსაყრელია თანასწორობის უფლებაზე აპელირება, თუმცა იმ შემთხვევაში თუკი არსებობს შესაძარებელი ჯგუფი, რომელიც უკვე სარგებლობს ამა თუ იმ სოციალური, მფარველობითი უფლებით.

ფოს კონკრეტული ვალდებულების შეუსრულებლობის დადგენა.⁸¹ როდესაც რომელიმე ძირითადი უფლების დასაცავად კანონმდებლის მიერ არანაირი ღონისძიება არ არის მიღებული, ან შერჩეული საშუალება სრულად გამოუსადეგი და აშკარად არასაკმარისია მიზნის მისაღწევად, სახელმწიფო არღვევს მის პოზიტიურ ვალდებულებას. ამ შემთხვევებში, საქმე გვაქვს არა უფლებით დაცულ სფეროში ჩარევასთან და ზომაზე მეტად ჩარევის შემონმებასთან (თანაზომიერების პრინციპი), როგორც ეს კაზუსის ამოხსნის პირველ მოდელში ძირითად უფლებებში სახელმწიფოს ჩარევით გვხვდება, არამედ პირიქით სახელმწიფოს უმოქმედობასთან, მის მიერ ძირითადი უფლებების დაცვის ვალდებულების შეუსრულებლობასთან, ან ზომაზე (აუცილებელზე) ნაკლებად შესრულებასთან. შესაბამისად, კაზუსის ამოხსნა ამ შემთხვევაში სხვაგვარი სტრუქტურული გეგმით წარიმართება.

კაზუსი N2⁸² - საქართველოში მცხოვრები რუსეთის მოქალაქე ა. და სომხეთის მოქალაქე ბ. ახალშენის ერთ-ერთი საშუალო სკოლის მოსწავლეები არიან. როგორც უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, სკოლის დირექციამ მათ მოსთხოვა სწავლის საფასურის გადახდა, რადგან ისინი საქართველოს მოქალაქეები არ არიან. მათ მიმართეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსის

81 იზორია, კომენტარებში გვ. 26

82 აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით იხ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 12 სექტემბრის გადაწყვეტილება N2/3/540 საქმეზე რუსეთის მოქალაქეები - ოგანეს დარბინიანი, რუდოლფ დარბინიანი, სუსანნა ჟამკოციანი და სომხეთის მოქალაქეები - მილენა ბარსელიანი და ლენა ბარსელიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

მიერ მშობლებისათვის გაგზავნილი წერილში, აღნიშნა, რომ რადგან ა. რუსეთის ფედერაციის მოქალაქეა და ბ. სომხეთის, მათზე ვრცელდება „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის ის რეგულაცია, რომლის თანახმადაც ისინი ვერ მიიღებენ სახელმწიფოს დაფინანსების ვაუჩერს. ა.-ს და ბ.-ს მშობლები თვლიან, რომ სახელმწიფოს კონსტიტუცია აკისრებს ვალდებულებას ფინანსურად უზრუნველყოს მათი შვილებისათვის ზოგადის განათლების მიღება. მათი აზრით, სახელმწიფომ პოზიტიური ქმედებით უნდა დაიცვას მათი შვილების ზოგადი განათლების უფლება. ა.-ს და ბ.-ს მშობლებმა მიმართეს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს.

განიხილეთ, მიიღებს თუ არა საკონსტიტუციო სასამართლო ა.-ს და ბ.-ს მშობლების სარჩელს განსახილველად (სარჩელის დასაშვებობა) და შეესაბამება თუ არა სადავო რეგულაცია საქართველოს კონსტიტუციას.

კაზუსის მოცემულობიდან გამომდინარე უნდა დაიგეგმოს მისი ამოხსნა. **პირველ ეტაპზე** (ისე როგორც ეს კაზუსის ამოხსნის პირველ მოდელში განიხილება) პასუხი უნდა გაეცეს ორ შეკითხვას. არის თუ არა საგნობრივად და პერსონალურად აღნიშნული შემთხვევა კონსტიტუციით დაცული. ა) საქართველოს კონსტიტუციის რომელი კონკრეტული დებულებით, მუხლი, წინადადებით თუ სიტყვით არის ადამიანის კონკრეტული უფლება დაცული (**საგნობრივად დაცული**); ბ) კაზუსის ამოხსნის მეორე ეტაპზე დასადგენია თუ რამდენად არის პირი, რომლის ძირითადი უფლებაც სავარაუდოთ შეიზღუდა, ამ უფლების სამართალსუბიექტი⁸³ და მიაღ-

⁸³ ზუსტი განმარტება ძირითადი უფლების სუბიექტის შესახებ იხ.

გა (ან შეიძლება მიადგეს⁸⁴) თუ არა მას სადავო ნორმით/რეგულაციით უშუალო, რეალური და პირდაპირი ზიანი. ე.ი. დგინდება, არის თუ არა პირ(ებ)ი საქართველოს კონსტიტუციით **პერსონალურად დაცული**.

კაზუსის მოცემულობიდან ირკვევა, რომ ა.-ს და ბ.-ს ძირითადი უფლება შესაძლოა დარღვეული იყოს. საქართველოს კონსტიტუციის 35-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, „ყველას აქვს განათლების მიღებისა და მისი ფორმის არჩევის უფლება“. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის მე-3 წინადადების თანახმად, „ზოგად განათლებას კანონით დადგენილი წესით სრულად აფინანსებს სახელმწიფო“. შესაბამისად, განათლების არამხოლოდ მიღების თავისუფლებაა გარანტირებული საქართველოს კონსტიტუციით, არამედ მისი სრული დაფინანსება. აქედან გამომდინარე, დავის საკონსტიტუციო სასამართლოში დასაშვებობისათვის, მეორე ეტაპზე უნდა დადგინდეს ვრცელდება, თუ არა საქართველოს კონსტიტუციის 35-ე მუხლით დაცული ზოგადი განათლების უფასოდ მიღების უფლება საქართველოში მცხოვრებ უცხო სახელმწიფოს მოქალაქეებზე, რადგან ა. და ბ. არიან რუსეთის ფედერაციისა და სომხეთის მოქალაქეები. საქართველოს კონსტიტუციის 35-ე მუხლის პირველი პუნქტით გამოიყენება სიტყვა „ყველა“. ამავე დროს კონსტიტუციის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტი მიუთითებს, რომ „ზოგად განათლებას კანონით დადგენილი წესით სრულად აფინანსებს სახელმწიფო. მოქალაქეებს უფლება აქვთ კანონით დადგენილი

განმარტება 1 ა)

84 იხ. დეტალურად ტულუში, თ./მენაბდე, ვ./ბურჯანაძე, გ./გოცი-რიძე, გ./მშვენიერაძე, გ.: ადამიანის უფლებების და საკონსტიტუციო სამართალწარმოების პრაქტიკა, თბილისი, 2013, გვ. 609-612.

ნესით, სახელმწიფოს დაფინანსებით მიიღონ პროფესიული და უმაღლესი განათლება“. ამკარაა, რომ განსხვავებით უმაღლესი და პროფესიული განათლებისაგან, კონსტიტუცია ზოგადი განათლების უსასყიდლოდ მიღების უფლებას არ ავინროებს მოქალაქეობის ნიშნით. შესაბამისად უნდა დავასკვნათ, რომ ა.-ს და ბ.-ს როგორც უცხო ქვეყნის მოქალაქეებს უფლება აქვთ იყონ კონსტიტუციის 35-ე მუხლის სუბიექტები, თუ მათ უშუალო და პირდაპირი ზიანი მიადგა. ის ფაქტი, რომ მოსარჩელების მშობლებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ უარი ეთქვათ ზოგადი განათლების ვაუჩერულ დაფინანსებაზე, იმაზე მეტყველებს, რომ მათ მიადგათ უშუალო, რეალური და პირდაპირი ზიანი გასაჩივრებული რეგულაციით.

აღნიშნული კატეგორიის უფლებების შემომშენებლის არსებობს ორგვარი შემთხვევა. **პირველი**, როცა საერთოდ არ არსებობს რეგულაცია, რომელიც კონსტიტუციის საფუძველზე ხელისუფლებას უნდა შეექმნა. არ არსებულ ნორმაზე რთულია კონსტიტუციურ-სამართლებრივი კონტროლის განხორცილება. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს (ხელისუფლების დანაწილებაში მისი „ნეგატიური კანონმდებლის“ ადგილიდან გამომდინარე) საკუთარი გადაწყვეტილებით პირდაპირ არ შეუძლია შექმნას სამართლებრივი რეგულაცია. იგი მხოლოდ ძალადაკარგულად აცხადებს არსებულ სამართლებრივ ნორმას.⁸⁵ თვით რეგულაციის არ

85 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ვერ/არ მიმართავს პარლამენტს სამართლებრივი რეგულაციის მიღების რეკომენდაციით იმ შემთხვევაშიც კი თუ რეგულაციის არ არსებობა სამართლებრივ ვაკუუმს ქმნის. თუმცა სამართლებრივი რეგულაციის არ არსებობა შესაძლოა ზუსტად ისე ზღუდავდეს ადამიანის კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებებს, როგორც რომელიმე კონკრეტული არაკონსტიტუციური რეგულაცია.

არსებობის კონსტიტუციურობის დადგენა კი (განსხვავებით სხვა ქვეყნების საკონსტიტუციო სასამართლოებისაგან),⁸⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციას არ წარმოადგენს⁸⁷. საკონსტიტუციო სასამართლო სამართლებრივ წესრიგს სრულყოფს მხოლოდ არაკონსტიტუციური ნორმების გაუქმებით. **მეორე** შემთხვევაა, როცა მართალია არსებობს სამართლებრივი რეგულაცია, საჯარო ხელისუფლების მიერ გამოცემული ნორმატიული აქტი, მაგრამ იგი პირთა განსაზღვრულ ჯგუფებს არ აძლევს ამ რეგულაციით სარგებლობის უფლებას.

მოცემულ შემთხვევაში, სამართლებრივი აქტი „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი საქართველოს პარლამენტის მიღებული ნორმატიული აქტია და საქართველოს პარლამენტი არის საჯარო ხელისუფლების ორგანო.⁸⁸ ირკვევა რომ, ა.-ს და ბ.-ს ძირითადი უფლება, რომელიც 35-ე მუხლის პირველი და მესამე პუნქტებით არის გარანტირებული, საჯარო ხელისუფლების მიერ გამოცემული ნორმატიული აქტის საშუალებით იზღუდება. პირველ ეტაპზე შუალედური დასკვნის სახით გამოიკვეთა, რომ:

- ა.-ს და ბ.-ს არიან კონსტიტუციის 35-ე მუხლის პირველი და მესამე პუნქტის სუბიექტები;

86 გერმანია, ჩეხეთი იტალია და სხვა.

87 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2010 წლის 28 დეკემბრის #494-ე განჩინება საქმეზე საქართველოს მოქალაქე ვლადიმერ ვახანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

88 საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკიდან გამომდინარე, (კონსტიტუციური სამართალწარმოების მიზნებისათვის), მხოლოდ ცვლილებებისა და დამატებების შესახებ კანონი არ არის ნორმატიული აქტი.

- ა.-ს და ბ.-ს ძირითადი უფლება შეიზღუდა საჯარო ხელისუფლების მიერ;
- ა.-ს და ბ.-ს ძირითადი უფლება შეიზღუდა ნორმატიული აქტით.

ამიტომ, ა.-ს და ბ.-ს როგორც მოსარჩელებს, შეუძლიათ მიმართონ საკონსტიტუციო სასამართლოს და მოითხოვონ იმ რეგულაციის არაკონსტიტუციურად ცნობა, რომელიც მას ზიანს აყენებს.

კაზუსის ამოხსნის შემდეგი ეტაპი არის სადავო ნორმის **კონსტიტუციურ-სამართლებრივი შემოწმება**. როგორც ზემოთ აღინიშნა, იმ შემთხვევაში, როცა არ არსებობს სამართლებრივი რეგულაცია, სასამართლო არ მიიღებს საქმეს განსახილველად, მაგრამ თუ სადავო რეგულაცია სახეზეა უნდა შემოწმდეს ნორმის ფორმალური შესაბამისობა კონსტიტუციასთან: ა. ნორმატიული აქტის მიღების კომპეტენცია; ბ. ნორმატიული აქტის მიღების პროცედურა; გ. ნორმატიული აქტის სამართლებრივი ფორმა. იმ შემთხვევაში თუ კაზუსის მოცემულობაში არ არის მითითებული სადავო ნორმის მიღების ფორმალური მხარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ ნორმა ფორმალურად კონსტიტუციის შესაბამისია. მეორე ეტაპზე უნდა დავადგინოთ მისი **მატერიალურ-სამართლებრივი შესაბამისობა** კონსტიტუციასთან. ამ შემთხვევაში ვადგენთ, რა საფუძველი შეიძლება ჰქონდეს სახელმწიფოს უმოქმედობას და თუ არის იგი მისი უმოქმედობის (პოზიტიური მოქმედებისაგან თავის შეკავების) პროპორციული.

ა.-ს და ბ.-ს მიერ გასაჩივრებული ნორმა ფორმალურად წარმოადგენს „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონს, კაზუსის მოცემულობიდან არ იკვეთება, სადავო ნორმის მიღე-

ბის პროცედურა. კონსტიტუციის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის მესამე წინადადება მიუთითებს, რომ: „ზოგად განათლებას კანონით დადგენილი წესით სრულად აფინანსებს სახელმწიფო“. ცალსახაა, რომ მუხლი მიუთითებს კანონზე, რომელიც მართალია ფორმალურად არსებობს, მაგრამ მასში შინაარსობრივად არ არიან მოაზრებული უცხო ქვეყნის მოქალაქენი. შესაბამისად, ამ ეტაპზე უნდა ვივარაუდოთ, რომ სადავო ნორმა ფორმალურად მოდის კონსტიტუციასთან შესაბამისობაში. ამგვარად, სწორედ ეს შინაარსობრივი, მატერიალური მხარე უნდა შეფასდეს, თუ რა საფუძველი უნდა ჰქონდეს საჯარო ხელისუფლებას, როცა იგი უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე არ ახორციელებს თავის პოზიტიურ ვალდებულებას. სახელმწიფოს მხრიდან ასეთი უმოქმედობის საფუძველი შეიძლება იყოს პოზიცია, რომ უცხოელებისთვის განათლების ძირითადი უფლების შეზღუდვას სახელმწიფო ბიუჯეტის ამონწურვადობას უდევს საფუძველად. პროპორციულობის პრინციპის საფუძველზე უნდა შეფასდეს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია სახელმწიფო ბიუჯეტის დაზოგვა საქართველოში მცხოვრები პირებისათვის ზოგადი განათლების დაფინანსებასთან შედარებით. სამართლებრივი სიკეთეების ანონ-დანონვისას უნდა ითქვას, რომ ერთის მხრივ ამონწურვადი რესურსების დაზოგვა, ზოგადად, შეიძლება წარმოადგენდეს უფლების შეზღუდვის მნიშვნელოვან საჯარო ინტერესს. ყურადსაღებია, რომ სახელმწიფოს გააჩნია საკმაოდ ფართო მოქმედების ზღვარი მაშინ, როდესაც საქმე უკავშირდება შეზღუდვად რესურსებს და ეკონომიკური სტრატეგიის დაგეგმარებას. მეორეს მხრივ, უნდა აღინიშნოს, რომ ისეთი

ამონურვადი სახელმწიფო რესურსი, როგორც სახელმწიფო ბიუჯეტია, პირველ რიგში, ადამიანის ძირითადი უფლებების ეფექტურ რეალიზაციას უნდა მოხმარდეს. მოსარჩელებისა და სხვა ამ კატეგორიის პირებისათვის განათლების უფლების შეზღუდვას მნიშვნელოვანი რისკები მოჰყვება. განათლების უფლების შეზღუდვა ინდივიდს ხელს უშლის სოციალურ, ეკონომიკურ, ინტელექტუალურ და ფსიქოლოგიურ სფეროში განვითარებას. წერის და კითხვის არცოდნა შეუფასებელ ზიანს აყენებს ინდივიდს ყოველდღიურ ცხოვრებაში. უფასო ზოგადი განათლების მიღების სარგებლობის შეზღუდვის შემთხვევაში ხდება მოზარდის დისკრედიტაცია. ყოველივე ზემოაღნიშნულის მხედველობაში მიღებით, საქართველოს პარლამენტმა არაპროპორციულად შეზღუდა საქართველოში მცხოვრები უცხო ქვეყნის მოქალაქეთა ზოგადი განათლების ძირითადი უფლება. შესაბამისად, სადავო ნორმები ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 35-ე მუხლით განმტკიცებულ განათლების უფლებას და არაკონსტიტუციურია.

სადავო ნორმის კონსტიტუციურობის დასადგენად ასევე მნიშვნელოვანი კრიტერიუმია ნორმატიული აქტის **განსაზღვრულობის** მოთხოვნა, რადგან კანონმდებელი ვალდებულია მიიღოს ზუსტი, მკაფიო, კანონმდებლობა (ნორმები), რომელიც პასუხობს კანონის განსაზღვრულობის მოთხოვნას.⁸⁹ ეს გარემოება ერთ-ერთი გადამწყვეტი კრიტერიუმია ნორმის კონსტიტუციურობის შეფასებისას.⁹⁰

89 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბერის გადაწყვეტილება N 1/3/407 საქმეზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე – ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

90 იხ. განმარტება 9

კაზუსში მოცემული „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, სადავო რეგულაცია არის განსაზღვრული. იგი იკითხება არაორაზროვნად და სრულიად განჭვრეტადია. შესაბამისად, სადავო ნორმა განსაზღვრულობის მხრივ კონსტიტუციურია.

საბოლოოდ კაზუსის ამოხსნას უნდა ასრულებდეს დასკვნა, რომელიც პასუხობს კაზუსის დასაწყისში დასმულ შეკითხვას. დასკვნა არ უნდა იყოს ბუნდოვანი და ორაზროვანი. მისი ფორმულირება უნდა იყოს მარტივი და გასაგები.

ა.-ს და ბ.-ს კონსტიტუციური სარჩელი აკმაყოფილებს საკონსტიტუციო სასამართლოში დასაშვებობის კრიტერიუმს. დადგინდა, რომ ა.-ს და ბ.-ს ძირითადი უფლების უზრუნველსაყოფად ხელისუფლებას პოზიტიური ვალდებულება ეკისრებოდა. 35-ე მუხლის უზრუნველსაყოფად მართალია ფორმალურად კანონის მიღება კანონმდებლის მიერ უზრუნველყოფილი იყო, მაგრამ ამ კანონით დადგენილი რეგულაცია არ აკმაყოფილებდა სახელმწიფოს კონკრეტული პოზიტიური ქმედების ვალდებულებას. იგი მატერიალურ სამართლებრივად ვერ ჩაითვლება კონსტიტუციის შესაბამისად, რადგან სახელმწიფოს მიერ დასახელებული საფუძველი არ არის დაცულ სიკეთეთა შორის პროპორციულად დაცული. შესაბამისად, ა.-ს და ბ.-ს საქართველოს კონსტიტუციის მე-35 მუხლის პირველი და მე-სამე პუნქტები დაცული განათლების მიღების უფლება დაირღვა. სადავო რეგულაცია არ არის საქართველოს კონსტიტუციის 35-ე მუხლის პირველი და მესამე პუნქტების შესაბამისი.

კაზუსის ამოხსნის მეორე მოდელის სტრუქტურული გეგმა:

I. ძირითადი უფლებით დაცული სფერო

1. საგნობრივად დაცული სფერო;
2. პერსონალურად დაცული სფერო:
 - ა. უშუალო ზიანი;
 - ბ. რეალური ზიანი;
 - გ. პირდაპირი ზიანი.
3. სახელმწიფოს კონკრეტული პოზიტიური ქმედების ვალდებულების არსებობა კონსტიტუციაში;
4. სახეზეა თუ არა ნორმატიული აქტი რომელიც სავარაუდოთ ზღუდავს ძირითად უფლებას.

II. სახელმწიფოს კონკრეტული ვალდებულების შეუსრულებლობის კონსტიტუციურ-სამართლებრივი გამართლება

1. **ნორმის ფორმალური შესაბამისობა კონსტიტუციასთან:**
 - ა. ნორმატიული აქტის მიღების კომპეტენცია;
 - ბ. ნორმატიული აქტის მიღების პროცედურა;
 - გ. ნორმატიული აქტის სამართლებრივი ფორმა.
2. **ნორმის მატერიალური შესაბამისობა კონსტიტუციასთან:**
 - ა. სახელმწიფოს კონკრეტული ვალდებულების შეუსრულებლობის საფუძველი;

ბ. პროპორციულობა;

გ. ნორმის განსაზღვრულობა.

დასკვნა.

3. კაზუსის ამოხსნის მესამე მოდელი

კაზუსის ამოხსნის ეს მოდელი სრულიად განსხვავდება პირველი და მეორე მოდელებისაგან, რადგან ამ შემთხვევაში განვიხილავთ თანასწორობის უფლებებით დაცულ ძირითად უფლებებს (კონსტიტუციის მე-14, 28-ე, 29-ე და 38-ე მუხლები). ამ შემთხვევაშიც, ისევე როგორც ეს თავისუფლების უფლებების დროს, თუკი თანასწორობის უფლებას იცავს რამდენიმე მუხლი, მათგან სადავო ნორმატიული აქტის მიმართება უნდა დავადგინოთ არა ზოგად, არამედ უფრო სპეციალურ უფლებასთან. განსხვავებით თავისუფლებების უფლებებისაგან, ამ შემთხვევაში არ ვადგენთ სახელმწიფოს ჩარევას ძირითად უფლებაში. თანასწორობის უფლებებთან დაკავშირებით სტრუქტურა ორსაფეხურიანია: პირველად დგინდება სახელმწიფოს მიერ უთანასწორო მოპყრობა. შემდეგ კი აქვს, თუ არა ასეთ მოპყრობას გამართლებული საფუძველი. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებამ ზოგადი თანასწორობის უფლებასთან დაკავშირებით, ქართულ სასამართლო პრაქტიკაშიც დაიმკვიდრა ადგილი⁹¹: „ზოგადი თანასწორობის პრინციპი ითხოვს კანონმდებლისაგან, რომ არსებითად თანასწორებს თანასწორად, არსებითად უთანასწოროებს კი უთანასწოროდ მოეპყროს“. შესაბამისად, თანასწორობის უფლება ირღვევა მაშინ, როცა საჯარო ხელისუფლება არსებითად თა-

91 *BVerfGE* 98, 365 (385). „Der allgemeine Gleichheitssatz des Art. 3 Abs. 1 GG gebietet dem Gesetzgeber, wesentlich Gleiches gleich und wesentlich Ungleiches ungleich zu behandeln“.

ნასწორს უთანასწოროდ, ხოლო არსებითად უთანასწოროს თანასწორად ეპყრობა⁹².

კაზუსი N3⁹³: საქართველოს მოქალაქე მ. ცხოვრობდა ქარელის რაიონ სოფელ დვანში, რომლის საცხოვრებელი ბინაც მდებარეობს ქართველი ძალოვანი სტრუქტურების მიერ არაკონტროლირებად ტერიტორიაზე. მ.-ს სურდა ესარგებლა იმ შეღავათებით, რომლითაც დევნილები სარგებლობენ. ამის უფლებას კი მას არ აძლევდა „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონი. აღნიშნული კანონის თანახმად, იმისათვის, რომ პირს დევნილის სტატუსი მიენიჭოს აუცილებელია შემდეგი პირობების არსებობა: ა) პირის იძულებით გადაადგილების ფაქტი - როდესაც პირი იძულებული გახდა, დაეტოვებინა თავისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი; ბ) პირის იძულებით გადაადგილების მიზეზი – საფრთხე შეექმნა მის ან მასთან მცხოვრები ოჯახის წევრის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან თავისუფლებას; გ) იძულებით გადაადგილების საფუძველი – უცხო ქვეყნის მიერ ტერიტორიის ოკუპაცია, აგრესია და ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევა. ამასთან, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიიჩნეოდა მხოლოდ ის ტერიტორიები, რომელიც „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონმა ასეთად აღიარა. სოფ. დვანი კი ამ კანონით არ იყო ოკუპირებულ ტერიტორიად აღიარებული. მ.-ს 2008 წელს მომხდარი კონ-

92 იხ. განმარტება 12.

93 კაზუსი შედგენილია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილების №1/3/534 მიხედვით საქმეზე საქართველოს მოქალაქე ტრისტან მამაგულაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

ფლიქტის შედეგად მოუწია იძულებით დაეტოვებინა საკუთარი საცხოვრებელი ადგილი და ამ დრომდე ვერ ახერხებს დაბრუნებას. მისი აზრით, სადავო კანონმა ოკუპირებული ტერიტორიის ცნების შემოღებით უპირატესობა მიანიჭა იმ პირთა ჯგუფს, რომლებიც იძულებით გადაადგილდნენ კანონით განსაზღვრული ოკუპირებული ტერიტორიებიდან, ხოლო პირები, რომლებმაც იძულებით დატოვეს თავისი საცხოვრებელი ადგილი არა ოკუპირებული ტერიტორიებიდან, არ მოექცნენ კანონის რეგულირების სფეროში. მ. მოითხოვდა „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის სიტყვების - „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან“ არაკონსტიტუციურად ცნობას. ეს მას თანაბარ მდგომარეობაში ჩააყენებდა სხვა დევნილებთან მიმართებით და თვითონაც ისარგებლებდა იმ უპირატესობებითა და შეღავათებით, რითაც დევნილები სარგებლობდნენ.

კაზუსის მოცემულობის ყურადღებით შესწავლის შემდეგ, უნდა დაისვას საკვანძო კითხვა ვარაუდის ფორმით, რომელზედაც პასუხის გაცემა კაზუსის ამოხსნის დასკვნით ნაწილში უნდა მოხდეს. ზოგადად, საქართველოს კონსტიტუცია კრძალავს ყველა სახის დისკრიმინაციას. მიუხედავად იმისა მოცემულია, თუ არა დიფერენციაციის ნიშანი საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლის ჩამონათვალში⁹⁴. საქართველოს საკონს-

94 სასამართლოს დღევანდელი მიდგომით კონსტიტუციის მე-14 მუხლი იცავს ადამიანებს ნებისმიერი საფუძვლით დისკრიმინაციისაგან. თუმცა, დიფერენცირების ნიშანთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლოს მიდგომა განსხვავებული იყო 2008 წლამდე, 2008 წლის 31 მარტის #2/1-392 გადანყვეტილებით საქმეზე „საქართველოს მოქალაქე შოთა ბერიძე და სხვები საქართველოს

ტიტუციო სასამართლო განიხილავს სარჩელს კონსტიტუციის სპეციალური 28-ე, 29-ე, 38-ე ან ზოგადი მე-14 მუხლებთან მიმართებით.

კაზუსის ამოხსნის პირველ ეტაპზე პასუხი უნდა გაეცეს რამდენიმე კითხვას. კონსტიტუციის მე-14 მუხლით დადგენილი არათანასწორი მოპყრობის დასადგენად უპირველეს კრიტერიუმს წარმოადგენს ის, თუ რამდენად არიან საჯარო ხელისუფლების მიერ (1) გამოცემული ნორმატიული აქტის საფუძველზე (2) დიფერენცირებულ მდგომარეობაში მყოფი პირები არსებითად თანასწორნი, ან თანაბარ სამართლებრივ სიტუაციაში მყოფი პირები რამდენად არიან არსებითად არათანასწორები კონკრეტულ ურთიერთობაში. ამგვარად, უნდა არსებობდეს დიფერენცირების ნიშანი (3), რომლის საფუძველზეც შესაძლოა პირთა ჯგუფების იდენტიფიცირება (4).

კაზუსის ამოხსნის **პირველ ეტაპზე** პასუხი უნდა გაეცეს კითხვებს: არის, თუ არა საგნობრივად და პერსონალურად აღნიშნული შემთხვევა კონსტიტუციით დაცული; **ა**). საქართველოს კონსტიტუციის რომელი კონკრეტული დებულებით, მუხლით, წინადადებით, თუ სიტყვით არის ადამიანის კონკრეტული თანასწორობის უფლება დაცული (**სპეციალური, თუ ზოგადი თანასწორობის უფლებით**); ასეთ შემთხვევაში ვრცელდება სამართლის ზოგადი პრინციპი: *Lex specialis derogat*

პარლამენტის წინააღმდეგ “ სასამართლომ მიიჩნია, რომ კონსტიტუციის მე-14 მუხლი კრძალავს ადამიანების დისკრიმინაციას განურჩევლად იმისა, თუ რა ნიშნით ხორციელდება იგი. აღნიშნული განმარტების შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა კონსტიტუციის მე-14 მუხლის დაცული სფერო, შესაბამისად, წარმოიშვა კანონის წინაშე თანასწორობის უფლებაში ჩარევის განსხვავებული შემთხვევები, ანუ დიფერენცირება იმ ნიშნით, რომელიც კონსტიტუციის მე-14 მუხლში პირდაპირ არ არის მითითებული. შესაბამისად სასამართლო დადგა მათი კონსტიტუციურობის შეფასების საჭიროების წინაშე.

legi generali. შესაბამისად, გამოიყენება სპეციალური და არა ზოგადი ნორმა. როდესაც სახეზეა რამდენიმე თანასწორობის ძირითადი უფლების დარღვევის შესაძლებლობა, განხილვა უნდა დავინყოთ შედარებით სპეციალური ხასიათის თანასწორობის ძირითადი უფლებით. სპეციალური ძირითადი უფლების დარღვევის დადასტურების შემთხვევაში, შედარებით ზოგადი ხასიათის ძირითადი უფლების დარღვევის საკითხი საერთოდ აღარ განიხილება (მაგ. თუ დარღვეულია არჩევნების თანასწორობის ძირითადი უფლება, თანასწორობის ზოგადი ძირითადი უფლების (მუხლი 14) დარღვევის საკითხის განხილვა საჭირო არ არის)⁹⁵. **ბ**) თუ რამდენად არის პირი, რომლის ძირითადი უფლებაც სავარაუდოთ შეიზღუდა, ამ უფლების სამართალსუბიექტი⁹⁶ და მიადგა (ან შეიძლება მიადგეს⁹⁷) თუ არა მას, სადავო ნორმით/რეგულაციით უშუალო, რეალური და პირდაპირი ზიანი. ე.ი. დგინდება, არის თუ არა პირი/პირები საქართველოს კონსტიტუციით **პერსონალურად დაცული**. მეორე ეტაპზე, ზემოქმედებს თუ არა **საჯარო ხელისუფლება** გარკვეულ პირზე (პირთა წრეზე); **მესამე**, საჯარო ხელისუფლების აქტი უნდა იყოს ნორმატიული, რათა პირმა შეძლოს მისი კონსტიტუციური წესით გასაჩივრება. **მეოთხე**, ერთნაირი შემთხვევების მიმართ უნდა დადგინდეს თანაბარი დამოკიდებულება, ან პირიქით სხვადასხვა შემთხვევების მიმართ თანაბარი მოპყრობა რაიმე ნიშნით. ე. ი. დადგინდეს **დიფერენციაციის ნიშანი**⁹⁸; **მეხუთე**, საბოლოოდ, უნდა განვსაზღვროთ,

95 *კობახიძე, ი.*: ძირითადი უფლებები, კაზუსის ამოხსნის სტანდარტული სქემები, კაზუსის ამოხსნის ნიმუშები. ძირითად უფლებათა დაცვის ინსტიტუციონალური გარანტიები საქართველოში, გვ. 21.

96 განმარტება ძირითადი უფლების სუბიექტის შესახებ იხ. განმარტება 1.

97 იხ. *ტულუში, თ./მენაბდე, ვ./ბურჯანაძე, გ./ვოცირიძე, გ./მშვენიერაძე, გ.*: ადამიანის უფლებების და საკონსტიტუციო სამართალწარმოების პრაქტიკა, თბილისი, 2013,, გვ. 609-612.

98 ნინააღმდეგ შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლო მსჯე-

შესადარებელი ჯგუფები. არსებობს, თუ არა მსგავსება განხილულ პირებს (პირთა წრეებს) და/ან სიტუაციებს შორის. საამისოდ უნდა დადგინდეს, აღენიშნებათ, თუ არა შესადარებელ პირებს და სიტუაციებს საერთო პუნქტი (*tertium comparationis*), ანუ შეიძლება თუ არა ისინი გავაერთიანოთ რაიმე ზემდგომი ცნების (*genus proximum*) ქვეშ.

მოცემულ შემთხვევაში, აქტი, რომელიც მ.-ს აზრით ერევა მის ძირითად უფლებებში „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონი არის საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული ნორმატიული აქტი. ამასთან, საქართველოს პარლამენტი არის საჯარო ხელისუფლების ორგანო. შესაბამისად დასტურდება, რომ ჩარევა ხორციელდება მ.-ს. ძირითად უფლებაში, რომელიც მე-14 მუხლით არის დაცული, რადგან მას რომელიმე უფრო კონკრეტული, კონსტიტუციით გარანტირებული თანასწორობის უფლება არ იცავს. ამასთან, დგინდება, რომ საჯარო ხელისუფლების მიერ გამოცემული ნორმატიული აქტის საშუალებით მოხდა ჩარევა. მ.-ს თანასწორობის უფლებაში ჩარევა ხდება უშუალოდ რეალურად და პირდაპირ; გარდა ამისა, გამოიკვეთა დიფერენცირებული მოპყრობა, რადგან სადავო ნორმა უსამართლოდ ახდენს პირთა ორი კატეგორიის დიფერენცირებას; არის არსებითად თანასწორი იმ პირებთან მიმართებით, რომელთა საცხოვრებელი ადგილი ოკუპირებულია უცხო ქვეყნის მიერ. ერთადერთი განსხვავება ამ პირთა

ლობას აღარ გააგრძელებს. იხ. ავტორთა კოლექტივი, ადამიანის უფლებების და საკონსტიტუციო სამართალწარმოების პრაქტიკა, თბილისი, 2013, გვ. გვ 34 .

ჯგუფებს შორის არის ის, რომ ერთ შემთხვევაში გარკვეული ტერიტორია კანონით ცნობილ იქნა ოკუპირებულ ტერიტორიად, ხოლო მეორე შემთხვევაში ეს ტერიტორიები, მართალია, კანონით არ არის მიჩნეული ოკუპირებულ ტერიტორიად, მაგრამ არის უკონტროლო და იქ არ ვრცელდება საქართველოს იურისდიქცია. გარდა ამისა, უნდა დაგინდეს დიფერენციაციის ნიშანი: ეს არის დევნილის „საცხოვრებელი ადგილის“ და სტატუსის კავშირი ტერიტორიის ოკუპაციის ფაქტთან.

იმისთვის, რომ შევადაროთ ერთმანეთს ორი, ან მეტი ჯგუფი, უნდა გამოვყოთ ერთმანეთისაგან შესადარებელი ჯგუფები, რომლებსაც ექნებათ ერთი საერთო ნიშანი/ დასახელება, რომელიც აერთიანებთ მათ.

მოცემულ კაზუსში რეგულირების სუბიექტებს წარმოადგენენ *დევნილები*, მაგრამ სადავო კანონმა, ოკუპირებული ტერიტორიის ცნების შემოღებით უპირატესობა მიანიჭა იმ პირთა ჯგუფს, რომლებიც იძულებით გადაადგილდნენ კანონით განსაზღვრული ოკუპირებული ტერიტორიებიდან, ხოლო პირები, რომლებმაც იძულებით დატოვეს თავისი საცხოვრებელი ადგილი არა ოკუპირებული ტერიტორიებიდან, არ მოექცნენ კანონის რეგულირების სფეროში. შესაბამისად ცალსახაა, რომ სადავო კანონის მიერ მოხდა პირთა ჯგუფის (დევნილის) ორ შესადარებელ ჯგუფად გაყოფა.

კონსტიტუციით დაწესებული დისკრიმინაციის აკრძალვა საჯარო ხელისუფლებისაგან მოითხოვს, რომ მის მიერ დადგენილი ნებისმიერი რეგულაცია შეესაბამებოდეს თანასწორობის ძირითად არსს, რომელიც მდგომარეობს შემდეგში: *არსებითად თანასწორობს მოე-*

პერას თანასწორად და პირიქით.

შესაბამისად ცალსახაა, რომ პირები მიუხედავად იმისა, თუ რომელი ტერიტორიიდან არიან ისინი დევნილები, 1. ტერიტორიიდან რომელიც სახელმწიფომ კანონით ოკუპირებულ ტერიტორიად აღიარა, თუ 2. ტერიტორიიდან, რომელიც რეალურად ოკუპირებულია, მაგრამ ხელისუფლებას ოკუპაციის „მცოცავი“ ხასიათიდან გამომდინარე ჯერ არ უღიარებია დევნილებად, არსებითად ერთმანეთის თანასწორნი არიან. შესაბამისად ვასკვნით, რომ კანონმდებელი არსებითად თანასწორებს ექცევა არათანაბრად.

კაზუსის ამოხსნის ამ მოდელის პირველი ეტაპის დასრულებისას მსჯელობის შეჯამებისათვის საჭიროა გაკეთდეს შუალედური დასკვნა. შუალედურ დასკვნაში პასუხი უნდა გაეცეს მხოლოდ იმ კითხვას, თუ რამდენად არის პირი სამართალსუბიექტი, არის, თუ არა დაცული სიკეთე კონსტიტუციის რომელიმე მუხლით დაცული, სავარაუდო დარღვევა მოხდა, თუ არა საჯარო ხელისუფლების მიერ ნორმატიული აქტის საფუძველზე და არსებობს, თუ არა დიფერენციაციის ნიშანი/კრიტერიუმი და შესადაარებელი ჯგუფები.

შუალედური დასკვნის გასაკეთებლად სახით, გამოიკვეთა, რომ:

- მ.-ს თანასწორობა დაცული არის კონსტიტუციის მე-14 მუხლით;
- მ. არის კონსტიტუციის მე-14 მუხლის სუბიექტი;
- მ.-ს თანასწორობის უფლება შეიზღუდა ნორმატიული აქტით უშუალოდ, რეალურად და პირდაპირ;

- მ.-ს თანასწორობის უფლება შეიზღუდა საჯარო ხელისუფლების მიერ. ამიტომ მ.-ს, როგორც მოსარჩელეს, შეუძლია საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართოს და მე-14 მუხლთან მიმართებით მოითხოვოს იმ რეგულაციის არაკონსტიტუციურად ცნობა, რომელიც მას ზიანს აყენებს.
- საცხოვრებელი პირობების მიხედვით ერთი ჯგუფი, რომელთა საცხოვრებელ ადგილსაც სახელმწიფომ კანონით ოკუპირებული ტერიტორიების სტატუსი მიანიჭა, არსებითად თანაბარია მეორე, იმ ჯგუფისა, რომელთა საცხოვრებელი ადგილიც რეალურად ფაქტობრივად ოკუპირებულია, მაგრამ სახელმწიფოს მათი საცხოვრებელი ადგილასათვის არ მიუნიჭებია ოკუპირებული ტერიტორიების სტატუსი.
- დიფერენციაციის ნიშანია დევნილის სტატუსი საცხოვრებელი ადგილიდან გამომდინარე;
- შესადარებელი ჯგუფები გამოკვეთილია: დევნილები რომელთა საცხოვრებელი ადგილი სახელმწიფომ ოკუპირებულად აღიარა და დევნილები რომელთა საცხოვრებელი ადგილი სახელმწიფომ ოკუპირებულ ტერიტორიად არ აღიარა.

ყოველგვარი დიფერენციაცია ვერ იქნება დისკრიმინაცია. სწორედ იმის შესამოწმებლად, არის თუ არა სახელმწიფოს ქმედება დისკრიმინაციული გამოიყენება არათანაბარი მოპყრობის შემოწმების **რაციონალური, ან მკაცრი შეფასების ტესტი**⁹⁹. განსხვავებული მოპყრობის გონივრულობის შეფასების მასშტაბის მიხედვით

99 12-13 განმარტება

უნდა განვსაზღვროთ, თუ რომელ ტესტის გამოყენებაა მიზანშეწონილი.

თუ არათანასწორი მიდგომა ექვემდებარება გონივრულ ახსნას, გამართლებას, მარტივ რაციონალიზაციას, ასეთ შემთხვევაში გამოიყენება რაციონალური შეფასების ტესტი. რაციონალური ტესტის შემთხვევაში საკმარისია არსებობდეს საჯარო ხელისუფლების მიერ წარმოდგენილი ახსნა, რომელიც ასეთი მოპყრობის გონივრულ და რაციონალურ მიზეზს წარმოადგენს. რაციონალური შეფასების ტესტი აღარ საჭიროებს ლეგიტიმური მიზნის დასაბუთებას და მისი პროპორციულობის ტესტით შემოწმებას. თუმცა, სხვაგვარად უნდა მივუდგეთ იმ შემთხვევებს, როცა პირთა დიფერენციაცია ხდება კლასიკური, სპეციფიური ნიშნებით, (რომელიც კონსტიტუციის მე-14 მუხლშია მოცემული) ან ასეთი დიფერენციაციის შედეგად ირღვევა რომელიმე სხვა ძირითადი უფლება, თუ დიფერენციაციის ინტენსივობა მაღალია და იგი ცალსახად უსაფუძვლოა. ასეთ შემთხვევაში გამოყენებული უნდა იქნას მკაცრი შეფასების ტესტი და ნორმა ფასდება თანაზომიერების პრინციპის მიხედვით (გამოსადეგობა, აუცილებლობა, შესაბამისობა). „მკაცრი ტესტის“ ფარგლებში ლეგიტიმური მიზნის დასაბუთებისას საჭიროა იმის მტკიცება, რომ სახელმწიფოს მხრიდან ჩარევა არის აბსოლუტურად აუცილებელი, არსებობს „სახელმწიფოს დაუძლეველი ინტერესი“.

შემდეგ, მეორე ეტაპზე პასუხი უნდა გაეცეს კითხვას სადავო ნორმა უზრუნველყოფს, თუ არა ზემოაღნიშნული საფუძვლით იძულებით გადაადგილებული ყველა პირის თანაბარ დაცვას; ხომ არ იწვევს ის არსებითად თანასწორი პირების დაუსაბუთებელ დიფერენციაციას, იგივე დისკრიმინაციას? ცალსახაა, რომ კაზუსის მო-

ცემულობაში აღნიშნულ დიფერენციაციას არ შეიძლება ჰქონდეს ისეთი გონივრული და რაციონალური ახსნა, რომელიც აღარ მოითხოვს კანონმდებლისაგან ლეგიტიმური მიზნის არსებობას და ამ მიზნის თანაზომიერ გამართლებას. შესაბამისად, სადავო ნორმის შესამონმებლად მკაცრი შეფასების ტესტი უნდა იქნეს გამოყენებული. უპირველესად უნდა გაირკვეს ის მიზანი, რომელიც ამოძრავებდა კანონმდებელს აღნიშნული ნორმის შემოღებისას. სადავო ნორმის შემოღებით კანონმდებლის ლეგიტიმური მიზანი იყო საქართველოს ტერიტორიის ოკუპაციის ფაქტით გამონვეული შედეგებზე რეაგირება: პირთა იძულებით გადაადგილების სამართლებრივი რეგლამენტაცია, მათთვის დევნილის სტატუსის მინიჭება და მათ მიმართ სოციალური გარანტიების გავრცელებით სახელმწიფოს მიერ შესაბამისი ვალდებულებების აღიარება.

ლეგიტიმური მიზნის არსებობის პირობებში აუცილებელია კანონმდებელმა მიზნის მისაღწევად უფლებაში ჩარევის თანაზომიერი გზა აირჩიოს. ამისთვის კი კანონმდებლის მიერ შერჩეული რეგულაცია უნდა იყოს ამ მიზნის მისაღწევად გამოსადეგი (დასაშვები), მიზნის მიღწევისათვის აუცილებელი და პროპორციული.

მოცემულ შემთხვევაში საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული სადავო რეგულაცია ვერ იქნება მიჩნეული დასახელებული მიზნის მიღწევის გამოსადეგ (დასაშვებ)¹⁰⁰ საშუალებად.

100 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო გამოსადეგობის კომპონენტს „დასაშვებს“ უწოდებს. იგი შინაარსობრივად გულისხმობს შემდეგს: რამდენად არის სადავოდ გახდლი ნორმა/რეგულაცია კანონმდებლის მიერ დასახელებული ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად ვარგისი საშუალება, ე.ი. რეალურად რამდენად გამოადგება იგი კანონმდებელს დასახული ლეგიტიმური მიზნის

სადავო ნორმა არ წარმოადგენს მიზნის მიღწევის გზას. პირიქით, იგი თავად გამოორიცხავს ამ მიზნის მიღწევის შესაძლებლობას. აღნიშნული რეგულაცია ტოვებს ოკუპაციის შედეგად იძულებით გადაადგილებული პირების ნაწილს დევნილის სტატუსის მიღმა, რაც იწვევს არსებითად თანასწორი პირების დიფერენციაციას. გასაჩივრებული კანონი დევნილებისთვის ქმნის არაერთ ისეთ მნიშვნელოვან გარანტიას, რომელიც უზრუნველყოფს დევნილთა ადაპტაციას ახალ გარემოსთან და ხელს უწყობს მათი თვითრეალიზების შესაძლებლობას, მაგრამ იმ ტერიტორიიდან, რომლებიც „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით არ არის მიჩნეული, როგორც ოკუპირებული ტერიტორია, იგივე საფუძვლითა და მიზეზებით იძულებით დევნილ პირებს ტოვებს ზემოაღნიშნულ პრობლემებთან პირისპირ. შესაბამისად, თუკი აღმოჩნდა, რომ თანაზომიერების ტესტის სამი კუმულაციური კომპონენტიდან (გამოსადეგობა, აუცილებლობა და შესაბამისობა) ერთ-ერთი არ ემსახურება ლეგიტიმური მიზნის მიღწევას, სადავო ნორმა ვერ იქნება კონსტიტუციური. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, პირებისათვის დევნილის სტატუსზე უარის თქმა მხოლოდ იმის გამო, რომ ისინი არ არიან კანონით ოკუპირებულად აღიარებული ტერიტორიებიდან დევნილნი, იმის გათვალისწინებით, რომ ოკუპაცია მცოცავია და ცალსახაა, რომ მ-ს სოფ. დვანში ცხოვრება შეუძლებელია ოკუპაციიდან გამომდინარე, აღნიშნული კანონის ლეგიტიმური მიზანი - სახელმწიფოს გარანტიების მისაღებად დევნილის სტატუს-

მისაღწევად. რადგან სიტყვა „გამოსადეგი“ ამ შემთხვევაში უკეთ აღწერს შინაარსს, იგი აღნიშნულ მეთოდოლოგიაში გამოიყენება როგორც „გამოსადეგი“.

სის შემოდება - შეუძლებელია მიღწეულ იქნას სადავო ნორმით, რადგან იგი არ არის **გამოსადეგი, ვარგისი საშუალება** მიზნის მისაღწევად. მოცემულ შემთხვევაში, აღნიშნული ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად **აუცილებელი არ არის** აღნიშნულ პირთა წრის განსხვავებულ მდგომარეობაში ჩაყენება და მათთვის სამართლებრივი ტვირთის დაკისრება. პროპორციულობის ტესტის მესამე კომპონენტი არის სადავო ნორმის **შესაბამისობა** ლეგიტიმური მიზნის მიღწევისათვის. ამ შემთხვევაში ხდება კონკურირებადი ინტერესების ანონ-დანონვა და მოწმდება კონკრეტულ შემთხვევაში, თუ რომელი ინტერესი არის უფრო მნიშვნელოვანი - მ.-ს თანასწორობის უფლება, თუ საჯარო ინტერესი. დევნილის სტატუსის რეგულაცია, სწორედაც, საჯარო ინტერესია, ამავდროულად იგი თვით დევნილებისთვის ქმნის არაერთ ისეთ მნიშვნელოვან გარანტიას, როგორცაა უკეთესი ადაპტაცია, ან თვითრეალიზაცია. ამიტომ, შეუსაბამოა კონსტიტუციური სიკეთეების ანონ-დანონვის შედეგად მ.-ს და სხვა მის მსგავს მდგომარეობაში მყოფ პირთა ჯგუფის ინტერესი დაუპირისპირდეს სხვა დევნილების ან საჯარო ინტერესს.

ბოლო ეტაპზე აუცილებელია დაიდოს დასკვნა, რომელიც გარკვევით აღწერს არის, თუ არაკონსტიტუციური სადავო ნორმა¹⁰¹.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სადავო ნორმა ინვეეს არსებითად თანასწორი პირების გაუმართლებელ დიფერენციაციას,

101 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ბოლოდროინდელი პრაქტიკით სადავო ნორმა შესაძლოა არ იყოს კონსტიტუციური მხოლოდ კონკრეტული „ნორმატიული შინაარსით“ იხ. განმარტება 19.

ვინაიდან ის დევნილის სტატუსის მინიჭებას უკავშირებს მხოლოდ „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილების ფაქტს, ხოლო ტერიტორიებიდან, რომლებიც დასახელებული კანონით არ არის მიჩნეული როგორც ოკუპირებული ტერიტორია, იგივე საფუძვლითა და მიზეზებით იძულებით გადაადგილებულ პირებს გამორიცხავს დევნილის სტატუსის მაძიებელთა წრიდან. შესაბამისად, ნორმა არ არის კონსტიტუციის შესაბამისი და გ.-ს კონსტიტუციური სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს.

კაზუსის ამოხსნის მესამე მოდელის სტრუქტურული გეგმა

I. ძირითადი უფლებით დაცული სფერო

1. საგნობრივად დაცული სფერო;
2. პერსონალურად დაცული სფერო:
 - ა. უშუალო ზიანი;
 - ბ. რეალური ზიანი;
 - გ. პირდაპირი ზიანი.

II. ჩარევა

1. მოხდა თუ არა ძირითად უფლებაში ჩარევა სა-
ჯარო ხელისუფლების მიერ;
2. მოხდა თუ არა ძირითად უფლებაში ჩარევა
ნორმატიული აქტით;
3. დიფერენციაციის დადგენა:
 - ა. შესაძარებელი ჯგუფები;
 - ბ. ჯგუფებისათვის „ზემდგომი ცნების“ გან-
საზღვრა;
 - გ. დიფერენციაციის ნიშანი/კრიტერიუმი.

შუალედური დასკვნა

III. კონსტიტუციურ-სამართლებრივი გამართლება

1. ნორმის ფორმალური შესაბამისობა კონსტი-
ტუციასთან:
 - ა. ნორმატიული აქტის მიღების კომპეტენცია;

- ბ. ნორმატიული აქტის მიღების პროცედურა;
- გ. ნორმატიული აქტის სამართლებრივი ფორმა;

2. ნორმის მატერიალური შესაბამისობა კონსტიტუციასთან:

- ა. შეფასების ტესტის განსაზღვრა
- ა.ა) რაციონალური და გონივრული ახსნა

ან

- ა.ბ) მკაცრი შეფასების ტესტის განსაზღვრა:

- ლეგიტიმური მიზანი;
 - გამოსადეგობა;
 - აუცილებლობა;
 - შესაბამისობა.
- ბ. ნორმის განსაზღვრულობა;

დასკვნა.

4. კაზუსის ამოხსნის მეოთხე მოდელი

კაზუსის ამოხსნის ბოლო, მეოთხე მოდელი გამოიყენება მაშინ, როცა საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის სავარაუდო დარღვევასთან გვაქვს საქმე. კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველი პუნქტით დაცულია ადამიანის ღირსება, ხოლო მეორე და მესამე პუნქტებით კი აკრძალულია არაადამიანური, სასტიკი მოპყრობა. შესაბამისად, ადამიანის ღირსების შესაძლო შელახვისას გამოიყენება სახელმწიფოს მიერ „ადამიანის ობიექტად გამოყენების“ ტესტი, ხოლო მე-17

მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით დადგენილი ნამების აკრძალვის შემონმებისას კი ვიყენებთ ჩარევის შემონმების ე.წ. „4 კომპონენტიან“ ტესტს. კაზუსის ამოხსნის მეოთხე სქემისათვის დამახასიათებელია ის, რომ მას შემონმების მხოლოდ პირველი ეტაპი აქვს. როგორც კი დავადგენთ, რომ სახელმწიფომ განახორციელა ჩარევა კონსტიტუციის მე-17 მუხლში, დგინდება, რომ სახელმწიფომ ხელყო ადამიანის ღირსება. ამ შემთხვევაში არ არსებობს ლეგიტიმური მიზანი, რომელიც მისცემს სახელმწიფოს უფლებას უღირსად მოექცეს ადამიანს, ან სასტიკად, არაადამიანურად მოეპყროს მას. ისინი მიეკუთვნება აბსოლუტურად დაცულ სფეროებს და მათში ნებისმიერი ჩარევა ეწინააღმდეგება კონსტიტუციას. ამიტომ კაზუსის ამოხსნის ეს, მეოთხე მოდელი განსხვავებულ მიდგომას ითვალისწინებს.

კაზუსი N4: საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა მინისტრის N3/19 ბრძანებით დამტკიცდა აღნიშნული სამინისტროს მიერ 2016-2020 წლებში სპორტული ჩემპიონატების ჩატარების ვადები, წესი და პირობები. აღნიშნული ბრძანება ითვალისწინებდა 2016 წლიდან ყოველწლიურად სხვადასხვა სპორტული ჩემპიონატების ჩატარების ხელშეწყობას. ბრძანების მე-5 მუხლი არეგულირებდა ე.წ. „ჯუჯათა ტყორცნაში“ საქართველოს ჩემპიონატის ჩატარებას¹⁰². საქართველოში მცხოვრებმა ნანიზმის სინდრომის¹⁰³ მქონე ადამიანებმა მიმართეს სა-

102 „ჯუჯათა ტყორცნა“ (ინგ. *Dwarf tossing*, გერ. *Zwergenwerfen*) როგორც სპორტი აშშ-სა და ავსტრალიაში წარმოიშვა. ამ სპორტის დროს შესაბამის დამცავ აღჭურვილობაში შემოსილი ჯუჯა დიდი ტანის ადამიანების მიერ როგორც ბურთი ან საგანი გამოიყენება. მას ისვრიან რინგზე გამოსული დიდი ტანის „გოლიათები“. მიზანი არის ჯუჯის მაქსიმალურად შორს მოსროლა/ტყორცნა.

103 *nanos* (ჯუჯა, კონდრისკაცი) - თანდაყოლილი ან შეძენილი კლინიკური სინდრომი, რომლისთვისაც დამახასიათებელია დაბალი

ქართველოს სახალხო დამცველს¹⁰⁴. მათი აზრით, სპორტის სახეობა „ჯუჯათა ტყორცნა“ ღირსების შემლახავი იყო ყველა ნანიზმის სინდრომის მქონე პირისათვის, რადგან ისინი თავს გრძნობდნენ როგორც სათამაშო ნივთები, რომელსაც საზოგადოება, როგორც რაიმე გასართობ საშუალებად, სპორტულ თამაშებში გამარჯვების მისაღწევად აუცილებელ ნივთად აღიქვამდა. სახალხო დამცველმა აღნიშნული სპორტული შეჯიბრის გაუქმების თაობაზე რეკომენდაციით მიმართა საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტროს. მას შემდეგ, რაც აღნიშნულ ქმედებას შედეგი არ მოჰყვა, საქართველოს სახალხო დამცველმა მიმართა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს.

ამ მეთოდით კაზუსის ამოხსნის *პირველ ეტაპზე* (იხე როგორც ყველა სხვა მეთოდით კაზუსის ამოხსნისას) მოწმდება არის, თუ არა საგნობრივად და პერსონალურად აღნიშნული შემთხვევა კონსტიტუციით დაცული. **ა)** საქართველოს კონსტიტუციის რომელი კონკრეტული დებულებით არის ადამიანის კონკრეტული უფლება დაცული (**საგნობრივად დაცული**); **ბ)** დასადგენია, თუ რამდენად არის პირი, რომლის ძირითადი უფლებაც სავარაუდოდ შეიზღუდა, ამ უფლების მატარებელი **სუბიექტი**¹⁰⁵. ადამიანის ღირსების შინაარსის დადგენა გაცილებით რთულია, ვიდრე მისი მატარებელი სუბიექ-

ტანი (130 სმ-ზე ნაკლები მამაკაცისათვის და 120 სმ-ზე ნაკლები ქალისათვის). ცნობილია ჰიპოფიზური და არაჰიპოფიზური ნანიზმები, იხ.: *გოგინაძე გიორგი*, ლექსიკონი ბიოლოგიური და სამედიცინო ტერმინები და ცნებები / *გ. გოგინაძე, გ. კანდელაკი, თ. გოგინაძე*, თბილისი, 2011, გვ. 442.

104 სახალხო დამცველი არის ერთადერთი, რომელსაც აქვს *actio popularis* სამართალწარმოების ინიცირების უფლება საქართველოში.

105 განმარტება ძირითადი უფლების სუბიექტის შესახებ იხ. განმარტება. 1 და 2.

ტისა. ღირსება აქვს არათუ ყველა ცოცხალ ადამიანს, არამედ ემბრიონს და ასევე გარდაცვლილს. შესაბამისად, ყველა ფიზიკური პირი არის ადამიანი ღირსების მატარებელი, რაც მის საგნობრივად დაცულ სფეროს შეეხება, იგი არის არამხოლოდ იურისტების, არამედ ფილოსოფოსების, სოციოლოგებისა და სხვა მეცნიერების მსჯელობის საგანი. მართალია იურისპრუდენცია მხოლოდ ჰიპოთეტურად ადგენს მის მიერ საგნობრივად დაცული სფეროს ფარგლებს, თუმცა კონსტიტუციურ-სამართლებრივი მნიშვნელობით ადამიანი ღირსების მატარებელია იმიტომ, რომ იგი ადამიანად არის გაჩენილი. შესაბამისად, იგი (მიუხედავად მისი სტატუსისა, საქციელისა ან ყველა სხვა თვისებებისა) იმსახურებს პატივისცემასა და ეთიკურ მოპყრობას.

კაზუსის ამოხსნის პირველ ეტაპზე ვადგენთ ადამიანის მიზნის მიღწევის საშუალებად გამოყენებას, რომელსაც არ უშვებს კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველი პუნქტით დაცული სიკეთე - ადამიანის ღირსება. ამ მუხლის სუბიექტებს წარმოადგენენ ქონდრისკაცები¹⁰⁶, რომლებმაც განცხადებით მიმართეს სახალხო დამცველს. შესაბამისად, სახეზეა საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებული ადამიანის ღირსების მატარებელი სუბიექტები. სახალხო დამცველს კი ახასიათებს¹⁰⁷ პროცესუალური სამართალსუბიექტობა, რომელიც მის მიერ *actio popularis* წესით სამართალწარმოების დაწყებით გამოიხატება.

კაზუსის ამოხსნის მეორე ეტაპზე უნდა დადგინდეს,

106 „ქონდრისკაცი“ არანორმალურად პატარა სიმაღლე მოზრდილი ადამიანისა (130 სმ-ზე ნაკლები), რაც გამონვეულია შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების ფუნქციის მოშლით. უცხო სიტყვათა ლექსიკონი, 1989.

107 იხ. განმარტება 2.

მოხდა თუ არა ჩარევა სახელმწიფოს მიერ კონსტიტუციის მე-17 მუხლით დაცულ სფეროში და რა საშუალებით. თუკი დადგინდა, რომ ადამიანის ღირსებაში ჩარევა დადგინდა, მაშინ შემდეგ ეტაპზე (ჩარევის გამართლებაზე) აღარ შეიძლება იყოს მსჯელობა, რადგან ღირსების უფლებაში სახელმწიფოს ჩარევა, ამ უფლების დარღვევის ტოლფასია. სამართალში დამკვირდებული ტესტის მიხედვით ადამიანის ღირსების შემონმების ტესტი ეყრდნობა „ობიექტად გამოყენების“ ფორმულას¹⁰⁸ და იგი შემდეგნაირია: ადამიანის ღირსება ირღვევა მაშინ, თუკი იგი სახელმწიფოში დამცირებულია როგორც შიშველი ობიექტი¹⁰⁹ და ასეთი დამცირება პრინციპულად ეჭვქვეშ აყენებს მისი, როგორც ადამიანის, სუბიექტურ ღირებულებასა და ხარისხს¹¹⁰.

საკონსტიტუციო სასამართლოსათვის თვითნორმა, რომლითაც შესაძლოა ადამიანის ღირსების შელახვა მომხდარიყო, არის ნორმატიული აქტი¹¹¹. შინაარსობრივად კი მისი გამოვლინება შეურაცხყოფს ადამიანებს - ქონდრისკაცებს, რომლებიც მართალია უშუალოდ არ მონაწილეობენ „ჯუჯათა სროლაში“, თუმცა ისინი, მათი სინდრომის/დაავადების გამო ცალსახად ასო-

108 ამ ტერმინს „ობიექტის ფორმულასაც“ უწოდებენ. იგი ჯერ კიდევ *იმანუელ კანტის* მიერ მის 1785 წლის ნაშრომში „*der Metaphysik der Sitten*“ იქნა გამოყენებული. მას დღემდე წარმატებით იყენებს გერმანიის ფედერაციული საკონსტიტუციო სასამართლო თავის გადაწყვეტილებებში. *BVerfGE* 5, 85, (204); 7, 198 (205); 27, 1 (6): „*Es widerspricht der Menschenwürde, den Menschen zum bloßen Objekt im Staat zu machen.*“; 28, 386 (391); 45, 187 (228); 50, 166 (175); 56, 37 (43). 72, 105 (116); 96, 375 (399); 109, 133, 149;

109 *Geddert-Steinacher, T.*, Menschenwürde als Verfassungsbegriff. Aspekte der Rechtsprechung des Bundesverfassungsgerichts zu Art. 1 Abs. 1 Grundgesetz, Berlin 1990,

110 *Manssen, G.*: Staatsrecht II, Grundrechte, 13. Auflage 2016 § 9., Rz. 217

111 საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, გასაჩივრებული ნორმა უნდა შემონმდეს,

ცირდებიან სპორტული თამაშის საგნად. მაყურებელი ქონდრისკაცების პოზიციას და ღირსების გრძნობას უპირისპირდება თვით ამ სპორტში მონაწილე ქონდრისკაცების უფლებები. მათ რა თქმა უნდა გააჩნიათ პირადი, პროფესიული განვითარების უფლება, უფლება გამოხატონ თავისუფალი ნება და მოიქცენ ისე როგორც ისინი თავისუფალ ნებას უკეთ გამოხატავენ. ადამიანის ღირსეული არსებობა საზოგადოებაში კონსტიტუციის მიერ დამკვიდრებული ღირებულებაა. სწორედ მის ფარგლებში შეუძლია ადამიანს განავითაროს მისი პიროვნება. გარდა ამისა, აღნიშნული სპორტის სახეობა პირს სწორედ იმიტომ, რომ იგი ქონდრისკაცია, იყენებს როგორც შიშველ ობიექტს მიზნის მისაღწევად (მაქსიმალურად შორს მოსასროლად). ამან შესაძლოა შეურაცხყოს იმ ადამიანების თვითშეფასება, მათი ღირსება, რომლებიც ფიზიკური მონაცემების გამო იმავე მდგომარეობაში იმყოფებიან, რაშიც აღნიშნული სპორტით დაკავებული ქონდრისკაცები არიან. შესაბამისად, აღნიშნული სპორტის სახეობის არსებობა, ლახავს ადამიანის ღირსებას და ეწინააღმდეგება კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველ პუნქტს.

დასკვნის სახით იწერება მოხდა, თუ არა სახელმწიფოს მხრიდან მისი პოზიტიური, ან/და ნეგატიური ქმედებით ჩარევა (რაც ამ შემთხვევაში იგივეა რაც დარღვევა) კონსტიტუციის მე-17 მუხლში.

თუკი კაზუსის მოცემულობის ანალიზისას სავარაუდოა კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების დარღვევა, მაშინ ვიყენებთ აღნიშნულ 4 კომპონენტთან ტესტს. ამ პუნქტებით გათვალისწინებული „კონსტიტუციური აკრძალვა ადამიანის ნამების, არაჰუმანური,

სასტიკი, პატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობისა და სასჯელის გამოყენების თაობაზე ადამიანების აბსოლუტური უფლებებია, რაც ნიშნავს იმას, რომ კონსტიტუცია უპირობოდ გამორიცხავს ამ უფლებებში ჩარევას¹¹². აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტთან დაკავშირებული კაზუსების ამოხსნისას, ჩარევის დასადგენად საჭიროა რამდენიმე კომპონენტის განხილვა. ეს არის ე.წ. „4 კომპონენტიანი“ ტესტი. თუკი რომელიმე მათგანი სახეზეა ვადგენთ მე-17 მუხლის მე-2 და მე-3 მუხლში ჩარევას, რაც დარღვევის ტოლფასია.

კაზუსი N5: მოქალაქე ბ.¹¹³ ბრალდებული იყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის, კერძოდ დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება - გამომშრალი მარიხუანის შექმნა-შენახვისთვის. ბ. აღმოუჩინეს 69 გრ. გამომშრალი მარიხუანა, რისთვისაც გათვალისწინებული იყო თავისუფლების აღკვეთა ვადით შვიდიდან თოთხმეტ წლამდე. ბ.-ს აზრით, მარიხუანის შენახვისთვის არა მხოლოდ სადავო ნორმით დადგენილი შეუსაბამოდ მაღალი სასჯელი, არამედ ზოგადად თავისუფლების აღკვეთაც არაპროპორციული და ღირსების უფლების შემლახველია, რითაც ირღვეოდა კონსტიტუციის მე-17 მუხლის მეორე პუნქტი.

თუკი სავარაუდოა კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 ან მე-3 პუნქტში სახელმწიფოს ჩარევა, ვიყენებთ ე.წ.

112 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის #1/4/592 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე ბექა ნიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, (ე.წ. მარიხუანის საქმე), II, პ. 19.

113 იქვე.

„4 კომპონენტიან“¹¹⁴ ტესტს, რომლის გამოყენებითაც დგინდება სახელმწიფოს მოქმედების დასაშვებობა კონკრეტულ მოცემულობაში. თუკი ერთ-ერთი ამ 4 კომპონენტიდან სახეზეა, ამით დგინდება მე-17 მუხლში ჩარევა და შესაბამისად მისი დარღვევა. საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტით დაცულ სფეროში ჩარევად ჩაითვლება ქმედება, რომელიც სახელმწიფოს მიერ განხორციელდა იყო 1. **ინტენსიური**; 2. არაპროპორციულად **ხანგრძლივი**, ან **მუდმივი**; 2. პირი წარმოადგენს სახელმწიფოსათვის „**მიზნის მიღწევის საშუალებას**, (შიშველ ობიექტს). 4. იყო **თვითნებური**.

მოქალაქე ბ.-ს მიმართ სახელმწიფოს მიერ გამოყენებული სასჯელი შესაძლოა იყოს ღირსების შემლახავი. 1. **ინტენსივობის** საზომი ამ შემთხვევაში ბ.-ს მიმართ შეფასებულია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ¹¹⁵. უფლებაში ჩარევის დასადგენად ბ.-ს მიმართ უნდა იყოს ისეთი „არაჰუმანური, სასტიკი, პატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობა და სასჯელი, ადამიანზე განზრახ ფიზიკური, ფსიქოლოგიური, მორალური ზემოქმედება, იძულება, რაც, შედეგად, ადამიანს აყენებს განსაცდელს, სტრესს, სატანჯველს“. 2. ასევე განმარტებულია, რომ ჩარევის დასადგენად ბ.-ზე „ასეთი წნეხი, იძულება, ზემოქმედება როგორც თვისობრივად, ისე **ხანგრძლივობით** ინტენსივობის გარკვეულ

114 იხ. მსგავსი სქემა ასევე: *იზორია, ლ./კორკელია, ე./კუბლაშვილი კ./ხუბუა გ.*: საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, გვ. 91.

115 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის #1/4/592 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე ბექა ნიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ II, პ. 22.

ხარისხს, მაღალ დონეს უნდა აღწევდეს¹¹⁶. **3. ბ.** ზე დაკისრებული სასჯელი შესაძლოა ემსახურებოდეს ზოგად პრევენციას, მაგრამ თუკი ეს სასჯელის ზომა აშკარად შეუფერებელია აღნიშნული ქმედებისათვის, პირი ხდება სახელმწიფოს ქმედების ობიექტი. „ადამიანი არ შეიძლება იყოს სისხლის სამართლის პოლიტიკის **ინსტრუმენტი** და დანაშაულთან ბრძოლის საშუალება, ადამიანი არის მიზანი, რომელზე ორიენტირებითაც მოქმედებს ხელისუფლება“. თუკი ბ. იქცევა ინსტრუმენტად სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში, ეს გარდაუვლად გამოიწვევს მისი ღირსების ხელყოფას¹¹⁷. **4. ქმედების თვითნებური ხასიათის** შემონმებისას მხედველობაშია მისაღები თუ „**რამდენად არის ქმედების მიზანი** ბ-ს დამცირება და შეურაცხყოფა“,

როგორც აღინიშნა კაზუსის ამოხსნის ამ მეთოდის შემთხვევაში 4 კომპონენტიდან ერთის (ან მეტის) არსებობის შემთხვევაში იდება დასკვნა, რომ მოხდა სახელმწიფოს მიერ ადამიანის ღირსების შელახვა და პირიქით, თუ არც ერთს ჩამოთვლილი კომპონენტიდან არ ჰქონია ადგილი ადამიანის ღირსებაში არ მომხდარა ჩარევა.

მოცემულ შემთხვევაში, როდესაც ნორმა ითვალისწინებს ბ.-სთვის თავისუფლების აღკვეთას, იმის გამოც, რომ პირმა საკუთარ ჯანმრთელობას შეიძლება მიაყენოს ზიანი (თუ არ არსებობს რეალური რისკები სხვების ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენებისა) აშკარაა სასჯელის სისასტიკე და მკაფიო არაადეკვატურობა. შედეგად კი ბ. სახელმწიფოს ხელთ ხდება ინსტრუმენტი და არა დაცვის ობიექტი. ამ შემთხვევაში აღნიშნუ-

116 იქვე, II, პ. 54.

117 იქვე, II, პ. 83.

ლი ტესტის მე-2 და მე-3 კომპონენტები - ბრალ-
დებული ბ.- ს მიმართ სახელწიფოს ქმედების
ინტენსიურობა და ობიექტად/ინსტრუმენტად
გამოყენება დასტურდება. მაშასადამე, სახეზეა
ადამიანის ღირსების ხელყოფა არაადამიანური,
სასტიკი სასჯელის დაწესების გზით, რომელიც
ხანგრძლივობით ინტენსივობის მაღალ ხარისხს
აღწევს.

კაზუსის ამოხსნის მეოთხე მოდელის სტრუქტურული გეგმა:

I. ძირითადი უფლებით დაცული სფერო;

1. საგნობრივად დაცული სფერო;
2. პერსონალურად დაცული სფერო;
 - ა. უშუალო ზიანი;
 - ბ. რეალური ზიანი;
 - გ. პირდაპირი ზიანი.

II. ჩარევა

1. მოხდა თუ არა ძირითად უფლებაში ჩარევა საჯარო ხელისუფლების მიერ;
2. მოხდა თუ არა ძირითად უფლებაში ჩარევა ნორმატიული აქტით;
 - ა. შემონმება ხორციელდება „ობიექტად/ინსტრუმენტად გამოყენების“ ფორმულით**

ან

ბ. შემონმება ხდება ე.წ. 4 კომპონენტიანი ფორმულით


- ინტენსიურობა;
- ხანგრძლივობა;
- ობიექტად/ინსტრუმენტად გამოყენება;
- თვითნებობა (მიზნად ჰქონდა პირის დამცირება).

დასკვნა

III. სტრუქტურული სქემა და გეგმები

სქემა: N 5

საკონსტიტუციო სამართალწარმოება ინდივიდუალური სარჩელის განხილვისას



კაზუსის ამოხსნის პირველი მოდელის გეგმა:

I. ძირითადი უფლებით დაცული სფერო

1. საგნობრივად დაცული სფერო;
2. პერსონალურად დაცული სფერო:
 - ა. პირდაპირი ზიანი;
 - ბ. უშუალო ზიანი.

II. ჩარევა

3. მოხდა თუ არა ძირითად უფლებაში ჩარევა სა-
ჯარო ხელისუფლების მიერ;
4. მოხდა თუ არა ძირითად უფლებაში ჩარევა ნორ-
მატიული აქტით;

III. კონსტიტუციურ-სამართლებრივი გამართლება

1. **ნორმის ფორმალური შესაბამისობა კონსტი-
ტუციასთან:**
 - ა. ნორმატიული აქტის მიღების კომპეტენცია;
 - ბ. ნორმატიული აქტის მიღების პროცედურა;
 - გ. ნორმატიული აქტის სამართლებრივი ფორმა.
2. **ნორმის მატერიალური შესაბამისობა კონს-
ტიტუციასთან:**
 - ა. ზღვარი:
 - ა.ა) კანონის კონკრეტული დათქმა;
 - ა.ბ) სასამართლო გადაწყვეტილების დათქმა;
 - ა.გ) უშუალო კონსტიტუციური ზღვარი;

ა.დ) შიდა კონსტიტუციური ზღვარი.

ბ. ზღვრის ზღვარი:

ბ.ა) თანაზომიერების პრინციპი:

- ლეგიტიმური მიზანი;
- გამოსადეგობა;
- აუცილებლობა;
- შესაბამისობა.

ბ.ბ) ნორმის განსაზღვრულობა;

ბ.გ) ძირითადი უფლების არსი.

დასკვნა.

კაზუსის ამოხსნის მეორე მოდელის სტრუქტურული გეგმა:

I. ძირითადი უფლებით დაცული სფერო;

1. საგნობრივად დაცული სფერო;
2. პერსონალურად დაცული სფერო:
 - ა. უშუალო ზიანი;
 - ბ. რეალური ზიანი;
 - გ. პირდაპირი ზიანი.
3. სახელმწიფოს კონკრეტული პოზიტიური ქმედების ვალდებულების არსებობა კონსტიტუციაში;
4. სახეზეა თუ არა ნორმატიული აქტი რომელიც სავარაუდოთ ზღუდავს ძირითად უფლებას.

II. სახელმწიფოს კონკრეტული ვალდებულების შეუსრულებლობის კონსტიტუციურ-სამართლებრი- ვი გამართლება

1. **ნორმის ფორმალური შესაბამისობა კონსტიტუციასთან:**
 - ა. ნორმატიული აქტის მიღების კომპეტენცია;
 - ბ. ნორმატიული აქტის მიღების პროცედურა;
 - გ. ნორმატიული აქტის სამართლებრივი ფორმა.
2. **ნორმის მატერიალური შესაბამისობა კონსტიტუციასთან:**
 - ა. სახელმწიფოს კონკრეტული ვალდებულების შეუსრულებლობის საფუძველი;

ბ. პროპორციულობა;

გ. ნორმის განსაზღვრულობა.

დასკვნა.

კაზუსის ამოხსნის მესამე მოდელის სტრუქტურული გეგმა:

I. ძირითადი უფლებით დაცული სფერო

1. საგნობრივად დაცული სფერო;
2. პერსონალურად დაცული სფერო:
 - ა. უშუალო ზიანი;
 - ბ. რეალური ზიანი;
 - გ. პირდაპირი ზიანი.

II. ჩარევა

1. მოხდა თუ არა ძირითად უფლებაში ჩარევა სა-
ჯარო ხელისუფლების მიერ;
2. მოხდა თუ არა ძირითად უფლებაში ჩარევა
ნორმატიული აქტით;
3. დიფერენციაციის დადგენა:
 - ა. შესაძარებელი ჯგუფები;
 - ბ. ჯგუფებისათვის ერთიანი დასახელება/ქუდი;
 - გ. დიფერენციაციის ნიშანი/კრიტერიუმი.

შუალედური დასკვნა

III. კონსტიტუციურ-სამართლებრივი გამართლება

1. **ნორმის ფორმალური შესაბამისობა კონსტი-
ტუციასთან:**
 - ა. ნორმატიული აქტის მიღების კომპეტენცია;
 - ბ. ნორმატიული აქტის მიღების პროცედურა;

გ. ნორმატიული აქტის სამართლებრივი ფორმა.

2. ნორმის მატერიალური შესაბამისობა კონსტიტუციასთან:

ა. შეფასების ტესტის განსაზღვრა:

ა.ა) რაციონალური და გონივრული ახსნა

ან

ა.ბ) მკაცრი შეფასების ტესტის განსაზღვრა:

- ლეგიტიმური მიზანი;
- გამოსადეგობა;
- აუცილებლობა;
- შესაბამისობა.

ბ. ნორმის განსაზღვრულობა.

დასკვნა.

კაზუსის ამოხსნის მეოთხე მოდელის სტრუქტურული გეგმა:

I. ძირითადი უფლებით დაცული სფერო

1. საგნობრივად დაცული სფერო;
2. პერსონალურად დაცული სფერო:
 - ა. უშუალო ზიანი;
 - ბ. რეალური ზიანი;
 - გ. პირდაპირი ზიანი.

II. ჩარევა

1. მოხდა თუ არა ძირითად უფლებაში ჩარევა სა-
ჯარო ხელისუფლების მიერ;
2. მოხდა თუ არა ძირითად უფლებაში ჩარევა ნორ-
მატიული აქტით:
 - ა. შემონმება „ობიექტად/ინსტრუმენტად გა-
მოყენების“ ფორმულით

ან

ბ. შემონმება ე.წ. 4 კომპონენტისანი ფორმუ- ლით:

- ინტენსიურობა;
- ხანგრძლივობა;
- ობიექტად/ინსტრუმენტად გამოყენება;
- თვითნებობა (მიზნად ჰქონდა პირის დამცირება).

დასკვნა.

ბიბლიოგრაფია

1. ქართულენოვანი ლიტერატურა:

- ავტორთა კოლექტივი (რედ. ტურავა, პ.): საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბილისი, 2013;
- გოგიჩაძე, გ./კანდელაკი, გ./გოგიჩაძე, თ.: ლექსიკონი ბიოლოგიური და სამედიცინო ტერმინები და ცნებები, თბილისი, 2011;
- დემეტრაშვილი, ა./კობახიძე, ი.: კონსტიტუციური სამართალი: სახელმძღვანელო ბაკალავრიატის სტუდენტებისთვის, 2014 წლის 15 სექტემბრის მდგომარეობით. თბილისი;
- ზოიძე, ბ.: ძირითადი უფლების არსის შენარჩუნების პრინციპი, საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა V, 2012, გვ. 138-149;
- იზორია, ლ.: ადამიანის უფლებების შეზღუდვა და თანაზომიერების პრინციპი, ადამიანის უფლებათა დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში, სტატიათა კრებული (რედ. კორკელია, კ.) თბილისი, 2002;
- იზორია, ლ./კორკელია, კ./კუბლაშვილი კ./ხუბუა გ.: საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბილისი, 2005;
- კობახიძე, ი.: ძირითადი უფლებები, კაზუსის ამოხსნის სტანდარტული სქემები, კაზუსის ამოხსნის ნიმუშები. ძირითად უფლებათა დაც-

ვის ინსტიტუციონალური გარანტიები საქართველოში;

- *ტულუში, თ./მენაბდე, ვ./ბურჯანაძე, გ./გოცი-რიძე, გ./მშვენიერაძე, გ.:* ადამიანის უფლებების და საკონსტიტუციო სამართალწარმოების პრაქტიკა, თბილისი, 2013;
- *ფირცხალაშვილი, ა.:* ადამიანის უფლებათა უნივერსალურობის თეორია, მართლმსაჯულება და კანონი, თბილისი, 2014, გვ. 71-86;
- *ფირცხალაშვილი, ა.:* სახელმწიფოს დაცვის ვალდებულება და მისი ასახვა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში (მართლმსაჯულება და კანონი, თბილისი, 2012, გვ. 46-57.

2. უცხოენოვანი ლიტერატურა:

- *Bringewat, P.,* Methodik der juristischen Fallbearbeitung: Mit Aufbau- und Prüfungsschemata aus dem Zivil-, Strafrecht und öffentlichen Recht, Kohlhammer; Auflage: 2. 2013;
- *Geddert-Steinacher, T.:* Menschenwürde als Verfassungsbegriff. Aspekte der Rechtsprechung des Bundesverfassungsgerichts zu Art. 1 Abs. 1 Grundgesetz, Berlin 1990;
- *Hesse, K.:* Grundzüge des Verfassungsrechts der Bundesrepublik Deutschland. Neudruck der 20. Auflage. Müller, Heidelberg 1999;
- *Iahnel, D,* in: Marten/Papier (Hg), Handbuch der Grundrechte in Deutschland und Europa, B. VII/1, Aufl. 2., 2014;

- *Ipsen, J.*: Staatsrecht II, Grundrechte, 15. Aufl;
- *Klein, E.*: Grundrechtliche Schutzpflicht des Staates, in: NJW 1989;
- *Manssen, G.*: Staatsrecht II, Grundrechte, 13. Auflage 2016;
- *Phirtsckhalashvili, A.*: Schutzpflichten und die horizontale Wirkung von Grundrechten in der Verfassung, Georgiens vom 24. August 1995, 2010, Potsdam;
- *Pieroth, B./Schlink, B.*: Grundrechte, Staatsrecht II, 32. Auflage. 2016;
- *Rath-Kathrein, I.*, Übungsfälle aus dem Verfassungsrecht: Methode und Praxis der juristischen Falllösung - dargestellt an 12 Beispielen, Studia Universitätsverlag Innsbruck; Auflage: 5., Auflage ., 2015;
- *Schmidt, R.*: Grundrechte, sowie Grundzüge der Verfassungsbeschwerde, 17., Auflage. 2015.
- *Stern, K.*: Die Schutzpflichtfunktion der Grundrechte: Eine juristische Entdeckung, in: DOEV 2010;
- *Sunjid, D.*, Der Gleichheitsgrundsatz in Bezug auf das allgemeine Gleichbehandlungsgesetz im deutschen und mongolischen Recht., München. 2010.,

3. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს აქტები:

- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 25 მაისის #15/290, 266 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს პარლამენტის

წევრთა ჯგუფი (სულ 67 დეპუტატი) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პარლამენტის წინააღმდეგ და საქართველოს მოქალაქე თამაზ დიასამიძე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პარლამენტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურის წინააღმდეგ;

- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბერის გადაწყვეტილება #1/3/407 საქმეზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე – ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 31 მარტის #2/1-392 გადაწყვეტილება, საქმეზე საქართველოს მოქალაქე შოთა ბერიძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ,
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 24 აპრილის #1/5/449 განჩინება საქმეზე საქართველოს მოქალაქე გიორგი სიორდია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ივნისის #1/2/458 განჩინება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები - ალექსანდრე მაჭარაშვილი და დავით სართანია საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება #1/466 საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება #1/1/493 საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები: „ახალი მემარჯვენეები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2010 წლის 28 დეკემბრის #494-ე განჩინება საქმეზე საქართველოს მოქალაქე ვლადიმერ ვახანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 მარტის #2/1/473 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე ბიჭიკო ჭონქაძე და სხვები საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილება #2/482,483,487,502 საქმეზე მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის“ საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია“, საქართველოს მოქალაქეები – ზვიად ძიძიგური და კახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები დაჩი ცაგურია და ჯაბა ჯიშკარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 13 მაისის განჩინება #1/2/506 საქმეზე საქართველოს მოქალაქე კობა გოგუა საქართველოს კონტროლის პალატის წინააღმდეგ.

- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბრის #1/1/477 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის #3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე დანიის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 14 დეკემბრის განჩინება #№1/5/525 საქმეზე მოლდოვის მოქალაქე მარიანა კიკუ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 13 ივლისის განჩინება #2/3/514 საქმეზე საქართველოს მოქალაქე მაია ასაკაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 ივნისი გადაწყვეტილება #1/3/534 საქმეზე საქართველოს მოქალაქე ტრისტან მამაგულაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 12 სექტემბრის გადაწყვეტილება #2/3/540 საქმეზე რუსეთის მოქალაქეები - ოგანეს დარბინიანი, რუდოლფ დარბინიანი, სუსანნა ჟამკოციანი და სომხეთის მოქალაქეები - მილენა ბარსელიანი და ლენა ბარსელიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 19 თებერვლის N1/1/569 საოქმო ჩანანერი საქმეზე საქართველოს მოქალაქეები -

დავით კანდელაკი, ნატალია დვალი, ზურაბ დავითაშვილი, ემზარ გოგუაძე, გიორგი მელაძე და მამუკა ფაჩუაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის #1/4/592 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე ბექა ნიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილი #1/1/625, 640 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

4. ნორმატიული აქტები:

- საქართველოს კონსტიტუცია;
- „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონი;
- საქართველოს კანონი ნორმატიული აქტების შესახებ;
- საქართველოს კანონი საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ.

5. გერმანიის ფედერაციული საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები:

- *BVerfGE* 5, 85, (204);
- *BVerfGE* 7, 198 (205);
- *BVerfGE* 27, 1 (6);
- *BVerfGE* 28, 386 (391);
- *BVerfGE* 45, 187 (228);
- *BVerfGE* 50, 166 (175);
- *BVerfGE* 56, 37 (43);
- *BVerfGE* 72, 105 (116);
- *BVerfGE* 96, 375 (399);
- *BVerfGE* 109, 133, 149.

საქართველოს კონსტიტუცია

კონსტიტუციური შეთანხმება საქართველოს
სახელმწიფოსა და საქართველოს
სამოციქულო ავტოკეფალურ
მართლმადიდებელ ეკლესიას შორის

თბილისი, 2016
გამომცემლობა „იურისტების საფარო“



საქართველოს კონსტიტუცია

ჩვენ, საქართველოს მოქალაქენი, რომელთა ურყევი ნებაა, დავამკვიდროთ დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილება, ეკონომიკური თავისუფლება, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო, უზრუნველვყოთ ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებანი და თავისუფლებანი, განვამტკიცოთ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და სხვა ხალხებთან მშვიდობიანი ურთიერთობა, ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრიობის ტრადიციებსა და საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის ისტორიულ-სამართლებრივ მემკვიდრეობაზე დაყრდნობით ღვთისა და ქვეყნის წინაშე ვაცხადებთ ამ კონსტიტუციას.

საქართველოს 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი, №3710-სსმ, №62, 05.11.2010წ., მუხ.379

თავი პირველი

ზოგადი დებულებები

მუხლი 1

1. საქართველო არის დამოუკიდებელი, ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფო, რაც დადასტურებულია 1991 წლის 31 მარტს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის აფხაზეთის ასსრ-ში და ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ჩატარებული რეფერენდუმით და 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით.

2. საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკური წყობილების ფორმა არის დემოკრატიული რესპუბლიკა.

3. საქართველოს სახელმწიფოს სახელწოდებაა „საქართველო“.

მუხლი 2

1. საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორია განსაზღვრულია 1991 წლის 21 დეკემბრის მდგომარეობით. საქართველოს ტერ-

იტორიული მთლიანობა და სახელმწიფო საზღვრების ხელშეუხებლობა დადასტურებულია საქართველოს კონსტიტუციითა და კანონებით, აღიარებულია სახელმწიფოთა მსოფლიო თანამეგობრობისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ.

2. საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიის გასხვისება აკრძალულია. სახელმწიფო საზღვრების შეცვლა შეიძლება მხოლოდ მეზობელ სახელმწიფოსთან დადებული ორმხრივი შეთანხმებით.

3. საქართველოს ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მონყობა განისაზღვრება კონსტიტუციური კანონით უფლებამოსილებათა გამიჯვნის პრინციპის საფუძველზე ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენის შემდეგ.

4. თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეები ადგილობრივი მნიშვნელობის საქმეებს ანესრიგებენ ადგილობრივი თვითმმართველობის მეშვეობით, სახელმწიფო სუვერენიტეტის შეუღახავად, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები ხელს უწყობენ ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებას.

საქართველოს 2004 წლის 6 თებერვლის კონსტიტუციური კანონი №3272-სსმ, №2, 07.02.2004წ., მუხ.5

საქართველოს 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი, №3710-სსმ, №62, 05.11.2010წ., მუხ.379

მუხლი 3

1. მხოლოდ საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიეკუთვნება:

ა) კანონმდებლობა საქართველოს მოქალაქეობის, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა, ემიგრაციისა და იმიგრაციის, ქვეყანაში შემოსვლისა და გასვლის, საქართველოში სხვა სახელმწიფოების მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა დროებით ან მუდმივად ყოფნის შესახებ;

ბ) სახელმწიფო საზღვრების სტატუსი, რეჟიმი და დაცვა; ტერიტორიული წყლების, საჰაერო სივრცის, კონტინენტური შელფისა და განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის სტატუსი, მათი დაცვა;

გ) სახელმწიფოს თავდაცვა და უშიშროება, სამხედრო ძალები, სამხედრო მრეწველობა და იარაღით ვაჭრობა;

დ) ომისა და ზავის საკითხები; საგანგებო და საომარ მდგომარეობათა სამართლებრივი რეჟიმის დადგენა და შემოღება;

ე) საგარეო პოლიტიკა და საერთაშორისო ურთიერთობანი;

ვ) საგარეო ვაჭრობა, საბაჟო და სატარიფო რეჟიმები;

ზ) სახელმწიფო ფინანსები და სახელმწიფო სესხი; ფულის მოჭრა; საბანკო, საკრედიტო, სადაზღვევო და საგადასახადო კანონმდებლობა;

თ) სტანდარტები და ეტალონები; გეოდეზია და კარტოგრაფია; ზუსტი დროის დადგენა; სახელმწიფო სტატისტიკა;

ი) ერთიანი ენერგეტიკული სისტემა და რეჟიმი; კავშირგაბმულობა; სავაჭრო ფლოტი; გემთა აღმები;

საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ნავსადგურები, აეროპორტები და აეროდრომები; საჰაერო სივრცის, ტრანზიტისა და საჰაერო ტრანსპორტის კონტროლი, საჰაერო ტრანსპორტის რეგისტრაცია; მეტეოროლოგიური სამსახური; გარემოს მდგომარეობაზე დაკვირვების სისტემა;

კ) სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის რკინიგზა და საავტომობილო გზები;

ლ) თევზჭერა ოკეანესა და ღია ზღვაში;

მ) სასაზღვრო-სანიტარიული კორდონი;

ნ) ფარმაცევტული პრეპარატების კანონმდებლობა;

ო) კანონმდებლობა საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციისა და აკადემიური ხარისხების შესახებ;

პ) ინტელექტუალური საკუთრების კანონმდებლობა;

ჟ) სავაჭრო, სისხლის სამართლის, სამოქალაქო სამართლის, ადმინისტრაციული და შრომის სამართლის, სასჯელის აღსრულებისა და საპროცესო კანონმდებლობა;

რ) კრიმინალური პოლიცია და გამოძიება;

ს) მიწის, წიაღისეულის და ბუნებრივი რესურსების კანონმდებლობა.

2. ერთობლივ გამგებლობას მიკუთვნებული საკითხები ცალკე განისაზღვრება.

3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციური კანონით „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“.

4. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციური კანონით „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“.

5. ქალაქ ლაზიკის სტატუსი და უფლებამოსილებანი განისაზღვრება ორგანული კანონით.

საქართველოს 2000 წლის 20 აპრილის კონსტიტუციური კანონი №260 - სსმ, №15, 25.04.2000წ., მუხ.36

საქართველოს 2002 წლის 10 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი №1689-სსმ, №28, 28.10.2002წ., მუხ.128

საქართველოს 2006 წლის 27 დეკემბრის კონსტიტუციური კანონი №4135-სსმ, №3, 11.01.2007წ., მუხ.46

საქართველოს 2012 წლის 29 ივნისის კონსტიტუციური კანონი №6602 - ვებგვერდი, 10.07.2012წ.

მუხლი 4

1. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე შესაბამისი პირობების შექმნისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფორმირების შემდეგ საქართველოს პარლამენტის შემადგენლობაში იქნება ორი პალატა: რესპუბლიკის საბჭო და სენატი.

2. რესპუბლიკის საბჭო შედგება პროპორციული წესით არჩეული წევრებისაგან.

3. სენატი შედგება აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში და საქართველოს სხვა ტერიტორიულ ერთეულებში არჩეული წევრებისა და საქართველოს პრეზიდენტის მიერ დანიშნული 5 წევრისაგან.

4. პალატების შემადგენლობას, უფლებამოსილებასა და არჩევის წესს განსაზღვრავს ორგანული კანონი.

საქართველოს 2000 წლის 20 აპრილის კონსტიტუციური კანონი №260 - სსმ, №15, 25.04.2000წ., მუხ.36

საქართველოს 2002 წლის 10 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი №1689-სსმ, №28, 28.10.2002წ., მუხ.128

მუხლი 5

1. საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი. სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში.

2. ხალხი თავის ძალაუფლებას ახორციელებს რეფერენდუმის, უშუალო დემოკრატიის სხვა ფორმებისა და თავისი წარმომადგენლების მეშვეობით.

3. არავის არა აქვს უფლება მიითვისოს ან უკანონოდ მოიპოვოს ხელისუფლება.

4. სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით.

მუხლი 6

1. საქართველოს კონსტიტუცია სახელმწიფოს უზენაესი კანონია. ყველა სხვა სამართლებრივი აქტი უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციას.

2. საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, კონსტიტუციურ შეთანხმებას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ.

საქართველოს 2001 წლის 30 მარტის კონსტიტუციური კანონი №826-სსმ, №9, 10.04.2001წ., მუხ.33

მუხლი 7

სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდული არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით.

მუხლი 8

საქართველოს სახელმწიფო ენა არის ქართული, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში აგრეთვე – აფხაზური.

საქართველოს 2002 წლის 10 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი №1689-სსმ, №28, 28.10.2002წ., მუხ.128

მუხლი 9

1. სახელმწიფო აცხადებს რწმენისა და აღმსარებლობის სრულ თავისუფლებას ამასთან ერთად აღიარებს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში და მის დამოუკიდებლობას სახელმწიფოსაგან.

2. საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის ურთიერთობა

განისაზღვრება კონსტიტუციური შეთანხმებით. კონსტიტუციური შეთანხმება სრულად უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს, კერძოდ, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა სფეროში.

საქართველოს 2001 წლის 30 მარტის კონსტიტუციური კანონი №826-სსმ, №9, 10.04.2001წ., მუხ.33

მუხლი 10

საქართველოს დედაქალაქი არის თბილისი.

მუხლი 11

საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოები დადგენილია ორგანული კანონით.

თავი მეორე.

საქართველოს მოქალაქეობა.

ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი

მუხლი 12

1. საქართველოს მოქალაქეობა მოიპოვება დაბადებით და ნატურალიზაციით.

2. საქართველოს მოქალაქე იმავდროულად არ შეიძლება იყოს სხვა სახელმწიფოს მოქალაქე, გარდა ამ პუნქტით დადგენილი გამონაკლისი შემთხვევისა. საქართველოს პრეზიდენტის მიერ საქართველოს მოქალაქეობა შეიძლება მიენიჭოს უცხო ქვეყნის მოქალაქეს, რომელსაც საქართველოს წინაშე აქვს განსაკუთრებული დამსახურება ან მისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება გამომდინარეობს სახელმწიფო ინტერესებიდან.

3. საქართველოს მოქალაქეობის მოპოვებისა და დაკარგვის წესი განისაზღვრება ორგანული კანონით.

საქართველოს 2004 წლის 6 თებერვლის კონსტიტუციური კანონი №3272-სსმ, №2, 07.02.2004წ., მუხ.5

მუხლი 13

1. საქართველო მფარველობს თავის მოქალაქეს განურჩევლად მისი ადგილსამყოფელისა.

2. მოქალაქეობის ჩამორთმევა დაუშვებელია.

3. საქართველოდან საქართველოს მოქალაქის გაძევება დაუშვებელია.

4. საქართველოს მოქალაქის უცხო სახელმწიფოსათვის გადაცემა დაუშვებელია, გარდა საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევებისა. გადაწყვეტილება მოქალაქის გადაცემის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

მუხლი 14

ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა,

რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა.

მუხლი 15

1. სიცოცხლე ადამიანის ხელშეუვალი უფლებაა და მას იცავს კანონი.

2. სიკვდილით დასჯა აკრძალულია.

საქართველოს 2006 წლის 27 დეკემბრის კონსტიტუციური კანონი №4137-სსმ, №3, 11.01.2007წ., მუხ.48

მუხლი 16

ყველას აქვს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება.

მუხლი 17

1. ადამიანის პატივი და ღირსება ხელშეუვალია.

2. დაუშვებელია ადამიანის წამება, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობა და სასჯელის გამოყენება.

3. დაუშვებელია დაკავებული თუ სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული პირის ფიზიკური ან ფსიქიკური იძულება.

საქართველოს 2006 წლის 27 დეკემბრის კონსტიტუციური კანონი №4137-სსმ, №3, 11.01.2007წ., მუხ.48

მუხლი 18

1. ადამიანის თავისუფლება ხელშეუვალია.

2. თავისუფლების აღკვეთა ან პირადი თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვა დაუშვებელია სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე.

3. ადამიანის დაკავება დასაშვებია კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში საგანგებოდ უფლებამოსილი პირის მიერ. დაკავებული თუ სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული პირი უნდა წარედგინოს სასამართლოს განსჯადობის მიხედვით არა უგვიანეს 48 საათისა. თუ მომდევნო 24 საათის განმავლობაში სასამართლო

არ მიიღებს გადაწყვეტილებას დაპატიმრების ან თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვის შესახებ, პირი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.

4. (ამოღებულია - 27.12.2006, №4137).

5. დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს დაკავების ან დაპატიმრებისთანავე უნდა განემარტოს მისი უფლებები და თავისუფლების შეზღუდვის საფუძველი. მას დაკავების ან დაპატიმრებისთანავე შეუძლია მოითხოვოს დამცველის დახმარება, რაც უნდა დაკმაყოფილდეს.

6. ბრალდებულის წინასწარი პატიმრობის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 9 თვეს.

7. ამ მუხლის მოთხოვნათა დარღვევა ისჯება კანონით. უკანონოდ დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს აქვს კომპენსაციის მიღების უფლება.

საქართველოს 2006 წლის 27 დეკემბრის კონსტიტუციური კანონი №4137-სსმ, №3, 11.01.2007წ., მუხ.48

საქართველოს 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი, №3710-სსმ, №62, 05.11.2010წ., მუხ.379

მუხლი 19

1. ყოველ ადამიანს აქვს სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება.

2. დაუშვებელია ადამიანის დევნა სიტყვის, აზრის, აღმსარებლობის ან რწმენის გამო, აგრეთვე მისი იძულება გამოთქვას თავისი შეხედულება მათ შესახებ.

3. დაუშვებელია ამ მუხლში ჩამოთვლილ თავისუფლებათა შეზღუდვა, თუ მათი გამოვლინება არ ლახავს სხვათა უფლებებს.

მუხლი 20

1. ყოველი ადამიანის პირადი ცხოვრება, პირადი საქმიანობის ადგილი, პირადი ჩანაწერი, მიმოწერა, საუბარი სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებით, აგრეთვე ტექნიკური საშუალებებით მიღებული შეტყობინებანი ხელშეუხებელია. აღნიშნული უფლებების შეზღუდვა დაიშვება სასამართლოს გადწყვეტილებით ან მის გარეშეც, კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას.

2. არავის არა აქვს უფლება შევიდეს საცხოვრებელ ბინაში და სხვა მფლობელობაში მფლობელ პირთა ნების საწინააღმდეგოდ, აგრეთვე ჩაატაროს ჩხრეკა, თუ არ არის სასამართლოს გადაწყვეტილება ან კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობა.

მუხლი 21

1. საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და ხელშეუვალია. დაუშვებელია საკუთრების, მისი შექენის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება.

2. აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის დასაშვებია ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულ უფლებათა შეზღუდვა კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით, იმგვარად, რომ არ დაირღვეს საკუთრების უფლების არსი.

3. აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევა დასაშვებია კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში, სასამართლოს გადაწყვეტილებით ან ორგანული კანონით დადგენილი გადაუდებელი აუცილებლობისას, წინასწარი, სრული და სამართლიანი ანაზღაურების პირობით. ანაზღაურება თავისუფლდება ყოველგვარი გადასახადისა და მოსაკრებლისაგან.

საქართველოს 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი, №3710-სსმ, №62, 05.11.2010წ., მუხ.379

მუხლი 22

1. ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება საქართველოში, აქვს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თავისუფალი მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის თავისუფალი არჩევის უფლება.

2. ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება საქართველოში, შეუძლია თავისუფლად გავიდეს საქართველოდან.

3. ამ უფლებათა შეზღუდვა შეიძლება მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიული საზოგადოების არსებობისათვის აუცილებელი სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის დაცვის, და-

ნაშაულის თავიდან აცილების ან მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით.

4. საქართველოს მოქალაქეს შეუძლია თავისუფლად შემოვიდეს საქართველოში.

საქართველოს 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი, №3710-სსმ, №62, 05.11.2010წ., მუხ.379

მუხლი 23

1. ინტელექტუალური შემოქმედების თავისუფლება უზრუნველყოფილია. ინტელექტუალური საკუთრების უფლება ხელშეუვალია.

2. შემოქმედებით პროცესში ჩარევა, შემოქმედებითი საქმიანობის სფეროში ცენზურა დაუშვებელია.

3. შემოქმედებითი ნაწარმოების დაყადაღება და გავრცელების აკრძალვა დაუშვებელია, თუ მისი გავრცელება არ ლახავს სხვა ადამიანის კანონიერ უფლებებს.

მუხლი 24

1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით.

2. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თავისუფალია. ცენზურა დაუშვებელია.

3. სახელმწიფოს ან ცალკეულ პირებს არა აქვთ მასობრივი ინფორმაციის ან მისი გავრცელების საშუალებათა მონოპოლიზაციის უფლება.

4. ამ მუხლის პირველ და მეორე პუნქტებში ჩამოთვლილ უფლებათა განხორციელება შესაძლებელია კანონით შეიზღუდოს ისეთი პირობებით, რომლებიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, სხვათა უფლებებისა და ღირსების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.

მუხლი 25

1. ყველას, გარდა იმ პირებისა, რომლებიც არიან სამხედრო ძალებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შემადგენლობაში, უფლება აქვს წინასწარი ნებართვის გარეშე შეიკრიბოს საჯაროდ და უიარალოდ როგორც ჭერქვეშ, ისე გარეთ.

2. კანონით შეიძლება დაწესდეს ხელისუფლების წინასწარი გაფრთხილების აუცილებლობა, თუ შეკრება ან მანიფესტაცია ხალხისა და ტრანსპორტის სამოძრაო ადგილას იმართება.

3. ხელისუფლებას შეუძლია შეკრების ან მანიფესტაციის შეწყვეტა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან კანონსაწინააღმდეგო ხასიათი მიიღო.

საქართველოს 2005 წლის 23 დეკემბრის კონსტიტუციური კანონი №2494-სსმ, №1, 04.01.2006წ., მუხ.1

მუხლი 26

1. ყველას აქვს საზოგადოებრივი გაერთიანებების, მათ შორის პროფესიული კავშირების შექმნისა და მათში გაერთიანების უფლება.

2. საქართველოს მოქალაქეებს უფლება აქვთ ორგანული კანონის შესაბამისად შექმნან პოლიტიკური პარტია, სხვა პოლიტიკური გაერთიანება და მონაწილეობა მიიღონ მის საქმიანობაში.

3. დაუშვებელია ისეთი საზოგადოებრივი და პოლიტიკური გაერთიანების შექმნა და საქმიანობა, რომლის მიზანია საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამზობა ან ძალადობით შეცვლა, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფა, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, ან რომელიც ეწევა ომის ან ძალადობის პროპაგანდას, აღვივებს ეროვნულ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს.

4. დაუშვებელია საზოგადოებრივ და პოლიტიკურ გაერთიანებათა მიერ შეიარაღებული ფორმირებების შექმნა.

5. პირი, რომელიც ჩაირიცხება სამხედრო ძალების ან შინაგან საქმეთა ორგანოების პირად შემადგენლობაში, გამწესდება მოსამართლედ ან პროკურორად, წყვეტს პოლიტიკური გაერთიანების წევრობას.

6. საზოგადოებრივ და პოლიტიკურ გაერთიანებათა საქმიან-

ნობის შეჩერება ან მათი აკრძალვა შეიძლება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით, ორგანული კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.

საქართველოს 2005 წლის 23 დეკემბრის კონსტიტუციური კანონი №2494-სსმ, №1, 04.01.2006წ., მუხ.1

მუხლი 27

სახელმწიფო უფლებამოსილია დაანესოს უცხო ქვეყნის მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა პოლიტიკური საქმიანობის შეზღუდვა.

მუხლი 28

1. საქართველოს ყოველ მოქალაქეს 18 წლის ასაკიდან აქვს რეფერენდუმში, სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში მონაწილეობის უფლება. უზრუნველყოფილია ამომრჩეველთა ნების თავისუფალი გამოვლინება.

2. არჩევნებსა და რეფერენდუმში მონაწილეობის უფლება არა აქვს მოქალაქეს, რომელიც სასამართლომ ქმედუუნაროდ ცნო ან სასამართლოს განაჩენით იმყოფება სასჯელის აღსრულების დაწესებულებაში, გარდა იმ პირისა, რომელმაც ჩაიდინა ნაკლებად მძიმე დანაშაული.

საქართველოს 2011 წლის 27 დეკემბრის კონსტიტუციური კანონი №5630 - ვებგვერდი, 09.01.2012წ.

მუხლი 29

1. საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს დაიკავოს ნებისმიერი სახელმწიფო თანამდებობა, თუ იგი აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

11. საქართველოს პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრის, პარლამენტის თავმჯდომარის თანამდებობა არ შეიძლება ეკავოს საქართველოს იმ მოქალაქეს, რომელიც იმავდროულად უცხო ქვეყნის მოქალაქეა.

2. სახელმწიფო სამსახურის პირობები განისაზღვრება კანონით.

საქართველოს 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი, №3710-სსმ, №62, 05.11.2010წ., მუხ.379

მუხლი 30

1. შრომა თავისუფალია.

2. სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს თავისუფალი მენარმეობისა და კონკურენციის განვითარებას. აკრძალულია მონოპოლიური საქმიანობა, გარდა კანონით დაშვებული შემთხვევებისა. მომხმარებელთა უფლებები დაცულია კანონით.

3. შრომითი ურთიერთობის მომწესრიგებელ საერთაშორისო შეთანხმებათა საფუძველზე სახელმწიფო იცავს საქართველოს მოქალაქეთა შრომით უფლებებს საზღვარგარეთ.

4. შრომითი უფლებების დაცვა, შრომის სამართლიანი ანაზღაურება და უსაფრთხო, ჯანსაღი პირობები, არასრულწლოვნისა და ქალის შრომის პირობები განისაზღვრება ორგანული კანონით.

საქართველოს 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი, №3710-სსმ, №62, 05.11.2010წ., მუხ.379

მუხლი 31

სახელმწიფო ზრუნავს ქვეყნის მთელი ტერიტორიის თანაბარი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის. მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ - ეკონომიკური პროგრესის უზრუნველსაყოფად კანონი ადგენს შეღავათებს.

მუხლი 32

სახელმწიფო ხელს უწყობს უმუშევრად დარჩენილ საქართველოს მოქალაქეს დასაქმებაში. საარსებო მინიმუმით უზრუნველყოფის პირობები და უმუშევრის სტატუსი განისაზღვრება კანონით.

მუხლი 33

გაფიცვის უფლება აღიარებულია. ამ უფლების განხორციელების წესი განისაზღვრება კანონით. კანონი ადგენს აგრეთვე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სამსახურების საქმიანობის განხორციელებას.

მუხლი 34

1. სახელმწიფო ხელს უწყობს კულტურის განვითარებას, კულტურულ ცხოვრებაში მოქალაქეთა შეუზღუდავ მონაწილეობას, კულტურული თვითმყოფლობის გამოვლინებასა და გამდიდრებას, ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა აღიარებას და საერთაშორისო კულტურულ ურთიერთობათა გაღრმავებას.

2. საქართველოს ყოველი მოქალაქე ვალდებულია ზრუნავდეს კულტურული მემკვიდრეობის დაცვა - შენარჩუნებაზე. კულტურულ მემკვიდრეობას სახელმწიფო იცავს კანონით.

მუხლი 34¹

სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, სპორტულ გაერთიანებებთან თანამშრომლობით ხელს უწყობს მოზარდთა და ახალგაზრდობის ფიზიკურ აღზრდას, სპორტში მათ ჩართვას.

საქართველოს 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი, №3710-სსმ, №62, 05.11.2010წ., მუხ.379

მუხლი 35

1. ყველას აქვს განათლების მიღებისა და მისი ფორმის არჩევის უფლება.

2. სახელმწიფო უზრუნველყოფს ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემის ჰარმონიზაციას საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში.

3. სკოლამდელ აღზრდას სახელმწიფო უზრუნველყოფს კანონით დადგენილი წესით. დაწყებითი და საბაზო განათლება სავალდებულოა. ზოგად განათლებას კანონით დადგენილი წესით სრულად აფინანსებს სახელმწიფო. მოქალაქეებს უფლება აქვთ კანონით დადგენილი წესით, სახელმწიფოს დაფინანსებით მიიღონ პროფესიული და უმაღლესი განათლება.

4. სახელმწიფო მხარს უჭერს საგანმანათლებლო დაწესებულებებს კანონით დადგენილი წესით.

საქართველოს 2003 წლის 23 ივლისის კონსტიტუციური კანონი №2597-სსმ, №23, 12.08.2003წ., მუხ.168

საქართველოს 2006 წლის 27 დეკემბრის კონსტიტუციური კანონი №4135-სსმ, №3, 11.01.2007წ., მუხ.46

მუხლი 36

1. ქორწინება ემყარება მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობასა და ნებაყოფლობას.
2. სახელმწიფო ხელს უწყობს ოჯახის კეთილდღეობას.
3. დედათა და ბავშვთა უფლებები დაცულია კანონით.

მუხლი 37

1. ყველას აქვს უფლება ისარგებლოს ჯანმრთელობის დაზღვევით, როგორც ხელმისაწვდომი სამედიცინო დახმარების საშუალებით. კანონით დადგენილი წესით განსაზღვრულ პირობებში უზრუნველყოფილია უფასო სამედიცინო დახმარება.

2. სახელმწიფო აკონტროლებს ჯანმრთელობის დაცვის ყველა დაწესებულებას, სამკურნალო საშუალებათა წარმოებას და ამ საშუალებებით ვაჭრობას.

3. ყველას აქვს უფლება ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი და კულტურული გარემოთი. ყველა ვალდებულია გაუფრთხილდეს ბუნებრივ და კულტურულ გარემოს.

4. სახელმწიფო ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით უზრუნველყოფს გარემოს დაცვას და ბუნებრივი რესურსებით რაციონალურ სარგებლობას, ქვეყნის მდგრად განვითარებას საზოგადოების ეკონომიკური და ეკოლოგიური ინტერესების შესაბამისად ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად.

5. ყველას აქვს უფლება, დროულად მიიღოს სრული და ობიექტური ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ.

საქართველოს 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი, №3710-სსმ, №62, 05.11.2010წ., მუხ.379

მუხლი 38

1. საქართველოს მოქალაქენი თანასწორნი არიან სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში განურჩევლად მათი ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილებისა. საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად მათ

უფლება აქვთ თავისუფლად, ყოველგვარი დისკრიმინაციისა და ჩარევის გარეშე განავითარონ თავიანთი კულტურა, ისარგებლონ დედაენით პირად ცხოვრებაში და საჯაროდ.

2. საქართველოს სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად, უმცირესობათა უფლებების განხორციელება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს სუვერენიტეტს, სახელმწიფო წყობილებას, ტერიტორიულ მთლიანობასა და პოლიტიკურ დამოუკიდებლობას.

მუხლი 39

საქართველოს კონსტიტუცია არ უარყოფს ადამიანისა და მოქალაქის სხვა საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებს, თავისუფლებებსა და გარანტიებს, რომლებიც აქ არ არის მოხსენიებული, მაგრამ თავისთავად გამომდინარეობენ კონსტიტუციის პრინციპებიდან.

მუხლი 40

1. ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით.

2. არავინ არ არის ვალდებული ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. ბრალდების მტკიცების მოვალეობა ეკისრება ბრალმდებელს.

3. დადგენილება ბრალდებულის სახით პირის პასუხისგებაში მიცემის შესახებ, საბრალდებო დასკვნა და გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ.

მუხლი 41

1. საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დანებსებულებებში მასზე არსებულ ინფორმაციას, აგრეთვე იქ არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას.

2. ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასთან, მის ფინანსებთან ან სხვა კერძო საკითხებთან, არავისთვის არ უნდა იყოს ხელმისაწვდომი თვით ამ ადამიანის თანხმობის გარეშე, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ჯანმრთელობის, სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.

მუხლი 42

1. ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს.

2. ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე.

3. დაცვის უფლება გარანტირებულია.

4. არავის არ შეიძლება განმეორებით დაედოს მსჯავრი ერთი და იმავე დანაშაულისათვის.

5. არავინ არ აგებს პასუხს იმ ქმედობისათვის, რომელიც მისი ჩადენის დროს სამართალდარღვევად არ ითვლებოდა. კანონს, თუ ის არ ამსუბუქებს ან არ აუქმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არა აქვს.

6. ბრალდებულს უფლება აქვს მოითხოვოს თავისი მოწმეების ისეთსავე პირობებში გამოძახება და დაკითხვა, როგორც აქვთ ბრალდების მოწმეებს.

7. კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებას იურიდიული ძალა არა აქვს.

8. არავინ არ არის ვალდებული მისცეს თავისი ან იმ ახლობელთა საწინააღმდეგო ჩვენება, რომელთა წრეც განისაზღვრება კანონით.

9. ყველასთვის გარანტირებულია სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების და თვითმმართველობის ორგანოთა და მოსამსახურეთაგან უკანონოდ მიყენებული ზარალის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება შესაბამისად სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი თვითმმართველობის სახსრებიდან.

მუხლი 43

1. საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას ზედამხედველობას უწევს საქართველოს სახალხო დამცველი, რომელსაც 5 წლის ვადით სრული შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს საქართველოს პარლამენტი.

2. სახალხო დამცველი უფლებამოსილია გამოავლინოს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის ფაქტები, შეატყობინოს ამის შესახებ შესაბამის ორგანოებსა და პირებს. სახალხო დამცველის საქმიანობისათვის დაბრკოლებათა შექმნა ისჯება კანონით.

3. სახალხო დამცველის უფლებამოსილება განისაზღვრება ორგანული კანონით.

მუხლი 44

1. საქართველოში მცხოვრები ყოველი პირი ვალდებულია ასრულებდეს საქართველოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის მოთხოვნებს.

2. ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელება არ უნდა დაარღვიოს სხვათა უფლებები და თავისუფლებები.

მუხლი 45

კონსტიტუციაში მითითებული ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, მათი შინაარსის გათვალისწინებით, ვრცელდება აგრეთვე იურიდიულ პირებზე.

მუხლი 46

1. საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს საქართველოს პრეზიდენტს უფლება აქვს ქვეყანაში ან მის რომელიმე ნაწილში შეზღუდოს კონსტიტუციის მე-18, მე-20, 21-ე, 22-ე, 24-ე, 25-ე, 30-ე, 33-ე და 41-ე მუხლებში ჩამოთვლილი უფლებანი და თავისუფლებანი. საქართველოს პრეზიდენტი ვალდებულია არა

უგვიანეს 48 საათისა ეს გადაწყვეტილება შეიტანოს პარლამენტში დასამტკიცებლად.

2. თუ ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე შემოღებულია საგანგებო ან საომარი მდგომარეობა, საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის, სხვა წარმომადგენლობით ორგანოთა არჩევნები ტარდება ამ მდგომარეობის გაუქმების შემდეგ. ქვეყნის რომელიმე ნაწილში საგანგებო მდგომარეობის შემოღების შემთხვევაში ქვეყნის დანარჩენ ტერიტორიაზე არჩევნების ჩატარების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს პარლამენტი.

საქართველოს 2004 წლის 6 თებერვლის კონსტიტუციური კანონი №3272-სსმ, №2, 07.02.2004წ., მუხ.5

მუხლი 47

1. საქართველოში მცხოვრებ უცხოელ მოქალაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს საქართველოს მოქალაქის თანაბარი უფლებანი და მოვალეობანი აქვთ, გარდა კონსტიტუციითა და კანონით გათვალისწინებული გამონაკლისებისა.

2. საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად, კანონით დადგენილი წესით, საქართველო თავშესაფარს აძლევს უცხოელ მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს.

3. დაუშვებელია სხვა სახელმწიფოს გადაეცეს შემოხიზნული პირი, რომელსაც დევნიან პოლიტიკური მრწამსისათვის, ან იმ ქმედობისათვის, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დანაშაულად არ ითვლება.

თავი მესამე.

საქართველოს პარლამენტი

მუხლი 48

საქართველოს პარლამენტი არის ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებას, განსაზღვრავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, კონსტიტუციით განსაზღვრულ ფარგლებში კონტროლს უწევს მთავრობის საქმიანობას და ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 48¹

1. საქართველოს პარლამენტის ადგილსამყოფელია ქალაქი ქუთაისი.

2. საქართველოს პარლამენტის ადგილსამყოფლის დროებით შეცვლა სხდომის ან სესიის მოწვევის მიზნით დასაშვებია მხოლოდ საგანგებო და საომარი მდგომარეობის დროს.

საქართველოს 2009 წლის 24 სექტემბრის კანონი №1674-სსმ, №29, 12.10.2009წ., მუხ.157

საქართველოს 2011 წლის 1 ივლისის კონსტიტუციური კანონი №4985 - ვებგვერდი, 14.07.2011წ.

მუხლი 49

1. საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლით გათვალისწინებული პირობების შექმნამდე საქართველოს პარლამენტი შედგება საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით, 4 წლის ვადით, პროპორციული სისტემით არჩეული 77 და მაჟორიტარული სისტემით არჩეული 73 პარლამენტის წევრისაგან.

2. პარლამენტის წევრად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 21 წლის ასაკიდან.

3. პარლამენტის შინაგანი სტრუქტურა და მუშაობის წესი განისაზღვრება პარლამენტის რეგლამენტით.

4. სახელმწიფო ბიუჯეტში პარლამენტისათვის განკუთვნილი

მიმდინარე ხარჯების შემცირება წინა წლის საბიუჯეტო სახსრების ოდენობასთან შედარებით შეიძლება მხოლოდ პარლამენტის წინასწარი თანხმობით. პარლამენტი თავად იღებს გადაწყვეტილებას სახელმწიფო ბიუჯეტში პარლამენტისათვის გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების განაწილების თაობაზე.

საქართველოს 2004 წლის 6 თებერვლის კონსტიტუციური კანონი №3272-სსმ, №2, 07.02.2004წ., მუხ.5

საქართველოს 2005 წლის 23 თებერვლის კონსტიტუციური კანონი №1010-სსმ, №8, 10.03.2005წ., მუხ.57

საქართველოს 2008 წლის 12 მარტის კონსტიტუციური კანონი №5853-სსმ, №3, 13.03.2008წ., მუხ.8

საქართველოს 2011 წლის 27 დეკემბრის კონსტიტუციური კანონი №5630 - ვებგვერდი, 09.01.2012წ.

საქართველოს 2012 წლის 22 მაისის კონსტიტუციური კანონი №6238 - ვებგვერდი, 29.05.2012წ.

მუხლი 50

1. არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებულ მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებას, რომლის მხარდაჭერაც დადასტურებულია ამომრჩეველთა ხელმოწერებით ორგანული კანონით დადგენილი წესით, ან რომელსაც ჰყავს წარმომადგენელი პარლამენტში არჩევნების დანიშვნის დროისათვის. ორგანული კანონით განსაზღვრული ამომრჩევლების ხელმოწერების რაოდენობა არ შეიძლება იყოს ამომრჩეველთა რაოდენობის 1%-ზე მეტი. მაჟორიტარული სისტემით არჩევნებში მონაწილეობის წესი და პირობები განისაზღვრება საარჩევნო კანონმდებლობით.

2. პროპორციული სისტემით ჩატარებული არჩევნების შედეგად პარლამენტის წევრთა მანდატები განაწილება მხოლოდ იმ პოლიტიკურ გაერთიანებებსა და საარჩევნო ბლოკებს შორის, რომლებიც მიიღებენ არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ხმების 5%-ს მაინც. იმ საარჩევნო სუბიექტებს, რომლებიც პარლამენტის წევრთა მანდატების განაწილების შემდეგ დააგროვებენ იმაზე ნაკლები რაოდენობის მანდატებს, ვიდრე საჭიროა საპარლამენტო ფრაქციის შექმნისათვის, მანდატები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შეეცვებათ ფრაქციის შექმნისათვის საჭირო მინიმალურ რაოდენობამდე. მაჟორიტარული სისტემით ჩატარებული არჩევნების შედეგად პარლამენტის წევრთა მანდატების განაწილების წესი განისაზღვრება საარჩევნო

კანონმდებლობით.

2¹. პარლამენტის მორიგი არჩევნები ტარდება პარლამენტის უფლებამოსილების ვადის ამონაურვის კალენდარული წლის ოქტომბერში. არჩევნების თარიღს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი არჩევნებამდე არა უგვიანეს 60 დღისა.

3. თუ არჩევნების ვადა ემთხვევა საგანგებო ან საომარ მდგომარეობას, არჩევნები ტარდება ამ მდგომარეობის გაუქმებიდან მესამოცე დღეს. არჩევნების თარიღს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გაუქმებისთანავე. პარლამენტის ვადამდე დათხოვნის შემთხვევაში პარლამენტის რიგგარეშე არჩევნები ტარდება პარლამენტის ვადამდე დათხოვნის შესახებ ბრძანებულების ამოქმედებიდან მესამოცე დღეს, ხოლო რიგგარეშე არჩევნების თარიღს პრეზიდენტი ნიშნავს პარლამენტის ვადამდე დათხოვნის შესახებ ბრძანებულების ამოქმედებისთანავე.

3¹. პარლამენტი საქმიანობას წყვეტს პარლამენტის დათხოვნის შესახებ პრეზიდენტის ბრძანებულების ამოქმედებიდან. პარლამენტის დათხოვნის შესახებ პრეზიდენტის ბრძანებულების ამოქმედებიდან ახლადარჩეული პარლამენტის პირველ სხდომამდე დათხოვნილი პარლამენტი იკრიბება მხოლოდ პრეზიდენტის მიერ საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გამოცხადების შემთხვევაში საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დამტკიცების, ანდა საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გაგრძელების საკითხის გადასაწყვეტად. თუ პარლამენტი არ შეიკრიბა 5 დღის განმავლობაში ან არ დაამტკიცა (გააგრძელა) საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების (გაგრძელების) შესახებ პრეზიდენტის ბრძანებულება, მაშინ გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობა უქმდება. საომარი მდგომარეობა უნდა გაუქმდეს, თუ პარლამენტი შეკრებიდან 48 საათში არ დაამტკიცებს საომარი მდგომარეობის გამოცხადების (გაგრძელების) შესახებ პრეზიდენტის ბრძანებულებას. პარლამენტის შეკრება არ იწვევს პარლამენტის წევრების საპარლამენტო თანამდებობებისა და ხელფასების აღდგენას. პარლამენტი წყვეტს საქმიანობას ზემოაღნიშნულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღებისთანავე.

4. პარლამენტის უფლებამოსილება წყდება ახლადარჩეული პარლამენტის პირველი შეკრებისთანავე.

5. პარლამენტის წევრის არჩევის წესი, აგრეთვე არჩევნებში კანდიდატად მონაწილეობის დაუშვებლობა განისაზღვრება კონსტიტუციითა და ორგანული კანონით.

საქართველოს 1999 წლის 20 ივლისის კონსტიტუციური კანონი №2221-სსმ, №35(42), 28.07.1999წ., მუხ.169

საქართველოს 2004 წლის 6 თებერვლის კონსტიტუციური კანონი №3272-სსმ, №2, 07.02.2004წ., მუხ.5

საქართველოს 2006 წლის 27 დეკემბრის კონსტიტუციური კანონი №4133-სსმ, №3, 11.01.2007წ., მუხ.44

საქართველოს 2008 წლის 12 მარტის კონსტიტუციური კანონი №5853-სსმ, №3, 13.03.2008წ., მუხ.8

საქართველოს 2011 წლის 27 დეკემბრის კონსტიტუციური კანონი №5630 - ვებგვერდი, 09.01.2012წ.

მუხლი 51

საქართველოს ახალარჩეული პარლამენტის პირველი სხდომა უნდა გაიმართოს არჩევნებიდან 20 დღის განმავლობაში. პირველი სხდომის დღეს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი. პარლამენტი მუშაობას შეუდგება, თუ დადასტურებულია დეპუტატთა არანაკლებ ორი მესამედის უფლებამოსილება.

მუხლი 51¹

პარლამენტი შეიძლება დათხოვნილ იქნეს საქართველოს პრეზიდენტის მიერ მხოლოდ კონსტიტუციით განსაზღვრულ შემთხვევებში, გარდა:

ა) პარლამენტის არჩევნების ჩატარებიდან ექვსი თვის განმავლობაში, თუ დათხოვნა არ ხდება კონსტიტუციის მე-80 მუხლის საფუძველზე;

ბ) პარლამენტის მიერ კონსტიტუციის 63-ე მუხლით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისას;

გ) საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს;

დ) საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის ბოლო ექვსი თვის განმავლობაში, თუ დათხოვნა არ ხდება კონსტიტუციის მე-80 მუხლის საფუძველზე.

საქართველოს 2004 წლის 6 თებერვლის კონსტიტუციური კანონი №3272-სსმ, №2, 07.02.2004წ., მუხ.5

საქართველოს 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი, №3710-სსმ, №62, 05.11.2010წ., მუხ.379

საქართველოს 2013 წლის 25 მარტის კონსტიტუციური კანონი № 49 გ - ვებგვერდი, 27.03.2013წ.

მუხლი 52

1. საქართველოს პარლამენტის წევრი არის სრულიად საქართველოს წარმომადგენელი, სარგებლობს თავისუფალი მანდატით და მისი განწვევა დაუშვებელია.

2. პარლამენტის წევრის დაკავება ან დაპატიმრება, მისი ბინის, მანქანის, სამუშაო ადგილის ან პირადი გაჩხრეკა შეიძლება მხოლოდ პარლამენტის თანხმობით. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პარლამენტს. თუ პარლამენტი არ მისცემს თანხმობას, პარლამენტის დაკავებული ან დაპატიმრებული წევრი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.

3. პარლამენტის წევრს უფლება აქვს ჩვენება არ მისცეს იმ ფაქტის გამო, რომელიც მას გაანდეს, როგორც პარლამენტის წევრს. დაუშვებელია ამ საკითხთან დაკავშირებული წერილობითი მასალის დაყადაღება. ეს უფლება პარლამენტის წევრს უნარჩუნდება მისი უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგაც.

4. პარლამენტის წევრი პასუხისგებაში არ მიეცემა თავისი მოვალეობის შესრულებისას პარლამენტში თუ მის გარეთ გამოთქმული აზრებისა და შეხედულებებისათვის.

5. უზრუნველყოფილია პარლამენტის წევრის უფლებამოსილებათა შეუფერხებელი განხორციელების პირობები. პარლამენტის წევრის განცხადების საფუძველზე შესაბამისი სახელმწიფო ორგანოები უზრუნველყოფენ მის პირად უსაფრთხოებას.

6. დეპუტატის უფლებამოსილებათა განხორციელებისათვის დაბრკოლებათა შექმნა ისჯება კანონით.

საქართველოს 2004 წლის 23 აპრილის კონსტიტუციური კანონი №6-სსმ, №9, 03.05.2004წ., მუხ.39

მუხლი 53

1. პარლამენტის წევრს უფლება არა აქვს ეკავოს რაიმე თანამდებობა სახელმწიფო სამსახურში ან ენეოდეს სამენარმეო საქმიანობას. შეუთავსებლობის შემთხვევებს განსაზღვრავს კანონი.

2. წინა პუნქტებით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დარღვევისას პარლამენტის წევრს უფლებამოსილება შეუწყდება.

3. პარლამენტის წევრი იღებს კანონით დადგენილ გასამრჯელოს.

მუხლი 54

1. პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან ვადამდე შეწყვეტის საკითხს წყვეტს პარლამენტი. პარლამენტის ეს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საკონსტიტუციო სასამართლოში.

2. პარლამენტის წევრს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება, თუ: ა პირადი განცხადებით უფლებამოსილება მოეხსნა;

ბ) მის მიმართ კანონიერ ძალაში შევიდა სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი;

გ) სასამართლომ ცნო ქმედუუნაროდ, უგზო - უკვლოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად;

დ) დაიკავა პარლამენტის წევრის სტატუსთან შეუთავსებელი თანამდებობა, ან ეწევა შეუთავსებელ საქმიანობას;

ე) დაკარგა საქართველოს მოქალაქეობა;

ვ) არასაპატიო მიზეზით ოთხი თვის განმავლობაში არ მონაწილეობდა პარლამენტის მუშაობაში;

ზ) გარდაიცვალა.

მუხლი 55

1. საქართველოს პარლამენტი თავისი უფლებამოსილების ვადით, რეგლამენტით დადგენილი წესით, ფარული კენჭისყრით ირჩევს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს და თავმჯდომარის მოადგილეებს, მათ შორის თითო მოადგილეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკიდან არჩეულ პარლამენტის წევრთაგან მათივე წარდგინებით.

2. პარლამენტის თავმჯდომარე უძღვება პარლამენტის მუშაობას, უზრუნველყოფს აზრის თავისუფალ გამოხატვას, ხელს აწერს პარლამენტის მიერ მიღებულ აქტებს, ასრულებს რეგლამენტით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

3. პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეები ასრულებენ თავმჯდომარის მოვალეობას მისივე დავალებით, თავმჯდომარის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობისას ან თანამდებობიდან მისი გადაყენებისას.

4. პარლამენტის თავმჯდომარე რეგლამენტით გათვალის-

წინებული წესით ახორციელებს სრულ ადმინისტრაციულ ფუნქციებს პარლამენტის შენობაში.

საქართველოს 2000 წლის 20 აპრილის კონსტიტუციური კანონი №260-სსმ, №15, 25.04.2000წ., მუხ.36

საქართველოს 2002 წლის 10 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი №1689-სსმ, №28, 28.10.2002წ., მუხ.128

მუხლი 56

1. საკანონმდებლო საკითხების წინასწარი მომზადების, გად-ანყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობის, პარლამენტის მიერ მის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების და მთავრობის საქმიანობის კონტროლის მიზნით პარლამენტში მისი უფლებამოსილების ვადით იქმნება კომიტეტები.

2. კონსტიტუციითა და რეგლამენტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, აგრეთვე პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედის მოთხოვნით პარლამენტში იქმნება საგამოძიებო ან სხვა დროებითი კომისიები. დროებითი კომისიის შექმნის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პარლამენტი რეგლამენტით დადგენილი წესით. დროებით კომისიაში საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლობა არ უნდა აღემატებოდეს კომისიის წევრთა საერთო რაოდენობის ნახევარს.

3. საგამოძიებო კომისიის მოთხოვნით მის სხდომაზე გამოცხადება, აგრეთვე საკითხის გამოკვლევისათვის აუცილებელი საბუთების წარდგენა სავალდებულოა.

საქართველოს 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი, №3710-სსმ, №62, 05.11.2010წ., მუხ.379

მუხლი 57

1. პარლამენტის მუშაობის ორგანიზაციისათვის იქმნება პარლამენტის ბიურო, რომლის შემადგენლობაშიც შედიან საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილეები, პარლამენტის კომიტეტებისა და საპარლამენტო ფრაქციების თავმჯდომარეები.

2. (ამოღებულია - 15.10.2010, №3710).

საქართველოს 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი, №3710-სსმ, №62, 05.11.2010წ., მუხ.379

მუხლი 58

1. პარლამენტის წევრები შეიძლება გაერთიანდნენ საპარლამენტო ფრაქციაში. ფრაქციის წევრთა რაოდენობა არ უნდა იყოს ექვსზე ნაკლები.

2. ფრაქციის შექმნისა და საქმიანობის წესი, მისი უფლებამოსილება განისაზღვრება კანონითა და რეგლამენტით.

საქართველოს 2005 წლის 23 თებერვლის კონსტიტუციური კანონი №1010-სსმ, №8, 10.03.2005წ., მუხ.57

საქართველოს 2008 წლის 10 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი №343-სსმ, №25, 23.10.2008წ., მუხ.164

მუხლი 59

1. პარლამენტის წევრი უფლებამოსილია კითხვით მიმართოს პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ ორგანოს, მთავრობას, მთავრობის წევრს, ყველა დონის ტერიტორიული ერთეულის აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელს, სახელმწიფო დაწესებულებას და მიიღოს მათგან პასუხი.

2. პარლამენტის წევრთა სულ ცოტა ათკაციან ჯგუფს, საპარლამენტო ფრაქციას უფლება აქვთ შეკითხვით მიმართონ პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ ორგანოს, მთავრობას, მთავრობის ცალკეულ წევრს, რომლებიც ვალდებული არიან უპასუხონ დასმულ შეკითხვას პარლამენტის სხდომაზე. პასუხი შეიძლება გახდეს პარლამენტის განხილვის საგანი.

3. პარლამენტი უფლებამოსილია პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობით პრემიერ-მინისტრის წინაშე დასვას მთავრობის ცალკეული წევრის თანამდებობრივი პასუხისმგებლობის საკითხი.

საქართველოს 2004 წლის 6 თებერვლის კონსტიტუციური კანონი №3272-სსმ, №2, 07.02.2004წ., მუხ.5

საქართველოს 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი, №3710-სსმ, №62, 05.11.2010წ., მუხ.379

მუხლი 60

1. პარლამენტის სხდომები საჯაროა. დამსწრეთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით პარლამენტს შეუძლია ცალკეული საკითხების განხილვისას სხდომა ან მისი ნაწილი დახურულად გამოაცხადოს.

2. მთავრობის წევრი, პარლამენტის მიერ არჩეული, დანიშნული ან დამტკიცებული თანამდებობის პირი უფლებამოსილია, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში ვალდებულია, დაესწროს პარლამენტის, მისი კომიტეტისა და კომისიის სხდომებს, პასუხი გასცეს სხდომაზე დასმულ შეკითხვებს და წარმოადგინოს განეული საქმიანობის შესახებ ანგარიში. ასეთი თანამდებობის პირს მოთხოვნისთანავე უნდა მოუსმინოს პარლამენტმა, კომიტეტმა ან კომისიამ.

3. პარლამენტის პლენარულ სხდომაზე კენჭისყრა არის ღია ან ფარული. კენჭისყრა ღიაა, გარდა კონსტიტუციითა და კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4. პარლამენტის ღია პლენარული სხდომის ოქმი საჯაროა.

საქართველოს 2004 წლის 6 თებერვლის კონსტიტუციური კანონი №3272-სსმ, №2, 07.02.2004წ., მუხ.5

საქართველოს 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი, №3710-სსმ, №62, 05.11.2010წ., მუხ.379

მუხლი 61

1. საქართველოს პარლამენტი თავისი უფლებით იკრიბება მორიგ სესიაზე წელიწადში ორჯერ. საშემოდგომო სესია იხსნება სექტემბრის პირველ სამშაბათს და იხურება დეკემბრის მესამე პარასკევს, ხოლო საგაზაფხულო სესია იხსნება თებერვლის პირველ სამშაბათს და იხურება ივნისის ბოლო პარასკევს.

2. საქართველოს პრეზიდენტი პარლამენტის თავმჯდომარის, პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეოთხედის მოთხოვნით ან მთავრობის წარდგინებით პარლამენტის სესიებს შორის პერიოდში იწვევს რიგგარეშე სესიას, ხოლო მორიგი სესიის მიმდინარეობისას — რიგგარეშე სხდომას. თუ წერილობითი მოთხოვნის წარდგენიდან 48 საათის განმავლობაში მოწვევის აქტი არ გამოიცა, პარლამენტი თავისი რეგლამენტის თანახმად იკრიბება მომდევნო 48 საათის განმავლობაში.

3. პარლამენტის რიგგარეშე სხდომა ჩატარდება მხოლოდ განსაზღვრული დღის წესრიგით და იხურება მისი ამოწურვისთანავე.

4. პრეზიდენტის მიერ საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გამოცხადებიდან 48 საათის განმავლობაში პარლამენტი იკრიბება. პარლამენტის მუშაობა გრძელდება ამ მდგომარეობის დამთავრებამდე.

საქართველოს 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი, №3710-სსმ, №62, 05.11.2010წ., მუხ.379

მუხლი 62

პარლამენტის გადანყვეტილება ომისა და ზავის, საგანგებო ან საომარი მდგომარეობისა და კონსტიტუციის 46-ე მუხლით გათვალისწინებულ საკითხებზე მიიღება პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობით.

მუხლი 63

1. კონსტიტუციის 75-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში საქართველოს პრეზიდენტის იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების საკითხის აღძვრის უფლება აქვს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთ მესამედს. საკითხი დასკვნისათვის გადაეცემა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს.

2. თუ საკონსტიტუციო სასამართლომ თავისი დასკვნით დადასტურა პრეზიდენტის ქმედებაში დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების არსებობა ან კონსტიტუციის დარღვევა, პარლამენტი დასკვნის წარდგენიდან არა უგვიანეს 15 დღისა განიხილავს და კენჭს უყრის პრეზიდენტის იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების საკითხს.

3. პრეზიდენტი იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენებულად ჩაითვლება, თუ ამ გადანყვეტილებას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედი.

4. თუ პარლამენტმა ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილ ვადაში არ მიიღო გადაწყვეტილება პრეზიდენტის იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების შესახებ, იმავე საკითხზე იმპიჩმენტის პროცედურის დაწყება დაუშვებელია.

5. დაუშვებელია იმპიჩმენტის პროცედურის განხორციელება საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს.

საქართველოს 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი, №3710-სსმ, №62, 05.11.2010წ., მუხ.379

მუხლი 64

1. კონსტიტუციის დარღვევისას ან/და დანაშაულის ჩადენისათვის იმპიჩმენტის წესით უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, მთავრობის წევრების, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორისა და ეროვნული ბანკის საბჭოს წევრების გადაყენების საკითხის აღძვრის უფლება აქვს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთ მესამედს.

2. 63-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული წესით დასკვნის მიღების შემდეგ სრული შემადგენლობის უმრავლესობით პარლამენტი უფლებამოსილია თანამდებობიდან გადააყენოს ამ მუხლის პირველ პუნქტში ჩამოთვლილი თანამდებობის პირები. ამ შემთხვევებზე ვრცელდება აგრეთვე 63-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოქმედება.

საქართველოს 2008 წლის 10 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი №344-სსმ, №27, 27.10.2008წ., მუხ.168

საქართველოს 2012 წლის 22 მაისის კონსტიტუციური კანონი №6239 - ვებგვერდი, 29.05.2012წ.

მუხლი 65

1. საქართველოს პარლამენტი სრული შემადგენლობის უმრავლესობით ახდენს საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა რატიფიცირებას, დენონსირებასა და გაუქმებას.

1¹. საქართველოს პარლამენტს საერთაშორისო ხელშეკრულებისა და შეთანხმების რატიფიცირების, დენონსირებისა და გაუქმების შესახებ მიმართავს საქართველოს მთავრობა, ხოლო ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“—„გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, აგრეთვე იმ შემთხვევაში, როდესაც ხელშეკრულება (შეთანხმება) დადებულია საქართველოს პრეზიდენტის მიერ, — საქართველოს პრეზიდენტი, რაც საჭიროებს პრემიერ-მინისტრის კონტრასიგნაციას.

2. იმ საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა გარდა, რომლებიც ითვალისწინებენ რატიფიცირებას, სავალდებულოა აგრეთვე ისეთი საერთაშორისო ხელშეკრულებისა და შეთანხმების რატიფიცირება, რომელიც:

ა) ითვალისწინებს საერთაშორისო ორგანიზაციაში ან სახელმწიფოთაშორის კავშირში საქართველოს შესვლას;

- ბ) სამხედრო ხასიათისაა;
- გ) ეხება სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობას ან სახელმწიფო საზღვრების შეცვლას;
- დ) დაკავშირებულია სახელმწიფოს მიერ სესხის აღებასა და გაცემასთან;
- ე) მოითხოვს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შეცვლას, ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებათა შესასრულებლად აუცილებელი კანონებისა და კანონის ძალის მქონე აქტების მიღებას.
3. პარლამენტს უნდა ეცნობოს სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა დადების შესახებ.
4. საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური სარჩელის ან წარდგინების შეტანის შემთხვევაში დაუშვებელია შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულების თუ შეთანხმების რატიფიცირება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე.

საქართველოს 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი, №3710-სსმ, №62, 05.11.2010წ., მუხ.379

მუხლი 66

1. პარლამენტში კანონპროექტი ან დადგენილება მიღებულად ითვლება, როცა მას მხარს დაუჭერს დამსწრეთა უმრავლესობა, მაგრამ არანაკლებ პარლამენტის სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა, თუ კონსტიტუციით არ არის განსაზღვრული კანონპროექტის ან დადგენილების მიღების სხვა წესი.

1.¹ კონსტიტუციური შეთანხმება დამტკიცებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის სულ ცოტა სამი მეხუთედი.

2. ორგანული კანონის პროექტი მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

3. პარლამენტის თანხმობა მიიღება დადგენილების სახით, თუ კონსტიტუციით სხვა წესი არ არის განსაზღვრული.

4. სხვა სახის გადაწყვეტილებათა მიღების წესი განისაზღვრება პარლამენტის რეგლამენტით.

საქართველოს 2001 წლის 30 მარტის კონსტიტუციური კანონი №826-სსმ, №9, 10.04.2001წ., მუხ.33

მუხლი 67

1. საკანონმდებლო ინიციატივის უფლება აქვთ: საქართველოს მთავრობას, პარლამენტის წევრს, საპარლამენტო ფრაქციას, პარლამენტის კომიტეტს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოებს, არანაკლებ 30000 ამომრჩეველს.

2. საქართველოს მთავრობის მიერ წარდგენილ კანონპროექტს მისივე მოთხოვნით პარლამენტი რიგგარეშე განიხილავს.

საქართველოს 2000 წლის 20 აპრილის კონსტიტუციური კანონი №260, სსმ-№15, 25.04.2000წ., მუხ.36

საქართველოს 2002 წლის 10 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი №1689-სსმ, №28, 28.10.2002წ., მუხ.128

საქართველოს 2004 წლის 6 თებერვლის კონსტიტუციური კანონი №3272-სსმ, №2, 07.02.2004წ., მუხ.5

საქართველოს 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი, №3710-სსმ, №62, 05.11.2010წ., მუხ.379

მუხლი 68

1. პარლამენტის მიერ მიღებული კანონპროექტი 7 დღის ვადაში გადაეცემა საქართველოს პრეზიდენტს.

2. პრეზიდენტი 10 დღის ვადაში ხელს აწერს და აქვეყნებს კანონს ან მოტივირებული შენიშვნებით უბრუნებს პარლამენტს.

3. თუ პრეზიდენტი დააბრუნებს კანონპროექტს, პარლამენტი კენჭს უყრის პრეზიდენტის შენიშვნებს. შენიშვნათა მისაღებად საკმარისია ხმათა იგივე რაოდენობა, რაც ამ სახის კანონპროექტისათვის დადგენილია კონსტიტუციის 66- ე მუხლით. თუ შენიშვნები მიღებულია, კანონპროექტის საბოლოო რედაქცია გადაეცემა პრეზიდენტს, რომელიც 7 დღის ვადაში ხელს აწერს და აქვეყნებს მას.

4. თუ პარლამენტმა არ მიიღო პრეზიდენტის შენიშვნები, კენჭი ეყრება კანონპროექტის პირვანდელ რედაქციას. კანონის პროექტი მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. ორგანული კანონის პროექტი მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი. კონსტიტუციური კანონის პროექტი მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ სამი მეოთხედი.

5. თუ პრეზიდენტმა დადგენილ ვადაში არ გამოაქვეყნა კანონი, მას ხელს აწერს და აქვეყნებს პარლამენტის თავმჯდომარე.

6. კანონი ძალაში შედის მისი ოფიციალურ ორგანოში გამოქვეყნებიდან მე -15 დღეს, თუ სხვა ვადა არ არის დადგენილი.

საქართველოს 2004 წლის 6 თებერვლის კონსტიტუციური კანონი №3272-სსმ, №2, 07.02.2004წ., მუხ.5

საქართველოს 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი, №3710-სსმ, №62, 05.11.2010წ., მუხ.379

საქართველოს 2011 წლის 27 დეკემბრის კონსტიტუციური კანონი №5630 - ვებგვერდი, 09.01.2012წ.

თავი მეოთხე.

საქართველოს პრეზიდენტი

მუხლი 69

1. საქართველოს პრეზიდენტი არის საქართველოს სახელმწიფოს მეთაური, ქვეყნის ერთიანობისა და ეროვნული დამოუკიდებლობის გარანტი. საქართველოს პრეზიდენტი კონსტიტუციით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში უზრუნველყოფს სახელმწიფო ორგანოთა ფუნქციონირებას.

2. საქართველოს პრეზიდენტი არის საქართველოს სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდალი.

3. საქართველოს პრეზიდენტი წარმოადგენს საქართველოს საგარეო ურთიერთობებში.

საქართველოს 2004 წლის 6 თებერვლის კონსტიტუციური კანონი №3272-სსმ, №2, 07.02.2004წ., მუხ.5

საქართველოს 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი, №3710-სსმ, №62, 05.11.2010წ., მუხ.379

მუხლი 70

1. საქართველოს პრეზიდენტი აირჩევა საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით 5 წლის ვადით. ერთი და იგივე პირი პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

2. პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 35 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში უცხოვრია 5 წელს მაინც და არჩევნების დანიშვნის დღემდე ბოლო 3 წლის განმავლობაში ცხოვრობდა საქართველოში.

3. პრეზიდენტობის კანდიდატის დასახელების უფლება აქვს მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებას ან საინიციატივო ჯგუფს. კანდიდატის წარდგენა დადასტურებული უნდა იყოს ამომრჩეველთა ხელმოწერებით ორგანული კანონით დადგენილი წესით. ორგანული კანონით განსაზღვრული ამომრჩევლების ხელმოწერების რაოდენობა არ შეიძლება იყოს ამომრჩეველთა რაოდენობის 1%- ზე მეტი.

4. არჩეულად ჩაითვლება კანდიდატი, რომელსაც ხმა მისცა არჩევნების მონაწილეთა ნახევარზე მეტმა.

5. თუ არჩევნების პირველ ტურში ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო ხმათა საჭირო რაოდენობა, პირველი ტურის შედეგების ოფიციალურად გამოცხადებიდან ორი კვირის თავზე იმართება არჩევნების მეორე ტური.

6. არჩევნების მეორე ტურში კენჭი ეყრება პირველ ტურში უკეთესი შედეგის მქონე ორ კანდიდატს. არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც მეტ ხმას მიიღებს.

7. თუ არჩევნების პირველ ტურში მხოლოდ ერთი კანდიდატი მონაწილეობდა და მან ხმათა საჭირო რაოდენობა ვერ მიიღო, არჩევნების დღიდან ორი თვის ვადაში იმართება ხელახალი არჩევნები.

8. საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს არჩევნები არ ტარდება.

9. პრეზიდენტის მორიგი არჩევნები ტარდება პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის ამოწურვის კალენდარული წლის ოქტომბერში. არჩევნების თარიღს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი არჩევნებამდე არა უგვიანეს 60 დღისა.

10. (ამოღებულია - 15.10.2010, №3710).

საქართველოს 1999 წლის 20 ივლისის კონსტიტუციური კანონი №2224-სსმ/ №35(42), 28.07.1999წ., მუხ.170

საქართველოს 2004 წლის 6 თებერვლის კონსტიტუციური კანონი №3272-სსმ/ №2, 07.02.2004წ., მუხ.5

საქართველოს 2006 წლის 27 დეკემბრის კონსტიტუციური კანონი №4133-სსმ/ №3, 11.01.2007წ., მუხ.44

საქართველოს 2008 წლის 12 მარტის კონსტიტუციური კანონი №5853-სსმ/ №3, 13.03.2008წ., მუხ.8

საქართველოს 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი, №3710-სსმ/ №62, 05.11.2010წ., მუხ.379

მუხლი 71

1. თანამდებობის დაკავების წინ საქართველოს ახალარჩეული პრეზიდენტი წარმოთქვამს საპროგრამო სიტყვას და დებს ფიცს: „მე, საქართველოს პრეზიდენტი, ღვთისა და ერის წინაშე ვაცხადებ, რომ დავიცავ საქართველოს კონსტიტუციას, ქვეყნის დამოუკიდებლობას, ერთიანობასა და განუყოფლობას, კეთილსინდისიერად აღვასრულებ პრეზიდენტის მოვალეობას, ვიზრუნებ ჩემი

ქვეყნის მოქალაქეთა უსაფრთხოებისა და კეთილდღეობისათვის, ჩემი ხალხისა და მამულის აღორძინებისა და ძლევამოსილები-სათვის“.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ცერე-მონიალი იმართება პრეზიდენტის არჩევის დღიდან მესამე კვი-რა დღეს. პრეზიდენტის უფლებამოსილება წყდება ახალარჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებისთანავე.

საქართველოს 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი, №3710-სსმ, №62, 05.11.2010წ., მუხ.379

მუხლი 72

საქართველოს პრეზიდენტს უფლება არა აქვს, ეკავოს სხვა თანამდებობა, მათ შორის, პარტიული, ენეოდეს სამენარმეო საქმიანობას, იღებდეს ხელფასს ან სხვაგვარ მუდმივ ანაზღაურე-ბას რაიმე სხვა საქმიანობისათვის.

საქართველოს 2004 წლის 6 თებერვლის კონსტიტუციური კანონი №3272-სსმ, №2, 07.02.2004წ., მუხ.5

საქართველოს 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი, №3710-სსმ, №62, 05.11.2010წ., მუხ.379

მუხლი 73

1. საქართველოს პრეზიდენტი:

ა) მთავრობასთან შეთანხმებით აწარმოებს მოლაპარაკებებს სხვა სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, დებს საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს; მთავ-რობის წარდგინებით ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს ელჩებს და სხვა დიპლომატიურ წარმომადგენლებს; მთავრობას-თან შეთანხმებით იღებს სხვა სახელმწიფოთა და საერთაშორისო ორგანიზაციათა ელჩების და სხვა დიპლომატიური წარმომადგენ-ლების აკრედიტაციას;

ბ) საქართველოს სახელმწიფოს სახელით დებს კონსტიტუცი-ურ შეთანხმებას საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიასთან;

გ) კონსტიტუციით განსაზღვრულ შემთხვევებში წამოაყენებს პრემიერ-მინისტრის კანდიდატურას და ნიშნავს პრემიერ-მინის-ტრს;

დ) კონსტიტუციით განსაზღვრულ შემთხვევებში მთავრობას აკისრებს მოვალეობის შესრულებას მთავრობის ახალი შემადგენლობის შექმნამდე;

ე) კონსტიტუციით განსაზღვრულ შემთხვევებში პარლამენტს წარუდგენს, ნიშნავს, ათავისუფლებს და გადააყენებს თანამდებობის პირებს; კანონით დადგენილი წესით ნიშნავს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრს;

ორგანული კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით მონაწილეობს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრებისა და თავმჯდომარის თანამდებობაზე განწესებაში; მთავრობასთან შეთანხმებით პარლამენტს წარუდგენს ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების წევრთა კანდიდატურებს;

ვ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ახალარჩეული უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილების ცნობიდან 10 დღის ვადაში, უმაღლეს საბჭოში წარმოდგენილ პოლიტიკურ სუბიექტებთან კონსულტაციის შემდეგ, საქართველოს მთავრობის წინასწარი თანხმობით, უმაღლეს საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის კანდიდატურას;

ზ) საქართველოზე შეიარაღებული თავდასხმის შემთხვევაში აცხადებს საომარ მდგომარეობას, სათანადო პირობების არსებობისას დებს ზავს და ამ გადაწყვეტილებებს არა უგვიანეს 48 საათისა წარუდგენს პარლამენტს დასამტკიცებლად;

თ) ომიანობის თუ მასობრივი არეულობის, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის, სამხედრო გადატრიალებისა და შეიარაღებული ამბოხების, ეკოლოგიური კატასტროფის და ეპიდემიის დროს, ან სხვა შემთხვევებში, როდესაც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები მოკლებული არიან კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა ნორმალური განხორციელების შესაძლებლობას, აცხადებს საგანგებო მდგომარეობას ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ან მის რომელიმე ნაწილში და ამ გადაწყვეტილებას არა უგვიანეს 48 საათისა წარუდგენს პარლამენტს დასამტკიცებლად. საგანგებო უფლებამოსილებანი ვრცელდება მხოლოდ იმ ტერიტორიაზე, სადაც ამ ქვეპუნქტში აღნიშნულ მიზეზთა გამო გამოცხადებულია საგანგებო მდგომარეობა;

ი) საომარი ან საგანგებო მდგომარეობის დროს გამოსცემს

კანონის ძალის მქონე დეკრეტებს, რომლებიც მოქმედებს შესაბამისად საომარი ან საგანგებო მდგომარეობის დამთავრებამდე; ახორციელებს საგანგებო ღონისძიებებს. დეკრეტები წარედგინება პარლამენტს, როცა იგი შეიკრიბება;

კ) უფლებამოსილია მთავრობის წარდგინებით, პარლამენტის თანხმობით შეაჩეროს თვითმმართველობის ან ტერიტორიული ერთეულების სხვა წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობა, ან დაითხოვოს ისინი, თუ მათი მოქმედებით საფრთხე შეექმნა ქვეყნის სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობას, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა კონსტიტუციური უფლებამოსილებების განხორციელებას;

ლ) კონსტიტუციით მინიჭებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოსცემს დეკრეტს, ბრძანებულებას, განკარგულებას, აგრეთვე, როგორც საქართველოს სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდალი, — ბრძანებას;

მ) ხელს აწერს და აქვეყნებს კანონს კონსტიტუციით დადგენილი წესით;

ნ) წყვეტს მოქალაქეობის, თავშესაფრის მიცემის საკითხებს;

ო) ანიჭებს სახელმწიფო ჯილდოებს, უმაღლეს სამხედრო, სპეციალურ და საპატიო წოდებებს, უმაღლეს დიპლომატიურ რანგებს;

პ) შეიწყალებს მსჯავრდებულთ;

ჟ) დაითხოვს პარლამენტს კონსტიტუციით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.

2. საქართველოს პრეზიდენტი ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტისა და წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნებს კონსტიტუციითა და კანონით დადგენილი წესით.

3. საქართველოს პრეზიდენტი ნიშნავს ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრებს, მთავრობასთან შეთანხმებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან გადააყენებს საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსს, სხვა მხედართმთავრებს.

4. საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია მიმართოს ხალხს და პარლამენტს. წელიწადში ერთხელ იგი პარლამენტს წარუდგენს მოხსენებას ქვეყნის მდგომარეობის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე.

5. საქართველოს პრეზიდენტი ახორციელებს კონსტიტუციით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

საქართველოს 2001 წლის 30 მარტის კონსტიტუციური კანონი №826-სსმ, №9, 10.04.2001წ., მუხ.33

საქართველოს 2004 წლის 6 თებერვლის კონსტიტუციური კანონი №3272-სსმ, №2, 07.02.2004წ., მუხ.5

საქართველოს 2005 წლის 23 დეკემბრის კონსტიტუციური კანონი №2494-სსმ, №1, 04.01.2006წ., მუხ.1

საქართველოს 2006 წლის 27 დეკემბრის კონსტიტუციური კანონი №4133-სსმ, №3, 11.01.2007წ., მუხ.44

საქართველოს 2006 წლის 27 დეკემბრის კონსტიტუციური კანონი №4136-სსმ, №3, 11.01.2007წ., მუხ.47

საქართველოს 2008 წლის 10 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი №344-სსმ, №27, 27.10.2008წ., მუხ.168

საქართველოს 2013 წლის 25 მარტის კონსტიტუციური კანონი № 496 - ვებგვერდი, 27.03.2013წ.

საქართველოს 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი, №3710-სსმ, №62, 05.11.2010წ., მუხ.379

მუხლი 73¹

1. საქართველოს პრეზიდენტის სამართლებრივი აქტები, გარდა საომარი მდგომარეობის დროს გამოცემული აქტებისა და ამ მუხლის მე-2—მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა, საჭიროებს პრემიერ-მინისტრის კონტრასიგნაციას.

2. კონტრასიგნაციას არ საჭიროებს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანება, გარდა კონსტიტუციით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3. კონტრასიგნაციას არ საჭიროებს საქართველოს პრეზიდენტის ის სამართლებრივი აქტები, რომლებიც, კონსტიტუციის შესაბამისად, გამოცემულია მთავრობის წარდგინებით ან რომლებზედაც მთავრობას მიცემული აქვს წინასწარი თანხმობა.

4. კონტრასიგნაციას არ საჭიროებს საქართველოს პრეზიდენტის ის სამართლებრივი აქტები, რომლებიც უკავშირდება:

ა) პარლამენტის არჩევნების დანიშვნას და მის დათხოვნას კონსტიტუციის მე-80 მუხლის საფუძველზე, ახალარჩეული პარლამენტის პირველი სხდომის მოწვევას, აგრეთვე პარლამენტის რიგგარეშე სხდომის ან სესიის მოწვევას;

ბ) კანონის ხელმოწერას და გამოქვეყნებას, აგრეთვე პარლამენტში კანონპროექტის შენიშვნებით დაბრუნებას;

გ) კონსტიტუციით განსაზღვრულ თანამდებობის პირთა წარდგენას, დანიშვნას, გათავისუფლებას და გადაყენებას, თუ კონსტიტუციით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;

დ) სასამართლოში, საკონსტიტუციო სასამართლოში მიმართვას;

ე) პრემიერმინისტრობის კანდიდატის წამოყენებას და პრემიერ-მინისტრის დანიშვნას;

ვ) მთავრობისთვის მოვალეობის შესრულების დაკისრებას კონსტიტუციის მე-80 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად;

ზ) სახელმწიფო ჯილდოებისა და სპეციალური ნოდებების მინიჭებას;

თ) მოქალაქეობის მინიჭებასა და შეწყვეტას;

ი) მთავრობის სხდომაზე საკითხის განხილვის მოთხოვნას კონსტიტუციის 78-ე მუხლის მე-6 პუნქტით დადგენილი წესით;

კ) პრეზიდენტის ადმინისტრაციის და ეროვნული უშიშროების საბჭოს საქმიანობას;

ლ) საომარი მდგომარეობის გამოცხადებასა და გაუქმებას;

მ) მსჯავრდებულთა შეწყალებას.

5. პრეზიდენტის სამართლებრივი აქტი, რომელიც საჭიროებს კონტრასიგნაციას, ქვეყნდება და სამართლებრივ შედეგებს წარმოშობს მხოლოდ კონტრასიგნაციის შემთხვევაში.

6. კონტრასიგნაციის შემთხვევაში სამართლებრივ აქტზე პასუხისმგებლობა ეკისრება მთავრობას.

საქართველოს 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი, №3710-სსმ, №62, 05.11.2010წ., მუხ.379

მუხლი 74

1. საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია საქართველოს პარლამენტის, საქართველოს მთავრობის, არანაკლებ 200000 ამომრჩევლის მოთხოვნით დანიშნოს რეფერენდუმი კონსტიტუციითა და კანონით განსაზღვრულ საკითხებზე, მისი ჩატარების მოთხოვნის მიღებიდან 30 დღის განმავლობაში

2. არ შეიძლება რეფერენდუმის მოწყობა კანონის მისაღებად ან გასაუქმებლად, ამნისტიისა და შეწყალების გამო, საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა რატიფიცირებისა და დენონსირების შესახებ, აგრეთვე ისეთ საკითხებზე, რომლებიც ზღუდავენ ადამიანის ძირითად კონსტიტუციურ უფლებებსა და თავისუფლებებს.

3. რეფერენდუმის დანიშვნასა და ჩატარებასთან დაკავშირე-

ბული საკითხები განისაზღვრება ორგანული კანონით.

საქართველოს 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი, №3710-სსმ, №62, 05.11.2010წ., მუხ.379

მუხლი 75

1. საქართველოს პრეზიდენტი ხელშეუვალია. თანამდებობაზე ყოფნის დროს არ შეიძლება მისი დაპატიმრება ან სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა.

2. პრეზიდენტის მიერ კონსტიტუციის დარღვევის ან მის ქმედებაში დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების არსებობის შემთხვევაში პარლამენტს შეუძლია კონსტიტუციის 63-ე მუხლითა და კანონით დადგენილი წესით თანამდებობიდან გადააყენოს პრეზიდენტი.

საქართველოს 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი, №3710-სსმ, №62, 05.11.2010წ., მუხ.379

მუხლი 76

1. საქართველოს პრეზიდენტის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის ან საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებს პარლამენტის თავმჯდომარე, ხოლო პარლამენტის თავმჯდომარის მიერ საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, აგრეთვე თუ პარლამენტი დათხოვნილია, საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებს პრემიერ - მინისტრი. პარლამენტის თავმჯდომარის მიერ საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შესრულების პერიოდში პარლამენტის თავმჯდომარის მოვალეობას, პარლამენტის თავმჯდომარის დავალებით, ასრულებს პარლამენტის თავმჯდომარის ერთ - ერთი მოადგილე. პრემიერ - მინისტრის მიერ საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შესრულების პერიოდში პრემიერ - მინისტრის მოვალეობას ასრულებს პირველი ვიცე - პრემიერის უფლებამოსილების მქონე მთავრობის წევრი.

2. პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი უფლებამოსილი არ არის, გამოიყენოს კონსტიტუციის 73-ე მუხლის პირველი პუნქტის „კ“ და „ჟ“ ქვეპუნქტებითა და 74-ე მუხლის პირველი

პუნქტით გათვალისწინებული უფლებები.

3. პრეზიდენტის არჩევნები ტარდება პრეზიდენტის უფლებამოსილების შეწყვეტის დროიდან 45 დღის განმავლობაში და მის ჩატარებას უზრუნველყოფს პარლამენტი.

საქართველოს 2004 წლის 6 თებერვლის კონსტიტუციური კანონი №3272-სსმ, №2, 07.02.2004წ., მუხ.5

საქართველოს 2008 წლის 11 მარტის კონსტიტუციური კანონი №5833-სსმ, №3, 13.03.2008წ., მუხ.7

საქართველოს 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი, №3710-სსმ, №62, 05.11.2010წ., მუხ.379

მუხლი 76¹. (ამოღებულია)

საქართველოს 2004 წლის 6 თებერვლის კონსტიტუციური კანონი №3272-სსმ, №2, 07.02.2004წ., მუხ.5

საქართველოს 2008 წლის 10 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი №344-სსმ, №27, 27.10.2008წ., მუხ.168

მუხლი 77

საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილებათა განხორციელების ხელშეწყობის მიზნით იქმნება საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია. საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს, ადმინისტრაციის სტრუქტურასა და საქმიანობის წესს განსაზღვრავს საქართველოს პრეზიდენტი.

საქართველოს 2004 წლის 6 თებერვლის კონსტიტუციური კანონი №3272-სსმ, №2, 07.02.2004წ., მუხ.5

თავი მეოთხე¹.

საქართველოს მთავრობა

საქართველოს 2004 წლის 6 თებერვლის კონსტიტუციური კანონი №3272-სსმ, №2, 07.02.2004წ., მუხ.5

მუხლი 78

1. საქართველოს მთავრობა არის აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანო, რომელიც ახორციელებს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას. მთავრობა ანგარიშვალდებულია პარლამენტის წინაშე.

2. მთავრობა შედგება პრემიერ-მინისტრისა და მინისტრებისაგან. მთავრობის შემადგენლობაში შეიძლება

იყოს ერთი ან რამდენიმე სახელმწიფო მინისტრი.

3. პრემიერ-მინისტრი უფლებამოსილია მთავრობის ერთ-ერთ წევრს დააკისროს პირველი ვიცე-პრემიერის, აგრეთვე ერთ ან რამდენიმე წევრს — ვიცე-პრემიერის მოვალეობათა შესრულება. პირველი ვიცე-პრემიერისა და ვიცე-პრემიერის მოვალეობათა შესრულების დაკისრების წესი და მათი უფლებამოსილებანი განისაზღვრება კანონით.

4. პრემიერ-მინისტრი და მინისტრები საგარეო ურთიერთობებში წარმოადგენენ საქართველოს თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში.

5. მთავრობა კონსტიტუციისა და სხვა საკანონმდებლო აქტების საფუძველზე და მათ შესასრულებლად იღებს დადგენილებასა და განკარგულებას, რომლებსაც ხელს აწერს პრემიერ-მინისტრი.

6. საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია მოითხოვოს ცალკეულ საკითხთა მთავრობის სხდომაზე განხილვა და მონაწილეობა მიიღოს ამ განხილვაში, რომელსაც ასევე ესწრებიან ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი და სხვა წევრები.

7. მთავრობის სტრუქტურა, უფლებამოსილება და საქმიანობის წესი განისაზღვრება კანონით. აღნიშნული კანონის პროექტს პარლამენტს წარუდგენს მთავრობა.

8. მთავრობის უფლებამოსილება იწყება კონსტიტუციით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით მთავრობის წევრთა დანიშვნისთანავე.

საქართველოს 2004 წლის 6 თებერვლის კონსტიტუციური კანონი №3272-სსმ, №2, 07.02.2004წ., მუხ.5

საქართველოს 2008 წლის 11 მარტის კონსტიტუციური კანონი №5833-სსმ, №3, 13.03.2008წ., მუხ.7

საქართველოს 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი, №3710-სსმ, №62, 05.11.2010წ., მუხ.379

მუხლი 79

1. მთავრობის მეთაურია პრემიერ-მინისტრი.

2. პრემიერ-მინისტრი განსაზღვრავს მთავრობის საქმიანობის მიმართულებებს, ორგანიზებას უწევს მთავრობის საქმიანობას, ახორციელებს მთავრობის წევრთა საქმიანობის კოორდინაციასა და კონტროლს.

3. პრემიერ-მინისტრი პარლამენტის მოთხოვნით წარუდგენს მას სამთავრობო პროგრამის შესრულების მიმდინარეობის შესახებ ანგარიშს.

4. პრემიერ-მინისტრი თავისი უფლებამოსილების ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს — ბრძანებას, აგრეთვე, ახორციელებს სრულ ადმინისტრაციულ ფუნქციებს მთავრობის შენობაში.

5. პრემიერ-მინისტრი თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მთავრობის სხვა წევრებს.

6. პრემიერ-მინისტრი კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სხვა თანამდებობის პირებს.

7. პრემიერ-მინისტრის გადადგომა ან მისი უფლებამოსილების სხვაგვარად შეწყვეტა იწვევს მთავრობის სხვა წევრთა უფლებამოსილების შეწყვეტას. მთავრობის სხვა წევრის გადადგომის ან თანამდებობიდან გათავისუფლების შემთხვევაში პრემიერ-მინისტრი ორი კვირის ვადაში ნიშნავს მთავრობის წევრს.

საქართველოს 2004 წლის 6 თებერვლის კონსტიტუციური კანონი №3272-სსმ, №2, 07.02.2004წ., მუხ.5

საქართველოს 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი, №3710-სსმ, №62, 05.11.2010წ., მუხ.379

მუხლი 80

1. ახალარჩეული პარლამენტის უფლებამოსილების ცნობისთანავე მთავრობის უფლებამოსილება მოხსნილად ითვლება და საქართველოს პრეზიდენტი მასვე აკისრებს მოვალეობის შესრულებას მთავრობის ახალი შემადგენლობის შექმნამდე.

2. საქართველოს პრეზიდენტი მთავრობის უფლებამოსილების მოხსნიდან 7 დღის ვადაში წამოაყენებს პარლამენტის არჩევნებში საუკეთესო შედეგის მქონე საარჩევნო სუბიექტის მიერ მისთვის წარდგენილ პრემიერ-მინისტრის კანდიდატურას.

3. პრემიერმინისტრობის კანდიდატი 7 დღის ვადაში შეარჩევს მინისტრთა კანდიდატურებს და საქართველოს პარლამენტს წარუდგენს მთავრობის შემადგენლობას ნდობის მისაღებად. მთავრობის შემადგენლობასთან ერთად წარდგენილი უნდა იქნეს სამთავრობო პროგრამა.

4. საქართველოს პარლამენტი მთავრობის შემადგენლობის წარდგენიდან 7 დღის ვადაში განიხილავს და კენჭს უყრის მთავრობის შემადგენლობისთვის ნდობის გამოცხადების საკითხს. პარლამენტის ნდობის მისაღებად საჭიროა პარლამენტის სიითი შემადგენლობის უმრავლესობის მხარდაჭერა.

5. თუ მთავრობის შემადგენლობამ ნდობა ვერ მიიღო, მთავრობის შემადგენლობის პარლამენტში წარდგენიდან 30 დღის ვადაში განმეორებით ეყრება კენჭი მთავრობის თავდაპირველად წარდგენილი ან განახლებული შემადგენლობისთვის ნდობის გამოცხადების საკითხს.

6. თუ არ იქნება წარდგენილი პრემიერმინისტრობის კანდიდატი ან მთავრობის შემადგენლობას ამ მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილი წესით და გათვალისწინებულ ვადაში პარლამენტი ნდობას ვერ გამოუცხადებს, პრეზიდენტი 7 დღის ვადაში პრემიერმინისტრობის კანდიდატად წამოაყენებს პარლამენტის სიითი შემადგენლობის არანაკლებ ორი მეხუთედის მიერ წარდგენილ კანდიდატურას. თუ პარლამენტის წევრთა სხვადასხვა შემადგენლობა 2 კანდიდატურას წარადგენს, პრეზიდენტი პრემიერმინისტრობის კანდიდატად წამოაყენებს იმ კანდიდატურას, რომელიც უფრო მეტმა პარლამენტის წევრმა წარადგინა, ხოლო წარმდგენთა თანაბარი რაოდენობის შემთხვევაში — ერთ-ერთ წარდგენილ კანდიდატურას.

7. ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მთავრობის წევრთა შერჩევა და მთავრობის შემადგენლობისთვის ნდობის გამოცხადება ხდება ამ მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით დადგენილი წესით. თუ პარლამენტი ნდობას ვერ გამოუცხადებს მთავრობის შემადგენლობას, საქართველოს პრეზიდენტი 3 დღის ვადაში დაითხოვს პარლამენტს და დანიშნავს რიგგარეშე არჩევნებს.

8. მთავრობის შემადგენლობისთვის ნდობის გამოცხადებიდან 2 დღის ვადაში პრეზიდენტი ნიშნავს პრემიერ-მინისტრს, ხოლო პრემიერ-მინისტრი ასევე 2 დღის ვადაში — მთავრობის სხვა წევრებს. თუ პრეზიდენტი აღნიშნულ ვადაში არ გამოსცემს სამართლებრივ აქტს პრემიერ-მინისტრის დანიშვნის თაობაზე, პრემიერ-მინისტრი დანიშნულად ჩაითვლება.

საქართველოს 2004 წლის 6 თებერვლის კონსტიტუციური კანონი №3272-სსმ, №2, 07.02.2004წ., მუხ.5

საქართველოს 2013 წლის 25 მარტის კონსტიტუციური კანონი № 496 - ვებგვერდი, 27.03.2013წ.

საქართველოს 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი, №3710-სსმ, №62, 05.11.2010წ., მუხ.379

მუხლი 80¹

1. მთავრობის უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტი 7 დღის ვადაში პრემიერმინისტრობის კანდიდატად წამოაყენებს საპარლამენტო უმრავლესობის, ხოლო თუ უმრავლესობა შექმნილი არ არის — იმ საპარლამენტო ფრაქციის მიერ წარდგენილ კანდიდატურას, რომელშიც ყველაზე მეტი პარლამენტის წევრია გაერთიანებული.

2. მთავრობის წევრთა შერჩევა და მთავრობის შემადგენლობისთვის ნდობის გამოცხადება ხდება კონსტიტუციის მე-80 მუხლის მე-3—მე-8 პუნქტებით დადგენილი წესით.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოებების არსებობისას საქართველოს პრეზიდენტი მთავრობის იმავე შემადგენლობას აკისრებს მოვალეობის შესრულებას მთავრობის ახალი შემადგენლობის შექმნამდე.

საქართველოს 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი, №3710-სსმ, №62, 05.11.2010წ., მუხ.379

მუხლი 81

1. პარლამენტი უფლებამოსილია უნდობლობა გამოუცხადოს მთავრობას. უნდობლობის გამოცხადების საკითხის აღძვრის შესახებ პარლამენტს შეიძლება მიმართოს პარლამენტის სიითი შემადგენლობის არანაკლებ ორმა მესუთედმა. უნდობლობის გამოცხადების საკითხის აღძვრასთან დაკავშირებით კენჭისყრა იმართება არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 25 დღისა. უნდობლობის გამოცხადების საკითხი აღძრულად ჩაითვლება, თუ ამ გადაწყვეტილებას მხარს დაუჭერს პარლამენტის სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თუ პარლამენტი არ მიიღებს გადაწყვეტილებას უნდობლობის გამოცხადების საკითხის აღძვრის თაობაზე, პარლამენტის იმავე წევრთა მიერ უნდობლობის გამოცხადების საკითხის აღძვრის შესახებ პარლამენტისთვის მიმართვა კენჭისყრიდან ექვსი თვის განმავლობაში დაუშვებელია.

2. უნდობლობის გამოცხადების საკითხის აღძვრიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 25 დღისა პარლამენტი კენჭს უყრის პარლამენტის სიითი შემადგენლობის არანაკლებ ორი მესუთედის მიერ დასახელებული პრემიერ-მინისტრის კანდიდატურის პრეზიდენტისათვის წარდგენას. თუ ამ პუნქტით დადგენილი წესით დასახელდა პრემიერ-მინისტრის 2 კანდიდატურა, კენჭი ეყრება ორივე კანდიდატურას. პრეზიდენტს პრემიერ-მინისტრის კანდიდატურა წარედგინება, თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. ამ პუნქტით დადგენილი წესით პრემიერ-მინისტრის კანდიდატურის წარუდგენლობა ნიშნავს უნდობლობის გამოცხადების პროცედურის შეწყვეტას.

3. პრეზიდენტი უფლებამოსილია პრემიერ-მინისტრის კანდიდატურის წარდგენიდან 5 დღის ვადაში წამოაყენოს წარდგენილი პრემიერ-მინისტრის კანდიდატურა ან უარი განაცხადოს ამ კანდიდატურის წამოყენებაზე. თუ პრეზიდენტი წამოაყენებს პარლამენტის მიერ წარდგენილ კანდიდატურას, მთავრობის ახალი შემადგენლობისთვის ნდობის გამოცხადება ხდება კონსტიტუციის მე-80 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით დადგენილი წესით.

4. თუ პრეზიდენტი ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში უარს განაცხადებს პარლამენტის მიერ მისთვის წარდგენილი პრემიერ-მინისტრის კანდიდატურის წამოყ-

ენებაზე, პარლამენტი კანდიდატურის წარდგენიდან არა უადრეს 15 და არა უგვიანეს 20 დღისა კენჭს უყრის პრეზიდენტისათვის პრემიერ-მინისტრის იმავე კანდიდატურის წარდგენას. თუ წარდგენას მხარს დაუჭერს პარლამენტის სიითი შემადგენლობის სამი მეხუთედი, პრეზიდენტი ვალდებულია 3 დღის ვადაში წამოაყენოს მისთვის წარდგენილი პრემიერ-მინისტრის კანდიდატურა. მთავრობის ახალი შემადგენლობისთვის ნდობის გამოცხადება ხდება კონსტიტუციის მე-80 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით დადგენილი წესით.

5. პარლამენტის მიერ ამ მუხლის მე-3 ან მე-4 პუნქტით დადგენილი წესით მთავრობის ახალი შემადგენლობისთვის ნდობის გამოცხადება ჩაითვლება მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადებად, რაც იწვევს მისი უფლებამოსილების შეწყვეტას. ახალი პრემიერ-მინისტრისა და მთავრობის წევრთა დანიშვნა ხდება კონსტიტუციის მე-80 მუხლის მე-8 პუნქტით დადგენილი წესით.

6. პარლამენტის მიერ ამ მუხლის მე-3 ან მე-4 პუნქტით დადგენილი წესით მთავრობის ახალი შემადგენლობისთვის ნდობის გამოუცხადებლობის შემთხვევაში პრეზიდენტი უფლებამოსილია 3 დღის ვადაში დაითხოვოს პარლამენტი და დანიშნოს რიგგარეშე არჩევნები.

საქართველოს 2004 წლის 6 თებერვლის კონსტიტუციური კანონი №3272-სსმ, №2, 07.02.2004წ., მუხ.5

საქართველოს 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი, №3710-სსმ, №62, 05.11.2010წ., მუხ.379

მუხლი 81¹

1. პარლამენტის მიერ მთავრობისა და მისი სამთავრობო პროგრამისათვის ნდობის გამოცხადების შემდეგ მთავრობის თავდაპირველი შემადგენლობის ერთი მესამედით, მაგრამ არანაკლებ მთავრობის 5 წევრით განახლების შემთხვევაში, საქართველოს პრეზიდენტი ერთი კვირის ვადაში წარუდგენს პარლამენტს ნდობის მისაღებად მთავრობის შემადგენლობას.

2. პარლამენტის მიერ მთავრობის შემადგენლობისთვის ნდობის გამოცხადება ხდება კონსტიტუციის მე-80 მუხლით დადგენილი წესით.

საქართველოს 2004 წლის 6 თებერვლის კონსტიტუციური კანონი №3272-სსმ, №2, 07.02.2004წ., მუხ.5

საქართველოს 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი, №3710-სსმ, №62, 05.11.2010წ., მუხ.379
საქართველოს 2013 წლის 4 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი №1456 - ვებგვერდი, 16.10.2013წ.

მუხლი 81²

1. სამინისტროები იქმნება სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების განსაზღვრულ სფეროში სახელმწიფო მმართველობისა და სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების უზრუნველსაყოფად.

2. სამინისტროს ხელმძღვანელობს მინისტრი, რომელიც დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებას მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე. მინისტრი კანონის, პრეზიდენტის ნორმატიული აქტის ან მთავრობის დადგენილების საფუძველზე და მათ შესასრულებლად გამოსცემს ბრძანებას.

3. სახელმწიფო მინისტრი ინიშნება კონსტიტუციით დადგენილი წესით განსაკუთრებული მნიშვნელობის სახელმწიფოებრივი ამოცანების შესასრულებლად.

4. მთავრობის წევრს უფლება არ აქვს ეკავოს სხვა თანამდებობა, გარდა პარტიულისა, დააფუძნოს საწარმო, ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას, იღებდეს ხელფასს რაიმე სხვა საქმიანობიდან, გარდა სამეცნიერო, პედაგოგიური, შემოქმედებითი საქმიანობისა.

5. მთავრობის წევრი უფლებამოსილია გადადგეს თანამდებობიდან.

საქართველოს 2004 წლის 6 თებერვლის კონსტიტუციური კანონი №3272-სსმ, №2, 07.02.2004წ., მუხ.5

მუხლი 81³

1. აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლობას საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში უზრუნველყოფს სახელმწიფო რწმუნებული — გუბერნატორი.

2. სახელმწიფო რწმუნებულის — გუბერნატორის უფლებამოსილებანი განისაზღვრება კანონით.

3. სახელმწიფო რწმუნებულს — გუბერნატორს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მთავრობა.

საქართველოს 2008 წლის 11 მარტის კონსტიტუციური კანონი №5833- სსმ I, №3, 13.03.2008 წ., მუხ. 7

საქართველოს 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი, №3710-სსმ, №62, 05.11.2010წ., მუხ.379

მუხლი 81⁴

პროკურატურის ორგანოები შედის იუსტიციის სამინისტროს სისტემაში და მათ საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებს იუსტიციის მინისტრი. პროკურატურის უფლებამოსილება და საქმიანობის წესი განისაზღვრება კანონით.

საქართველოს 2008 წლის 10 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი №344-სსმ, №27, 27.10. 2008წ., მუხ.168

თავი მესამე.

სასამართლო ხელისუფლება

მუხლი 82

1. სასამართლო ხელისუფლება ხორციელდება საკონსტიტუციო კონტროლის, მართლმსაჯულების და კანონით დადგენილი სხვა ფორმების მეშვეობით.

2. სასამართლოს აქტები სავალდებულოა ყველა სახელმწიფო ორგანოსა და პირისათვის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე.

3. სასამართლო ხელისუფლება დამოუკიდებელია და მას ახორციელებენ მხოლოდ სასამართლოები.

4. სასამართლოს გადაწყვეტილება გამოაქვს საქართველოს სახელით.

5. საერთო სასამართლოებში საქმეები ნაფიცი მსაჯულების მიერ განიხილება კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით.

საქართველოს 2004 წლის 6 თებერვლის კონსტიტუციური კანონი №3272-სსმ, №2, 07.02.2004წ., მუხ.5

მუხლი 83

1. საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო ორგანოა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. მისი უფლებამოსილება, შექმნისა და საქმიანობის წესი განისაზღვრება კონსტიტუციით და ორგანული კანონით.

2. მართლმსაჯულებას ახორციელებენ საერთო სასამართლოები. მათი სისტემა დადგენილია ორგანული კანონით.

3. სამხედრო სასამართლოს შემოღება შეიძლება საომარ პირობებში და მხოლოდ საერთო სასამართლოს სისტემაში.

4. საგანგებო ან სპეციალური სასამართლოების შექმნა დაუშვებელია.

საქართველოს 2006 წლის 27 დეკემბრის კონსტიტუციური კანონი №4133-სსმ, №3, 11.01.2007წ., მუხ.44

მუხლი 84

1. მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს. რაიმე ზემოქმედება მოსამართლეზე, ან ჩარევა მის საქმიანობაში გადანწყვეტილების მიღებაზე ზეგავლენის მიზნით აკრძალულია და ისჯება კანონით.

2. მოსამართლის ჩამოცილება საქმის განხილვისაგან, თანამდებობიდან მისი ვადამდე გათავისუფლება ან სხვა თანამდებობაზე გადაყვანა დაიშვება მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში.

3. არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე.

4. ბათილია ყველა აქტი, რომელიც ზღუდავს მოსამართლის დამოუკიდებლობას.

5. სასამართლოს გადანწყვეტილების გაუქმება, შეცვლა ან შეჩერება შეუძლია მხოლოდ სასამართლოს კანონით განსაზღვრული წესით.

მუხლი 85

1. სასამართლოში საქმე განიხილება ღია სხდომაზე. დახურულ სხდომაზე საქმის განხილვა დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. სასამართლოს გადანწყვეტილება ცხადდება საქვეყნოდ.

2. სამართალწარმოება ხორციელდება სახელმწიფო ენაზე. პირს, რომელმაც სახელმწიფო ენა არ იცის, მიეჩინება თარჯიმანი. იმ რაიონებში, სადაც მოსახლეობა არ ფლობს სახელმწიფო ენას, უზრუნველყოფილია სახელმწიფო ენის შესწავლისა და სამართალწარმოებასთან დაკავშირებული საკითხების გადანწყვეტა.

3. სამართალწარმოება ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე.

მუხლი 86

1. მოსამართლე შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე 30 წლის ასაკიდან, თუ მას აქვს შესაბამისი უმაღლესი იურიდიული

განათლება და სპეციალობით მუშაობის სულ ცოტა 5 წლის გამოცდილება.

2. მოსამართლე თანამდებობაზე განწესდება უვალოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე. მოსამართლის უვალოდ განწესებამდე კანონით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს მოსამართლის განწესება განსაზღვრული ვადით, მაგრამ არა უმეტეს 3 წლისა. მოსამართლეთა შერჩევის, დანიშვნისა და თანამდებობიდან გათავისუფლების წესი განისაზღვრება კონსტიტუციითა და ორგანული კანონით.

3. მოსამართლის თანამდებობა შეუთავსებელია ნებისმიერ სხვა თანამდებობასთან და ანაზღაურებად საქმიანობასთან, გარდა პედაგოგიური და სამეცნიერო მოღვაწეობისა. მოსამართლე არ შეიძლება იყოს პოლიტიკური პარტიის წევრი, მონაწილეობდეს პოლიტიკურ საქმიანობაში.

საქართველოს 2005 წლის 27 დეკემბრის კონსტიტუციური კანონი №2496-სსმ, №1, 04.01.2006წ., მუხ.2

საქართველოს 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი, №3710-სსმ, №62, 05.11.2010წ., მუხ.379

მუხლი 86¹

1. მოსამართლეთა თანამდებობაზე დანიშვნის, მოსამართლეთა თანამდებობიდან გათავისუფლების და სხვა ამოცანების შესრულების მიზნით იქმნება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

2. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობის ნახევარზე მეტს შეადგენენ საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა თვითმმართველობის ორგანოს მიერ არჩეული წევრები. საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარეობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე.

3. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილება და შექმნის წესი განისაზღვრება ორგანული კანონით.

საქართველოს 2006 წლის 27 დეკემბრის კონსტიტუციური კანონი №4133-სსმ, №3, 11.01.2007წ., მუხ.44

მუხლი 87

1. მოსამართლე ხელშეუხებელია. დაუშვებელია მისი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, დაკავება ან დაპატიმრე-

ბა, მისი ბინის, მანქანის, სამუშაო ადგილის ან პირადი გაჩხრეკა საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანხმობის გარეშე. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს. თუ იგი არ მისცემს თანხმობას, დაკავებული ან დაპატიმრებული მოსამართლე დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.

2. სახელმწიფო უზრუნველყოფს მოსამართლის და მისი ოჯახის უსაფრთხოებას.

მუხლი 88

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო სასამართლო ხელისუფლებას ახორციელებს საკონსტიტუციო სამართალწარმოების ნესით.

2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო შედგება 9 მოსამართლისაგან — საკონსტიტუციო სასამართლოს წევრებისაგან. სასამართლოს 3 წევრს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი, 3 წევრს ირჩევს პარლამენტი სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტით, 3 წევრს ნიშნავს უზენაესი სასამართლო. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა უფლებამოსილების ვადაა 10 წელი. საკონსტიტუციო სასამართლო თავისი შემადგენლობიდან 5 წლის ვადით ირჩევს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს.

3. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი არ შეიძლება იყოს პირი, რომელსაც ადრე ეკავა ეს თანამდებობა.

4. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე 30 წლის ასაკიდან, თუ მას აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების შერჩევის, დანიშვნისა და არჩევის, მათი უფლებამოსილების შეწყვეტის, აგრეთვე საკონსტიტუციო სამართალწარმოების და სასამართლოს საქმიანობის სხვა საკითხები განისაზღვრება კანონით.

5. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი ხელშეუხებელია. დაუშვებელია მისი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, დაკავება ან დაპატიმრება, მისი ბინის, მანქანის, სამუშაო ადგილის ან პირადი გაჩხრეკა საკონსტიტუციო სასამართლოს თანხმობის

გარეშე. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს საკონსტიტუციო სასამართლოს. თუ იგი არ მისცემს თანხმობას, საკონსტიტუციო სასამართლოს დაკავებული ან დაპატიმრებული წევრი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.

საქართველოს 2005 წლის 27 დეკემბრის კონსტიტუციური კანონი №2496-სსმ, №1, 04.01.2006წ., მუხ.2

საქართველოს 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი, №3710-სსმ, №62, 05.11.2010წ., მუხ.379

მუხლი 89

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო საქართველოს პრეზიდენტის, მთავრობის, პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედის, სასამართლოს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების, თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანოს — საკრებულოს, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, სახალხო დამცველის და მოქალაქის სარჩელისა თუ წარდგინების საფუძველზე ორგანული კანონით დადგენილი წესით:

ა) იღებს გადაწყვეტილებებს კონსტიტუციასთან, კონსტიტუციური შეთანხმების, კანონის, პრეზიდენტის, მთავრობის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა ნორმატიული აქტების შესაბამისობის საკითხებზე;

ბ) იხილავს დავას სახელმწიფო ორგანოებს შორის კომპეტენციის შესახებ;

გ) იხილავს მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებათა შექმნისა და საქმიანობის კონსტიტუციურობის საკითხებს;

დ) იხილავს რეფერენდუმისა და არჩევნების მომწესრიგებელი ნორმების და ამ ნორმების საფუძველზე ჩატარებული ან ჩასატარებელი არჩევნების (რეფერენდუმის) კონსტიტუციურობასთან დაკავშირებულ დავას;

ე) იხილავს საერთაშორისო ხელშეკრულებების და შეთანხმებების კონსტიტუციურობის საკითხს;

ვ) პირის სარჩელის საფუძველზე იხილავს ნორმატიული

აქტების კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებული ადამიანის ძირითად უფლებებთან და თავისუფლებებთან მიმართებით;

ვ¹) იხილავს დავას „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის დარღვევის თაობაზე;

ვ²) თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანოს — საკრებულოს სარჩელის საფუძველზე იხილავს ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის საკითხს კონსტიტუციის მეშვიდე¹ თავთან მიმართებით;

ვ³) იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინების საფუძველზე იხილავს ნორმატიული აქტების შესაბამისობას კონსტიტუციის 82-ე, 84-ე, 86-ე, 86¹, 87-ე და 90-ე მუხლებთან;

ზ) ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციით და ორგანული კანონით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

2. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა. არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი კარგავს იურიდიულ ძალას საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან.

საქართველოს 2000 წლის 20 აპრილის კონსტიტუციური კანონი №260-სსმ, №15, 25.04.2000წ., მუხ.36

საქართველოს 2001 წლის 30 მარტის კონსტიტუციური კანონი №826-სსმ, №9, 10.04.2001წ., მუხ.33

საქართველოს 2002 წლის 10 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი №1689-სსმ, №28, 28.10.2002წ., მუხ.128

საქართველოს 2004 წლის 6 თებერვლის კონსტიტუციური კანონი №3272-სსმ, №2, 07.02.2004წ., მუხ.5

საქართველოს 2004 წლის 1 ივლისის კონსტიტუციური კანონი №306-სსმ, №16, 04.07.2004წ., მუხ.54

საქართველოს 2005 წლის 27 დეკემბრის კონსტიტუციური კანონი №2496-სსმ, №1, 04.01.2006წ., მუხ.2

საქართველოს 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი, №3710-სსმ, №62, 05.11.2010წ., მუხ.379

მუხლი 90

1. საქართველოს უზენაესი სასამართლო არის საკასაციო სასამართლო.

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს და უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით სიითი შემადგენლობის უმრავლესო-

ბით ირჩევს პარლამენტი არანაკლებ 10 წლის ვადით.

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს უფლებამოსილება, ორგანიზაცია, საქმიანობისა და უზენაესი სასამართლოს წევრთა უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის წესი განისაზღვრება ორგანული კანონით.

4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე და წევრები ხელშეუხებელი არიან. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის და წევრების სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, დაკავება ან დაპატიმრება, მათი ბინის, მანქანის, სამუშაო ადგილის ან პირადი გაჩხრეკა შეიძლება მხოლოდ პარლამენტის თანხმობით. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პარლამენტს. თუ პარლამენტი არ მისცემს თანხმობას, დაკავებული ან დაპატიმრებული პირი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.

საქართველოს 2005 წლის 27 დეკემბრის კონსტიტუციური კანონი №2496-სსმ, №1, 04.01.2006წ., მუხ.2

საქართველოს 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი, №3710-სსმ, №62, 05.11.2010წ., მუხ.379

მუხლი 91. (ამოღებულია)

საქართველოს 2004 წლის 6 თებერვლის კონსტიტუციური კანონი №3272-სსმ, №2, 07.02.2004წ., მუხ.5

თავი მეექვსე.

სახელმწიფო ფინანსები და კონტროლი

მუხლი 92

1. საქართველოს პარლამენტი სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ყოველწლიურად იღებს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონს, რომელსაც ხელს აწერს საქართველოს პრეზიდენტი.

2. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენისა და მიღების წესი განისაზღვრება კანონით.

მუხლი 93

1. მხოლოდ საქართველოს მთავრობაა უფლებამოსილი, პარლამენტის კომიტეტებთან ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების განხილვის შემდეგ პარლამენტს წარუდგინოს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი.

2. მთავრობა მომავალი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს პარლამენტს წარუდგენს საბიუჯეტო წლის დასრულებამდე არა უგვიანეს სამი თვისა. სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტთან ერთად მთავრობა წარადგენს მოხსენებას მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ. სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს მთავრობა პარლამენტს დასამტკიცებლად წარუდგენს საბიუჯეტო წლის დასრულებიდან არა უგვიანეს 5 თვისა.

3. მთავრობის თანხმობის გარეშე დაუშვებელია სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში ცვლილების შეტანა. მთავრობას შეუძლია მოსთხოვოს პარლამენტს დამატებითი სახელმწიფო ხარჯის გაღება, თუ მიუთითებს მისი დაფარვის წყაროს.

4. თუ პარლამენტი ვერ მოახერხებს წარდგენილი სახელმწიფო ბიუჯეტის მიღებას 3 თვის განმავლობაში, ხარჯები დაიფარება წინა წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მიხედვით.

4¹. თუ პარლამენტი ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებიდან 2 თვის განმავლობაში ვერ მოახერხებს სახელმწიფო ბიუჯეტის მიღებას, ეს ჩაითვლება უნდობლობის გამოცხადების საკითხის აღძვრად და გაგრძელდება კონსტიტუციის 81-ე მუხლის მე-2—

მე-5 პუნქტებით გათვალისწინებული პროცედურები. თუ პარლამენტი იმავე მუხლის მე-2—მე-4 პუნქტებით დადგენილ ვადაში უნდობლობას ვერ გამოუცხადებს მთავრობას, პრეზიდენტი ამ ვადის ამონურვიდან 3 დღეში დაითხოვს პარლამენტს და დანიშნავს რიგგარეშე არჩევნებს.

5. კანონპროექტი, რომელიც იწვევს მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების ზრდას, შემოსავლების შემცირებას ან სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას, პარლამენტმა შეიძლება მიიღოს მხოლოდ მთავრობის თანხმობის შემდეგ, ხოლო მომავალ საფინანსო წელთან დაკავშირებული კანონპროექტი — მთავრობის თანხმობით ან მთავრობის მიერ პარლამენტში წარდგენილი ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის ფარგლებში.

6. საჯარო სახსრების ხარჯვას პარლამენტი აკონტროლებს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მეშვეობით.

7. ხანგრძლივი, სტაბილური ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად ეკონომიკური პოლიტიკის ფუძემდებლური პრინციპები დგინდება ორგანული კანონით. მაკროეკონომიკური პარამეტრების დადგენილი ზღვრების დარღვევისა და განსაკუთრებული აუცილებლობის დროს ზღვრებისაგან გადაცდენის შემთხვევები, ასევე პარამეტრების ზღვრებთან დაბრუნების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებები განისაზღვრება ორგანული კანონით.

საქართველოს 2004 წლის 6 თებერვლის კონსტიტუციური კანონი №3272-სსმ, №2, 07.02.2004წ., მუხ.5

საქართველოს 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი, №3710-სსმ, №62, 05.11.2010წ., მუხ.379

საქართველოს 2010 წლის 15 დეკემბრის კონსტიტუციური კანონი №4033 — ვებგვერდი, 03.01.2011წ.

საქართველოს 2012 წლის 22 მაისის კონსტიტუციური კანონი №6240 - ვებგვერდი, 29.05.2012წ.

საქართველოს 2013 წლის 4 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი №1456 - ვებგვერდი, 16.10.2013წ.

მუხლი 94

1. სავალდებულოა გადასახადებისა და მოსაკრებლების გადახდა კანონით დადგენილი ოდენობითა და წესით.

2. გადასახადებისა და მოსაკრებლების სტრუქტურას, შემოღების წესს ადგენს მხოლოდ კანონი.

3. გადასახადებისაგან განთავისუფლება დასაშვებია მხოლოდ კანონით.

4. საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადის ახალი სახის შემოღება, გარდა აქციზისა, ან საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადის სახის მიხედვით არსებული განაკვეთის ზედა ზღვრის გაზრდა შესაძლებელია მხოლოდ რეფერენდუმის გზით, გარდა ორგანული კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა. რეფერენდუმის დანიშვნის ინიციატივების უფლება აქვს მხოლოდ საქართველოს მთავრობას.

5. საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადის ახალი სახის შემოღებად ან ზღვრული განაკვეთის გაზრდად არ ჩაითვლება გადასახადის შემოღება ან ცვლილება, რომელიც არსებული გადასახადის ალტერნატივა ან ანაცვლებს მას და ამავე დროს არ ზრდის საგადასახადო ტვირთს. საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადის ახალი სახის შემოღებად ან ზღვრული განაკვეთის გაზრდად არ ჩაითვლება აგრეთვე გადასახადის სახის მიხედვით არსებული ზღვრული განაკვეთის ფარგლებში გადასახადის განაკვეთის ცვლილება.

საქართველოს 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი, №3710-სსმ, №62, 05.11.2010წ., მუხ.379

საქართველოს 2010 წლის 15 დეკემბრის კონსტიტუციური კანონი №4033 — ვებ-გვერდი, 03.01.2011წ.

მუხლი 95

1. საქართველოს ეროვნული ბანკი წარმართავს ქვეყნის მონეტარულ პოლიტიკას ფასების სტაბილურობის უზრუნველსაყოფად და ხელს უწყობს ფინანსური სექტორის სტაბილურ ფუნქციონირებას.

2. (ამოღებულია - 15.10.2010, №3710).

3. ეროვნული ბანკი არის ბანკთა ბანკი, საქართველოს მთავრობის ბანკირი და ფისკალური აგენტი.

4. ეროვნული ბანკი დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში. ეროვნული ბანკის უფლება - მოვალეობა, საქმიანობის წესი და დამოუკიდებლობის გარანტია განისაზღვრება ორგანული კანონით.

5. ფულის სახელწოდება და ერთეული განისაზღვრება კანონით. ფულის ემისიის უფლება აქვს მხოლოდ ეროვნულ ბანკს.

საქართველოს 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი, №3710-სსმ, №62, 05.11.2010წ., მუხ.379

მუხლი 96

1. საქართველოს ეროვნული ბანკის უმაღლესი ორგანოა ეროვნული ბანკის საბჭო, რომლის წევრებს საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით 7 წლის ვადით სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს პარლამენტი. ეროვნული ბანკის საბჭოს წევრების გადაყენება შეიძლება მხოლოდ პარლამენტის გადაწყვეტილებით 64- ე მუხლის შესაბამისად.

2. ეროვნული ბანკის პრეზიდენტს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრთაგან თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი.

3. ეროვნული ბანკი ანგარიშვალდებულია პარლამენტის წინაშე და ყოველწლიურად წარუდგენს მას თავისი საქმიანობის ანგარიშს.

საქართველოს 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი, №3710-სსმ, №62, 05.11.2010წ., მუხ.379

მუხლი 97

1. საჯარო სახსრებისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა გამოყენებასა და ხარჯვას ზედამხედველობს სახელმწიფო აუდიტის სამსახური. იგი უფლებამოსილია აგრეთვე შეამოწმოს საფინანსო-სამეურნეო კონტროლის სხვა სახელმწიფო ორგანოთა საქმიანობა, წარუდგინოს პარლამენტს საგადასახადო კანონმდებლობის სრულყოფის წინადადებები.

2. სახელმწიფო აუდიტის სამსახური დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში. იგი ანგარიშვალდებულია საქართველოს პარლამენტის წინაშე. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალურ აუდიტორს 5 წლის ვადით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, პარლამენტის თავმჯდომარის წარდგინებით ირჩევს საქართველოს პარლამენტი. მისი თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძვლები და წესი განისაზღვრება კონსტიტუციითა და კანონით.

3. წელიწადში ორჯერ, ბიუჯეტის შესრულების წინასწარი ანგარიშისა და სრული ანგარიშის წარდგენის დროს, სახელმწიფო აუდიტის სამსახური პარლამენტს წარუდგენს მოხსენებას მთავრობის ანგარიშთან დაკავშირებით, ხოლო წელიწადში ერთხელ – თავისი საქმიანობის ანგარიშს.

4. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის უფლებამოსილება, ორგანიზაცია და საქმიანობის წესი, დამოუკიდებლობის გარანტია განისაზღვრება კანონით.

5. სახელმწიფო კონტროლის სხვა ორგანოები იქმნება კანონის შესაბამისად.

საქართველოს 2004 წლის 6 თებერვლის კონსტიტუციური კანონი №3272-სსმ, №2, 07.02.2004წ., მუხ.5

საქართველოს 2012 წლის 22 მაისის კონსტიტუციური კანონი №6239 - ვებგვერდი, 29.05.2012წ.

თავი მეშვიდე.

სახელმწიფოს თავდაცვა

მუხლი 98

1. თავდაცვითი ომი საქართველოს სუვერენული უფლებაა.
2. ქვეყნის დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად, აგრეთვე საერთაშორისო ვალდებულებათა შესასრულებლად, საქართველოს ჰყავს სამხედრო ძალები.
3. სამხედრო ძალების სახეობები და შემადგენლობა განისაზღვრება კანონით. სამხედრო ძალების სტრუქტურას ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი, რაოდენობას კი ეროვნული უშიშროების საბჭოს წარდგინებით — პარლამენტი სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.

მუხლი 99

1. სამხედრო აღმშენებლობისა და ქვეყნის თავდაცვის ორგანიზაციისათვის იქმნება ეროვნული უშიშროების საბჭო, რომელსაც ხელმძღვანელობს საქართველოს პრეზიდენტი.
2. ეროვნული უშიშროების საბჭოს შემადგენლობა, უფლებამოსილება და საქმიანობის წესი განისაზღვრება ორგანული კანონით.

მუხლი 100

1. სამხედრო ძალების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს პრეზიდენტი და 48 საათის განმავლობაში შეაქვს იგი პარლამენტში დასამტკიცებლად. ამასთან, საერთაშორისო ვალდებულებათა შესასრულებლად სამხედრო ძალთა გამოყენება დაუშვებელია საქართველოს პარლამენტის თანხმობის გარეშე.
2. სახელმწიფოს თავდაცვის მიზნით განსაკუთრებულ და კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ქვეყანაში სხვა სახელმწიფოს სამხედრო ძალის შემოყვანის, გამოყენებისა და გადაადგ-

ილების გადანყვეტილებას იღებს საქართველოს პრეზიდენტი. გადანყვეტილება დაუყოვნებლივ წარედგინება პარლამენტს დასამტკიცებლად და ძალაში შედის პარლამენტის თანხმობის შემდეგ.

საქართველოს 2004 წლის 6 თებერვლის კონსტიტუციური კანონი №3272-სსმ, №2, 07.02.2004წ., მუხ.5

მუხლი 101

1. საქართველოს დაცვა საქართველოს ყოველი მოქალაქის მოვალეობაა.
2. ქვეყნის დაცვა და სამხედრო ვალდებულების მოხდა საამისო უნარის მქონე ყველა მოქალაქის ვალია. სამხედრო ვალდებულების მოხდის ფორმას ადგენს კანონი.

თავი მეშვიდე¹.

ადგილობრივი თვითმმართველობა

საქართველოს 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი, №3710-სსმ, №62, 05.11.2010წ., მუხ.379

მუხლი 101¹

1. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების შექმნისა და საქმიანობის წესი განისაზღვრება ორგანული კანონით. ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოები ანგარიშვალდებული არიან ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების წინაშე.

2. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოს — საკრებულოს ირჩევენ თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეები პირდაპირი, საყოველთაო, თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით.

3. თვითმმართველი ერთეულის შექმნისა და გაუქმების, აგრეთვე მისი ადმინისტრაციული საზღვრების გადასინჯვის წესი განისაზღვრება ორგანული კანონით. თვითმმართველი ერთეულის გაუქმებას ან მისი ადმინისტრაციული საზღვრების გადასინჯვას უნდა უსწრებდეს თვითმმართველ ერთეულთან კონსულტაციები.

საქართველოს 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი, №3710-სსმ, №62, 05.11.2010წ., მუხ.379

მუხლი 101²

1. ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებები გამიჯნულია სახელმწიფო ორგანოთა უფლებამოსილებებისაგან. თვითმმართველ ერთეულს აქვს საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებანი. ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებათა განსაზღვრის ძირითადი პრინციპები და უფლებამოსილებანი დგინდება ორგანული კანონით.

2. თვითმმართველი ერთეული საკუთარ უფლებამოსილე-

ბებს ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობით. ორგანული კანონით განსაზღვრული საკუთარი უფლებამოსილებანი ექსკლუზიურია.

3. თვითმმართველი ერთეული უფლებამოსილია თავისი ინიციატივით გადაწყვიტოს ნებისმიერი საკითხი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით არ არის ხელისუფლების სხვა ორგანოს უფლებამოსილება და აკრძალული არ არის კანონით.

4. სახელმწიფო ორგანოების მიერ თვითმმართველი ერთეულისათვის უფლებამოსილებათა დელეგირება დასაშვებია საკანონმდებლო აქტების, აგრეთვე ხელშეკრულებების საფუძველზე, მხოლოდ შესაბამისი მატერიალური და ფინანსური რესურსების გადაცემით, რომელთა ოდენობის გაანგარიშების წესი განისაზღვრება კანონით.

საქართველოს 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი, №3710-სსმ, №62, 05.11.2010წ., მუხ.379

მუხლი 101³

1. ადგილობრივ თვითმმართველობას აქვს საკუთარი ქონება და ფინანსები.

2. თვითმმართველი ერთეულის ორგანოების მიერ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებების შესრულება სავალდებულოა თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე.

3. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობა ხორციელდება კანონით დადგენილი წესით. სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელების მიზანია ადგილობრივი თვითმმართველობის ნორმატიული აქტების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველყოფა და დელეგირებული უფლებამოსილებების ჯეროვანი განხორციელება. სახელმწიფო ზედამხედველობა ხორციელდება მისი მიზნების პროპორციულად.

საქართველოს 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი, №3710-სსმ, №62, 05.11.2010წ., მუხ.379

თავი მერვე.

კონსტიტუციის გადასინჯვა

მუხლი 102

1. კონსტიტუციის ზოგადი ან ნაწილობრივი გადასინჯვის კანონპროექტის შეტანის უფლება აქვთ:

ა) (ამოღებულია - 15.10.2010, №3710);

ბ) პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტს;

გ) არანაკლებ 200000 ამომრჩეველს.

2. კონსტიტუციის გადასინჯვის კანონპროექტი წარედგინება საქართველოს პარლამენტს, რომელიც აქვეყნებს მას საყოველთაო - სახალხო განხილვისათვის. პარლამენტში კანონპროექტის განხილვა იწყება მისი გამოქვეყნებიდან ერთი თვის შემდეგ.

3. კონსტიტუციის გადასინჯვის კანონპროექტი მიღებულად ჩაითვლება, თუ მას საქართველოს პარლამენტის ორ თანამიმდევრულ სესიაზე სულ ცოტა სამი თვის ინტერვალით მხარს დაუჭერს საქართველოს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ სამი მეოთხედი.

4. კონსტიტუციის 68- ე მუხლით გათვალისწინებული წესით კონსტიტუციის გადასინჯვის კანონს ხელს აწერს და აქვეყნებს საქართველოს პრეზიდენტი.

საქართველოს 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი, №3710-სსმ, №62, 05.11.2010წ., მუხ.379

საქართველოს 2011 წლის 27 დეკემბრის კონსტიტუციური კანონი №5630 - ვებგვერდი, 09.01.2012წ.

საქართველოს 2013 წლის 4 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი №1456 - ვებგვერდი, 16.10.2013წ.

მუხლი 103

საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გამოცხადება გამოიწვევს კონსტიტუციის გადასინჯვის შეჩერებას საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გაუქმებამდე.

თავი მეცხრა.

გარდასავალი დებულებები

მუხლი 104

1. საქართველოს კონსტიტუცია ძალაში შედის საქართველოს ახალარჩეული პრეზიდენტისა და პარლამენტის უფლებამოსილების ცნობის დღიდან.

2. კონსტიტუციის 49-ე, 50-ე და 70-ე მუხლები ძალაში შედის კონსტიტუციის გამოქვეყნებისთანავე.

მუხლი 104¹

1. კონსტიტუციის 49-ე მუხლის პირველი პუნქტი და 58-ე მუხლის პირველი პუნქტი ამოქმედდეს საქართველოს ორგანულ კანონში „ საქართველოს საარჩევნო კოდექსი “ შესაბამისი ცვლილებებისა და დამატებების შეტანისთანავე.

2. 2004 წელს არჩეული საქართველოს პარლამენტის უფლებამოსილების შეწყვეტამდე მისი შემადგენლობა, აგრეთვე ფრაქციის ჩამოყალიბებისათვის აუცილებელი პარლამენტის წევრთა რაოდენობა განისაზღვრება ამ პარლამენტის არჩევნების დროს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3. 2008 წელს საქართველოს პარლამენტის მორიგი არჩევნები ტარდება მაისში. არჩევნების თარიღს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი არჩევნებამდე არა უგვიანეს 60 დღისა.

საქართველოს 2005 წლის 23 თებერვლის კონსტიტუციური კანონი №1010-სსმ, №8, 10.03.2005წ., მუხ.57

საქართველოს 2006 წლის 27 დეკემბრის კონსტიტუციური კანონი №4133-სსმ, №3, 11.01.2007წ., მუხ.44

საქართველოს 2008 წლის 11 მარტის კონსტიტუციური კანონი №5833-სსმ, №3, 13.03.2008წ., მუხ.7

მუხლი 104²

საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილება აღუდგეთ 2008 წლის 21 მაისის საპარლამენტო არჩევნებში პროპორციული საარჩევნო სისტემით არჩეულ იმ პარლამენტის წევრებს, რომელთაც საქართველოს პარლამენტის დადგენილებით უფლე-

ბამოსილება ვადამდე შეუწყდათ საქართველოს კონსტიტუციის 54-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, თუ მათი ადგილმონაცვლებების უფლებამოსილება არ არის ცნობილი, და რომლებიც აღნიშნულზე თანხმობას განაცხადებენ 2010 წლის 1 იანვრამდე.

საქართველოს 2009 წლის 24 სექტემბრის კონსტიტუციური კანონი №1675-სსმ, №29, 12.10.2009წ., მუხ.158

მუხლი 104³

1. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების რიგგარეშე არჩევნები ჩატარდეს არა უგვიანეს 2010 წლის 1 ივნისისა.

2. ქალაქ თბილისის მერის არჩევნები ჩატარდეს საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ვადაში.

3. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული არჩევნების თარიღს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი არჩევნებამდე არა უგვიანეს 60 დღისა.

4. ამ მუხლის ამოქმედებიდან 1 თვის ვადაში საქართველოს პარლამენტი უზრუნველყოფს საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტების ამ მუხლთან შესაბამისობას.

საქართველოს 2010 წლის 12 თებერვლის კონსტიტუციური კანონი, №2565-სსმ, №6, 22.02.2010წ., მუხ.20

მუხლი 104⁴

1. 2014 წლის 1 იანვრამდე საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის და ხმის მიცემის უფლება საქართველოს მოქალაქეებთან ერთად შესაბამისი ასაკიდან აქვთ პირებს, რომლებიც დაბადებული არიან და ბოლო 5 წლის განმავლობაში მუდმივად ცხოვრობენ საქართველოში და ამ მუხლის ამოქმედების მომენტისთვის აქვთ ევროკავშირის ნევრი სახელმწიფოს მოქალაქეობა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაზე არ ვრცელდება კონსტიტუციის 29-ე მუხლის 11 პუნქტით დადგენილი შეზღუდვები.

საქართველოს 2012 წლის 22 მაისის კონსტიტუციური კანონი №6238 - ვებგვერდი, 29.05.2012წ.

მუხლი 105

1. 1995 წლის არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებულ მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებას, რომლის ინიციატივა დადასტურებულია 50000 ხელმოწერით მაინც, ან რომელსაც ჰყავდა წარმომადგენელი პარლამენტში კონსტიტუციის მიღების დღისათვის.

2. პროპორციული სისტემით არჩევნები ტარდება ერთიანი პარტიული სიით.

3. პოლიტიკურ გაერთიანებას, საარჩევნო ბლოკს უფლება აქვს მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში წარადგინოს დეპუტატობის ის კანდიდატიც, რომელიც იმავდროულად მის პარტიულ სი-აშია.

4. მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც ხმათა მეტ რაოდენობას მიიღებს, მაგრამ კენჭისყრის მონაწილეთა არანაკლებ ერთი მესამედისა.

5. პირველ ტურში თუ ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო ხმათა საჭირო რაოდენობა, ჩატარდება მეორე ტური, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს უკეთესი შედეგის მქონე ორი კანდიდატი. არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც ხმათა მეტ რაოდენობას მიიღებს.

6. ეს მუხლი ძალაში შედის კონსტიტუციის გამოქვეყნებისთანავე და მოქმედებს ახალარჩეული პარლამენტის უფლებამოსილების ცნობამდე.

მუხლი 106

1. კონსტიტუციის ძალაში შესვლის შემდეგ მოქმედებს მხოლოდ ის სამართლებრივი აქტი ან აქტის ნაწილი, რომელიც კონსტიტუციას არ ეწინააღმდეგება.

2. კონსტიტუციის ძალაში შესვლიდან ორი წლის განმავლობაში საქართველოს პრეზიდენტი და საქართველოს პარლამენტი უზრუნველყოფენ კონსტიტუციის ძალაში შესვლამდე მიღებული ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეგისტრაციას, კონსტიტუციასთან და კანონებთან მათ შესაბამისობას.

3. კონსტიტუციის ძალაში შესვლიდან ორი წლის განმავლობაში საქართველოს პარლამენტმა უნდა მიიღოს კონსტიტუციით

გათვალისწინებული ორგანული კანონები, ან დაადასტუროს ამ სფეროში არსებული ნორმატიული აქტების მართლზომიერება.

მუხლი 107

1. კონსტიტუციის შესაბამისად სასამართლო წყობილების ორგანული კანონების მიღებამდე ძალაში რჩება სასამართლო წყობილების მოქმედი კანონმდებლობა.

2. კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები ძალაში შევა შესაბამისი სისხლის სამართლის საპროცესო საკანონმდებლო აქტების მიღების შემდეგ.

3. საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ ორგანული კანონი მიღებულ უნდა იქნეს 1996 წლის 1 თებერვლამდე.

მუხლი 108

საქართველოს მთელ ტერიტორიაზე იურისდიქციის სრულ აღდგენასთან დაკავშირებით კონსტიტუციის 102-ე მუხლის მე-2 პუნქტში სათანადო ცვლილებებისა თუ დამატებების შეტანა გამონაკლისის წესით დასაშვებია კონსტიტუციის გადასინჯვის კანონპროექტის საყოველთაო - სახალხო განხილვისათვის გამოქვეყნების გარეშე.

მუხლი 109

1. შესაბამისი წესით მიღებულ კონსტიტუციას ხელს აწერს და აქვეყნებს საქართველოს სახელმწიფოს მეთაური.

2. საქართველოს პარლამენტისა და საკონსტიტუციო კომისიის წევრები ხელს აწერენ კონსტიტუციის ტექსტს. კონსტიტუციის ძალაში შესვლიდან სულ ცოტა ერთი წლის განმავლობაში ტექსტი ღიად უნდა ინახებოდეს საქართველოს ყველა ადგილობრივი ორგანოს შენობაში, რათა მოსახლეობა გაეცნოს მის შინაარსს.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე.
თბილისი,

1995 წლის 24 აგვისტო.

№786- რს

**კონსტიტუციური შეთანხმება საქართველოს სახელმწიფოსა
და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ
მართლმადიდებელ ეკლესიას შორის**

საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმება, ასევე ცნობილია, როგორც კონკორდატი – საქართველოს შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული ხელშეკრულებაა, რომელიც დადებულია საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის, 2002 წელს. სახელმწიფოს მხრიდან კონსტიტუციურ შეთანხმებას ხელს აწერს საქართველოს პრეზიდენტი და ამტკიცებს საქართველოს პარლამენტი.

მუხლი 1

1. სახელმწიფო და ეკლესია ადასტურებენ მზადყოფნას, ითანამშრომლონ ურთიერთდამოუკიდებლობის პრინციპის დაცვით, ქვეყნის მოსახლეობის საკეთილდღეოდ.

2. სახელმწიფო და ეკლესია უფლებამოსილი არიან დადონ შეთანხმებები ერთობლივი ინტერესების სხვადასხვა სფეროში, რომელთა განხორციელების მიზნითაც მხარეთა მიერ მიიღება შესაბამისი აქტები.

3. ეკლესია წარმოადგენს ისტორიულად ჩამოყალიბებულ საჯარო სამართლის სუბიექტს, - სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სრულუფლებიან საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს საეკლესიო (კანონიკური) სამართლის ნორმებით, საქართველოს კონსტიტუციის, ამ შეთანხმებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

4. ეკლესიას სპეციალური უფლებამოსილების გარეშე წარმოადგენენ: საეკლესიო კრება, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, წმიდა სინოდი და საქართველოს საპატრიარქო (ქორეპისკოპოსისა და მდივნის სახით), ხოლო სამართლებრივ ურთიერთობებში უფლებამოსილებას ანიჭებს კათოლიკოს-პატრიარქი.

5. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ხელშეუვალაია.

6. როგორც წესი, დიდი საეკლესიო დღესასწაულები და კვირა დასვენების დღეებად ცხადდება.

მუხლი 2

სახელმწიფო მხარს უჭერს აღსარებისა და საეკლესიო საიდუმლოს დაცვას. სასულიერო პირი ვალდებულია არ გასცეს ინფორმაცია, რომელიც მას, როგორც სულიერ მოძღვარს, გაანდეს ან მისთვის, როგორც სასულიერო პირისათვის, გახდა ცნობილი.

მუხლი 3

სახელმწიფო აღიარებს ეკლესიის მიერ შესრულებულ ჯვრისწერას კანონმდებლობით დადგენილი წესით. სამართლებრივ ურთიერთობებში გამოიყენება ქორწინების სახელმწიფო რეგისტრაციის მონაცემები.

მუხლი 4

1. სასულიერო პირი თავისუფლდება სამხედრო ვალდებულები-საგან.

2. სახელმწიფო ეკლესიასთან შეთხმემით უზრუნველყოფს სამხედრო-საჯარისო ფორმირებებში, საპატიმროებსა და თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მოძღვრის ინსტიტუტის შექმნას და ამასთან დაკავშირებით შესაბამისი სამართლებრივი აქტების მიღებას.

3. სახელმწიფო და ეკლესია უფლებამოსილნი არიან განახორციელონ მოსახელობის სოციალური დაცვის ერთობლივი პროგრამები.

მუხლი 5

1. საგანმანათლებლო დაწესებულებებში მართლმადიდებელი სარწმუნოების შესახებ საგნის სწავლა ნებაყოფილობითია. სასწავლო პროგრამების დადგენა, შეცვლა, პედაგოგთა დანიშვნა და გათავისუფლება ხდება ეკლესიის წარდგინებით.

2. სახელმწიფო და ეკლესია კანონმდებლობით განსაზღვრული წესით ორმხრივად და გათანაბრებულად აღიარებენ შესაბამისი სასწავლო დაწესებულებების მიერ გაცემულ განათლების დამადასტურებელ დოკუმენტებს, სამეცნიერო ხარისხებსა და ნოდებებს.

3. სახელმწიფო და ეკლესია უფლებამოსილი არიან განათლების სისტემაში განახორციელონ ერთობლივი პროგრამები. სახელმწიფო ხელს უწყობს ეკლესიის საგანმანათლებლო დაწესებულებების ფუნქციონირებას.

მუხლი 6

1. ეკლესიის საკუთრება და სხვა ქონებრივი უფლებები დაცულია კანონით. ეკლესიის საკუთრებაში შეიძლება იყოს ნებისმიერი ქონება, რომელიც არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით.

2. ეკლესია თავის არასაღვთისმსახურო ქონების ფლობას, სარგებლობასა და განკარგვას ახორციელებს საეკლესიო სამართლებრივი ნორმებითა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

3. ეკლესია უშუალოდ არ ახორციელებს სამეწარმეო საქმიანობას.

4. ეკლესიის დაფინანსების წყაროს წარმოადგენს: ნებაყოფილობითი შემოწირულობანი, სამეწარმეო შემოსავლები, ინვესტიციები, გრანტები, დახმარებები, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მიღებული სხვა შემოსავლები.

5. ეკლესიის მიერ წარმოებული საღვთისმსახურო პროდუქცია - მისი დამზადება, შემოტანა, მიწოდება და შემოწირულობა, ასევე არაეკონომიკური მიზნით არსებული ქონება და მიწა გათავისუფლებულია გადასახადებისაგან.

6. სახელმწიფო ეკლესიასთან შეთანხმებით იძლევა ნებართვას ან ლიცენზიას ეკლესიის ოფიციალური ტერმინოლოგიისა და სიმბოლიკის გამოყენებაზე, აგრეთვე, საღვთისმსახურო პროდუქციის დამზადებაზე, შემოტანასა და მიწოდებაზე.

მუხლი 7

1. სახელმწიფო ეკლესიის საკუთრებად ცნობს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე არსებულ მართლმადიდებლურ ტაძრებს, მონასტრებს (მოქმედს და არამოქმედს), მათ ნანგრევებს, აგრეთვე, მიწის ნაკვეთებს, რომლებზეც ისინია განლაგებული.

2. ზემოაღნიშნულ ნაგებობათა დაცვის ზონები, მათი მოვ-

ლა-პატრონობისა და სარგებლობის წესები განისაზღვრება შესაბამისი სახელმწიფო სამსახურის მიერ მოქმედი კანონმდებლობით და ეკლესიასთან შეთანხმებით.

მუხლი 8

1. სახელმწიფო ეკლესიის საკუთრებად ცნობს სახელმწიფო დაცვაში (მუზეუმებში, საცავებში) მყოფ საეკლესიო საგანძურს (კერძო საკუთრებაში არსებული ნაწილის გარდა).

2. ზემოაღნიშნული საეკლესიო საგანძური, როგორც საერთო-ეროვნული საგანძურის ნაწილი, არის სახელმწიფოსა და ეკლესიის ერთობლივ მფლობელობაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად (წმიდა ნაწილებისა და წმიდა რელიკვიების გარდა).

მუხლი 9

1. სახელმწიფო და ეკლესია ერთობლივად ზრუნავენ ისტორიულ-კულტურული და არქეოლოგიურ-არქიტექტურული ფასეულობების მქონე საეკლესიო ნაგებობებისა და საეკლესიო საგანძურის სათანადო დაცვისა და მოვლა-პატრონობისათვის.

2. სახელმწიფო ეკლესიასთან შეთანხმებით, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, ამტკიცებს დამატებით წესებს მუზეუმებსა და საცავებში დაცული საეკლესიო საგანძურის სარგებლობის შესახებ, ასევე კულტურულ-ისტორიული ღირებულებების მქონე ტაძრების აღდგენის, რესტავრაცია-კონსერვაციის ან მოხატვის პროექტებს.

მუხლი 10

სახელმწიფო იღებს ვალდებულებას, აწარმოოს მოლაპარაკება შესაბამის სახელმწიფოებთან მათ ტერიტორიაზე არსებული ყველა ქართული მართლმადიდებლური ტაძრის, მონასტრის, მათი ნანგრევის, სხვა საეკლესიო ნაგებობის, აგრეთვე, საეკლესიო ნივთების დაცვის, მოვლა-პატრონობისა და საკუთრების თაობაზე.

მუხლი 11

1. სახელმწიფო ადასტურებს XIX-XX საუკუნეებში (განსაკუთრებით 1921-90 წლებში), სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვის პერიოდში, ეკლესიისათვის მატერიალური და მორალური ზიანის მიყენების ფაქტს. როგორც ჩამორთმეული ქონების ნაწილის ფაქტიური ფლობელი, იღებს ვალდებულებას მატერიალური ზიანის ნაწილობრივ კომპენსაციაზე (საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება №183; 12.04.90).

2. აღნიშნული საკითხის შესწავლის, კომპენსაციის ფორმების, რაოდენობის, ვადების, ქონების ან მინის გადაცემისა და სხვა დეტალების დასადგენად პარიტეტულ საწყისებზე იქმნება კომისია (ამ შეთანხმების ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში), რომელიც მოამზადებს შესაბამისი ნორმატიული აქტების პროექტებს.

მუხლი 12

1. შეთანხმება შედგება წინამდებარე ტექსტისა და ტერმინთა განმარტებისაგან.

2. შეთანხმებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, ორივე მხარის ხელმოწერითა და პარლამენტისა და წმიდა სინოდის დამტკიცებით.

3. შეთანხმებას ხელს აწერენ საქართველოს პრეზიდენტი და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი.

4. შეთანხმება ძალაში შედის პარლამენტისა და წმიდა სინოდის მიერ დამტკიცებისთანავე

2002 წლის 14 ოქტომბერი

შეტანილი ცვლილებები საპარტიო კონსტიტუციაში

1. 20/07/1999 - საქართველოს კანონი - 2221 - სსმ, 35(42), 28/07/1999
2. 20/07/1999 - საქართველოს კანონი - 2224 - სსმ, 35(42), 28/07/1999
3. 20/04/2000 - საქართველოს კანონი - 260 - სსმ, 15, 25/04/2000
4. 30/03/2001 - საქართველოს კანონი - 826 - სსმ, 9, 10/04/2001
5. 10/10/2002 - საქართველოს კანონი - 1689 - სსმ, 28, 28/10/2002
6. 23/07/2003 - საქართველოს კანონი - 2597 - სსმ, 23, 12/08/2003
7. 06/02/2004 - საქართველოს კანონი - 3272 - სსმ, 2, 07/02/2004 - ცვლილება შეიცავს გარდამავალ დებულებას
8. 23/04/2004 - საქართველოს კანონი - 6 - სსმ, 9, 03/05/2004
9. 01/07/2004 - საქართველოს კანონი - 306 - სსმ, 16, 04/07/2004
10. 23/02/2005 - საქართველოს კანონი - 1010 - სსმ, 8, 10/03/2005
11. 23/12/2005 - საქართველოს კანონი - 2494 - სსმ, 1, 04/01/2006
12. 27/12/2005 - საქართველოს კანონი - 2496 - სსმ, 1, 04/01/2006
13. 27/12/2006 - საქართველოს კანონი - 4133 - სსმ, 3, 11/01/2007 - ცვლილება შეიცავს გარდამავალ დებულებას
14. 27/12/2006 - საქართველოს კანონი - 4135 - სსმ, 3, 11/01/2007
15. 27/12/2006 - საქართველოს კანონი - 4136 - სსმ, 3, 11/01/2007
16. 27/12/2006 - საქართველოს კანონი - 4137 - სსმ, 3, 11/01/2007
17. 11/03/2008 - საქართველოს კანონი - 5833 - სსმ, 3, 13/03/2008
18. 12/03/2008 - საქართველოს კანონი - 5853 - სსმ, 3, 13/03/2008
19. 10/10/2008 - საქართველოს კანონი - 343 - სსმ, 25, 23/10/2008
20. 10/10/2008 - საქართველოს კანონი - 344 - სსმ, 27, 27/10/2008 - ცვლილება შეიცავს გარდამავალ დებულებას
21. 24/09/2009 - საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს კონსტიტუციური კანონი - 1674 - სსმ, 29, 12/10/2009 - ცვლილება შეიცავს გარდამავალ დებულებას
22. 24/09/2009 - საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს კონსტიტუციური კანონი - 1675 - სსმ, 29, 12/10/2009 - ცვლილება შეიცავს გარდამავალ დებულებას
23. 12/02/2010 - საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს კონსტიტუციური კანონი - 2565 - სსმ, 6, 22/02/2010
24. 15/10/2010 - საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს კონსტიტუციური კანონი - 3710-ის - სსმ, 62, 05/11/2010 - ცვლილება შეიცავს გარდამავალ დებულებას
25. 15/12/2010 - საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს კონსტიტუციური კანონი - 4033-რს - ვებგვერდი, 030111, 03/01/2011 - ცვლილება შეიცავს გარდამავალ დებულებას
26. 01/07/2011 - საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს კონსტიტუციური კანონი - 4985-რს - ვებგვერდი, 110714025, 14/07/2011
27. 27/12/2011 - საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს კონსტიტუციური კანონი - 5630-რს - ვებგვერდი, 09/01/2012 - ცვლილება შეიცავს გარდამავალ დებულებას
28. 22/05/2012 - საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს კონსტიტუციური კანონი - 6238-ის - ვებგვერდი, 29/05/2012
29. 22/05/2012 - საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს კონსტიტუციური კანონი - 6239-ის - ვებგვერდი, 29/05/2012 - ცვლილება შეიცავს გარდამავალ დებულებას
30. 22/05/2012 - საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს კონსტიტუციური კანონი - 6240-ის - ვებგვერდი, 29/05/2012
31. 29/06/2012 - საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს კონსტიტუციური კანონი - 6602-რს - ვებგვერდი, 10/07/2012
32. 25/03/2013 - საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს კონსტიტუციური კანონი - 496-რს - ვებგვერდი, 27/03/2013
33. 04/10/2013 - საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს კონსტიტუციური კანონი - 1456-ის - ვებგვერდი, 16/10/2013



გამომცემლობა „იურისტების სამყარო“

თბილისი, მ. კოსტავას ქ. №75

ტელ.: 238 35 99; 557 51 51 34

E-mail: Lawyers.world@yahoo.com;

<http://www.facebook.com/lawyers.world>